ᲛᲝᲜᲐᲪᲕᲔᲗᲘ

N2

2018

ანდამატი

სტუდენტური ლიტერატურული ჟურნალი

№ 2 2018

სტუდენტური ჟურნალი „ანდამატი“ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში არსებული ლიტერატურული ტრადიციის მოკრძალებული გაგრძელებაა. იგი იბეჭდება ამავე უნივერსიტეტის სტუდენტთა ფინანსური დახმარებით და მისი გაყიდვიდან შემოსული თანხა მთლიანად ხმარდება ჟურნალის შემდეგი ნომრის გამოცემას. ჟურნალი მიზნად ისახავს ნიჭიერი სტუდენტების აღმოჩენას, მათი შემოქმედების წარმოჩენას, ცოცხალი ლიტერატურული გარემოს შექმნას და, ამგვარად, მისი კარი ყველა სტუდენტისთვის ღიაა.

ჩვენი და მთლიანად სტუდენტების სახელით დიდ მადლობას ვუხდით ყველა ადამიანს ამ ჟურნალის გამოსაცემად გაწეულიშრომისა და ფიზიკური თუ მორალური დახმარებისთვის.

ნომერი ეძღვნება დიდი ქართველი პოეტის ტერენტი გრანელის 120 წლის იუბილეს.

მთავარი რედაქტორი: თორნიკე კანდელაკი

სარედაქციო კოლეგია: ილია ცეცხლაძე
გიორგი კახიშვილი
კონსტანტინე წოწორია

ჟურნალის რედაქცია გაწეული დახმარებისთვის განსაკუთრებულ მადლობას უხდის – თამარ გაბელაიას და თამარ ფიცხელაურს.

ფოტო ყდაზე: ტერენტი გრანელი – დავით შუღლიაშვილის ფოტოკოლექციიდან
(საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა)

ISSN 2587-5027

შინაარსი

იმ თეთრ საყდართან 4
პოეზიის ახალგაზრდა მოყვარულთ 6

პოეზია

თორნიკე კანდელაკი 8
ნატალი აბესაძე 14
ლალი ჭეშმარიტაშვილი 17
სალომე ბზარაშვილი 18
ირმა მიქავა 19
ვერიკო თოლორდავა 20
ლაშა ლოსეურაშვილი 23
მარიამ გიორგაძე 24
ლიკა კაპანაძე 26
ბექა ბაიაშვილი 28
ლალი კუკავა 30
მარიამ მოქია 32
ეკა ჯიქია 34

პროზა

თეონა მახარაშვილი 35
მიმოზა ტიელიძე 39
ჯონდი ხუხია 41
სალომე ბზარაშვილი 43
რუსუდან მაჭარაშვილი 46
ნინია ყოჩიშვილი 50

თარგმანი

პროზა

სადეყ ჰედაიათი – მაწანწალა ძაღლი 55
(თარგმნა გიორგი სიფრაშვილმა)

პოეზია

მარია პავლიკოვსკა-იასნოჟევსკა 61
(თარგმნა შორენა ჯიმშერიშვილმა)

ესე, პუბლიცისტიკა

სესილი გოგიბერიძე 62
გიორგი მაჭარაშვილი 65

იმ თეთრ საყდართან

ყოველთვის, როცა მარჯანიშვილის ქუჩაზე მდებარე თეთრ საყდარს გავივლი, მომაგონდება გვიანი შემოდგომის, თითქმის ზამთრის პირის ერთი საღამო:

ცივა, ქარი ქრის.

იმ საყდრის უკან პატარა საჟამნესთან, ქარყინვაში – ხის ძირას მხართეძოზე არხეინად წამოწოლილა პოეტი ტერენტი გრანელი. თავშიშველს უკან გადავარცხნილი თმა ქალივით გაუშლია. აცვია წელშეშობილი გრძელი ნაცრისფერი ხალათი, კოჭებს ზემოთ დამოკლებული ვიწრო ტოტებიანი შარვალი, შავად შეღებილი ტილოს ფეხსაცმელები - საერთოდ რაღაც ჩინური ფორმის მსგავსი სამოსი. პაპიროს აბოლებს, ცალი ხელი თავქვეშ ამოუდვია.

დამინახა, წამოიწია და ხელი დამიქნია:

– ეჰეი, ლორთქიფანიძე, ჩამოდი აქ, თუ კაცი ხარ!

არ ვიცი, რატომ, მაგრამ ყოველთვის ამ გვარით მომმართავდა. კარგად არ მიცნობდა. ისე კი იცოდა, სად ვმუშაობდი. „ახალგაზრდა კომუნისტის“ რედაქციაში დაჰყვებოდა ხანდახან ახლაგაზრდა პოეტებს, განსაკუთრებით – ფრიდონ ნაროუშვილს. რამდენიმეჯერ მოვიდა გენო ქელბაქიანთან, რომელიც მაშინ ამ რედაქციის მუშაკი იყო და დიდ დახმარებას უწევდა ტერენტის.

– ჩამოდი აქ, – მეძახოდა ის – ჩემთან, ამ მწვანეზე წამოწექ და ვისაუბროთ. ჩემსავით იქნები და იოცნებებ მუდამ. ოცნებას რა ჯობია. ვუყუროთ ამ ცას, პირაღმა წამოწოლილი...

რაღაც მოვიმიზეზე და წასვლა დავაპირე. წამოდგა, კვლავ ხელი დამიქნია და გადმომძახა:

– მოიცადე, სად მიდიხარ?

საყდრის ლაფაროში ჩაყრილი ხმელ-ხმელი ფოთლები ამოკრიფა, პეშვი აავსო, რკინის მესერს მოადგა და გამომიწოდა. თან სადღაც ჩემს იქით იყურებოდა ანთებული თვალებით და ნაღვლიანი ლაპარაკობდა:

– აი, ეს ყვითელ-ყვითელი ფოთლები ვიყავი მე. ტიფით ავად გავხდი და ამ ბჟოლის ფოთლებს დავემსავსე. ასე გავყვითლდი, და ძირს დამყარა ქარიშხალმა. ახლა აქა ვარ. მოდი მწვანეზე წამოწექ!

„მწვანე“ კი არსად ჩანდა. მარტოოდენ ქვები იყო ამოჩრილი და მათ გარშემო შრიალ-შრიალით ატრიალებდა ქარი ხმელ-ხმელ და ჩაყვითლულ ფოთლებს.

– არ გცივა? – შევეკითხე და მისი თხელი ხალათი შევათვალიერე. ცხვირი და ტუჩები სიცივისაგან გალიგვებოდა.

– შევეჩვიე, – მითხრა და კვლავ მომმართა: – წამოწექ ამ მწვანე მდელოზე, ჩემსავით, იქნები მეოცნებე ყვითელი ფოთოლი.

შემდეგ ჩაიცინა, ფოთლები მიმოაბნია და ქარს გაატანა. ხის ტოტიდან საღვარეში რომელიღაც ჩიტი ჩახტა და გაგოგმანდა. ჩიტს ხელი აუქნია და „აქშაო“ შეუძახა. ფართოდ ჩამოხეული ცალი სახელო იდაყვამდე ჩამოეშვა, ქარმა ყურთმაჯივით აუფრიალა იგი და ლურჯი ნარმის პერანგი გამოუჩინა.

ხელი ჩამოვართვი. არ გამიშვა და ნაწყვეტ-ნაწყვეტ წარმოთქვა:

– რა მიგეჩქარება! მე აქ უნდა დავესახლო. კარგი ადგილია. მარტო ვიქნები და ხელს არავინ შემიშლის ოცნებაში. მალე თოვლი მოვა, მშრალი თოვლი. თოვლის ფანტელებს უნდა გავყვე. როგორ მიყვარს თოვლის ფართო-ფართო ფანტელები. – უცბად გაახსენდა: – გინდა, ლექსს გაჩუქებ. ბევრი ლექსი მაქვს.

საყდრის კართან აიტუზა, ჯვარზე გაკრული ქრისტესავით გაშალი ხელები, თავი მაღლა ასწია და ცას მიაშტერა ქუთუთოამოწითლებული მოწკურული თვალები. ცოტა ხნით იდგა ასე და რაღაც სიტყვებს ჩურჩულებდა. შემდეგ გულჯიბიდან ფანქრის ნატეხი ამოიღო, დანერწყვა და „ტემპის“ კოლოფზე წააწერა ლექსი:

ჩიტი

მზე ისევ გაჩნდა,
დღე ასე მიდის,
და უცებ დაჯდა
მიწაზე ჩიტი.

გავყურებ ქუჩებს,
დღე ასე მიდის.
დაჯდა და უცებ
აფრინდა ჩიტი.

წერის დროს შევნიშნე: ძალზე ნაზი ხელები ჰქონდა და შესამჩნევად წამოზრდილი სუფთა ფრჩხილები.

– წაიღე, თუ კაცი ხარ, ნუ დაკარგავ. – მითხრა, – თუ გინდა ასეთებს აუარებელს დავწერ. ახლა კი მშვიდობით... მშვიდობით იარე. კარგად გვენახოს ერთმანეთიო, უთხრა ერთმა ბრმამ მეორეს, – თქვა ეს და ჩაიღიმა.

მერე პირაღმა გაწვა ხის ძირას ქვებზე და ჩემთვის ყურადღება აღარ მოუქცევია. მწოლიარემ მუხლი-მუხლზე შემოიდო და კვლავ პაპიროსი გააბოლა.

ეს იყო ოციანი წლების ბოლოს.

1939 წლის თებერვლის ერთ საღამოს, საყდართან რომ გავიარეთ, იმ შეხვედრის ამბავი მოვუყევი ლადო ასათიანს და მირზა გელოვანს. ახლაც ისეთივე ქარი ქროდა და ბარაქიანად თოვდა. ფართო-ფართო ფანტელები აცვივოდა ადგილს, ტერენტი რომ იყო პირაღმა წამოწოლილი ათი-თორმეტი წლის წინათ და ნატრობდა, გაყოლოდა იმ ფანტელებს. იგი უკვე დიდი ხნის გარდაცვლილი იყო. ახლა ეს ფანტელები მის სამარეს ფარავდა პეტრე-პავლეს სასაფლაოზე...

იმ კვირაში ლადო კვლავ ამოვიდა ჩემთან. დაღონებული იყო: საყდართან გამოვიარე და ტერენტი გამახსენდაო, ვერ მოვისვენე და გზადაგზა ეს ლექსი გამოვთქვიო...

1939 წლის ზამთარი

თოვს და ანათებს სადღაც კანდელი,
დიდი სასახლის ბრწყინავს კარები.
შენ კი, ვით თოვლის თეთრი ფანტელი,
დაღუპვისაკენ მიექანები.
აგიტანს შიში და ჟრუანტელი,
გაგითეთრდება თვალთა უპენი,
ნუთუ, ვით თოვლის თეთრი ფანტელი,
შენც ისე მშვიდად დაიღუპები?!
თოვს, და თოვაში აქ დგახარ მარტო
და ძაღლის ხმაზე გაბმულად სტირი.
ეს შენ იცოდი ზამთრის ღამეში
რა აწუხებდა მშობლიურ თბილისს:
ეს შენ იცოდი, მაგრამ მეც ვიცი,
რადგან მე შენი ვარ ნათესავი,
მეც მიმიღია პოეტის ფიცი,
მეც მაწვალებდა ლექსი შენსავით...
თოვს და თოვაში გიგონებ, ძმაო,
ჩანს დათოვლილი საყდარი შენი...
თეთრი ხალათით დგახარ ამაოდ,
გათოვს, გათოვს... და არავინ გშველის:
თოვს და თოვაში გიგონებ, ძმაო.
ვინ გაგიყუჩებს ტკივილს და ვარამს?
მჭკნარი ფოთოლი დახვალ ამაოდ,
აქამდის არვინ არ შეგიყვრა.
ათოვს თბილისს და თბილისის ღამეს,
გათეთრებულა საყდარი ჯვარით,
– აქ უცხოვრია ტერენტი გრანელს! –
იტყვის მშვიდად და ჩაივლის მგზავრი.

ნიკა აგიაშვილი - „ჭაბუკები დარჩნენ მარად“

პოეზიის ახალგაზრდა მოყვარულთ

ჩვენ აუარებელი ლექსები მოგვდის დიდის თხოვნითა, რომ დაგვიბეჭდეთო. ჩვენდა სამწუხაროდ და დამწერთა არასასიქადულოდ, ათასში ერთი ძლივს გამოდგება ისეთი, რომელზედაც შესაძლო არ იყოს სამართლიანად თქმა: რაზედ მომცდარა დამწერიო. ჩვენ ჩვენის მოვალეობისამებრ, რასაკვირველია, იძულებულ ვართ გადავიკითხოთ ხოლმე ყოველივე ეს წარამარად კუდ-გადაბმული მწყობრსიტყვაობა, რომელიც გაუსაპნავ ურემსავით ჭრიჭინებს ყურისათვისაც და გულისათვისაც. ვკითხულობთ და ვნანობთ, – რაზედ დავკარგეთ დრო და რაზედ წავიხდინეთ, გავიუგემურეთ გუნება. ჩვენ კიდევ იმედი მაინც გვანუგეშებს, როცა ამისთანა უმადურს, მაგრამ ჩვენთვის აუცილებელს შრომას ხელსა ვკიდებთ. ვფიქრობთ, იქნება ათასში ერთს კარგსა და მარილიანს რასმეს შევხვდეთ, და თუ ეს იშვიათი, ძლიერ იშვიათი ბედი გვეწვევა, სიხარულით წავავლებთ ხოლმე ხელსა, როგორც ობოლს მარგალიტსა, აუარებელ ლექსში ნაპოვნსა. მაშინ ჩვენ ვსიამოვნობთ და ვსტკბებით და ჩვენს მკითხველსაც ვასიამოვნებთ და ვატკბობთ.

ვამბობთ, ეს ბედი იშვიათად გვეწვევა ხოლმე. ხშირად მთელ დასტა ქაღალდს გადიკითხავთ და ერთს სტრიქონსაც ვერა ნახავთ, „ღვთაებურის ცეცხლით“ გამთბარსა. სანანური მარტო ეს ჩვენი ამ გადაკითხვაში დაკარგული დრო არ არის: ეგ ჩვენი მოვალეობაა, მართალია, მეტად უსიამოვნო და შემაწუხებელი, მაგრამ მაინც მოვალეობაა. ხოლო საკვირველი ეს არის, – დამწერი რათა სცდება, რათა ჰკარგავს დროს, ხარჯავს ქაღალდს, მელანს, მაშინ როდესაც არავისაგან დავალებული არ არის? უსაქმურს კაცს, რა თქმა უნდა, ამისთანა უხეიროდ საქმიანობა არ ეკიჟინება, ცუდად ჯდომას ცუდად შრომა სჯობიაო, ნათქვამია. ჩვენ ამისთანა კაცის არც დრო გვენანება, არც ჯაფა, იმიტომ რომ არც ერთია მისთვის გამოსაყენებელი და არც მეორე, დეე ისევ ლექსებში სიტყვები აჭრიჭინოს თვისდა სასიამოვნოდ და რედაქტორის შესაწუხებლად, ხოლო სამწუხარო და სანანური ის არის, რომ ამაზედ სცდებიან თითქმის უსუსური ყმაწვილები, რომელთაც მძიმე მოვალეობა სწავლისა ჯერ კიდევ წინ მიუძღვით და, მაშასადამე, დროსა და ჯაფას მათთვის თავისი საფასური აქვს.

დღე არ გავა – არ მოგვივიდეს ლექსი და ქვეშ არ ეწეროს „მოსწავლე ამა და ამ სკოლისა“. დღევანდელი ჩვენი სიტყვა ამათ გვინდა მივმართოთ; ვშიშობთ კი, რომ ჩვენი სიტყვა ისე არ იქნას მიღებული ზოგიერთ ჩვენთა მოკეთეთაგან, ვითომც ჩვენ ხალისის დახშვა და გაცუდება გვინდოდეს. ღმერთმა ნუ ქნას!.. ხალისი კარგი საქონელია, ხოლო მაშინ კი, როცა იგი იმოდენად ფრთაშესხმულია, რომ სიმაღლეს საგნისას, რომელზედაც მიმართულია, შესწვდეს. ვიდრე ამისი ძალ-ღონე კაცს არ შეუძენია, ნუ ჰფიქრობს ცარიელის ხალისით გახდეს რასმე. ამიტომაც ჩვენი პატარა მეგობრები ნუ გვიწყენენ პირდაპირს სიტყვას. პირდაპირი სიტყვა სჯობია ტყუილ-უბრალო წაქეზებას. ქართულად ლექსად მოწყობა სიტყვისა მეტად ადვილია. არა გვგონია, სხვა რომელიმე ენა წარმოადგენდეს ამისთანა სიადვილეს. ხოლო ლექსი იმით არა ლექსობს, რომ სიტყვების ბოლოები ერთმანეთისათვის შეუწყვიათ. ლექსი პოეზიის შვილია. რა არის პოეზია, ამას ვერა კაცი ვერ აგიხსნით, მთქმელიც ტყუილად მოსცდება და გამგონიცა. პოეზია საგრძნობელია და არა საცნობელი. ჩვენ მხოლოდ ზედმოქმედება ვიცით. ვიცით, რომ იგი გვატკბობს და გვასიამოვნებს ჭირსა და ლხინშიაც. ვიცით, რომ იგი ხატებაა ჩვენთა გრძნობათა, გულის-თქმათა, ფიქრთა, ნაღველთა, ლხინთა, ერთის სიტყვით ხილულთა და არა ხილულთა. ვიცით, რომ მისგან მოხიბლულს კაცს „ავიწყდება საწუთროება“, მის მიერ გატაცებული „გულის-თქმა კაცის ცისა იქით ეძიებს სადგურს, ზენა არსთ სამყოფთ“, როგორც ამბობს ჩვენი გამოჩენილი პოეტი ნ. ბარათაშვილი. ყოველივე ეს ვიცით, და თვითონ პოეზია რა არის – ეს კი არავინ იცის, პოეზია უცნაური მადლია და პოეტი ამ მადლით მოსილი კაცია.

მადლი ხომ მადლია, მაგრამ ამასაც მოვლა უნდა, უნდა პატრონობა, ხელის შეწყობა, გაზრდა და დავაჟკაცება, თუ ესე ითქმის. ეგ ისეთი აზიზი, მზეთუნახავი ყვავილია, რომ მალე ჭკნება, თავის სუნნელებას კარგავს, თუ მეცნიერების შუქი არ ადგია, თუ მეცნიერება თავის უკვდავების წყაროს

არ ასხურებს და სიბრძნის ხელი კიდევ დღე-მუდამ არა ჰფურჩქნის.

თუ ღმერთს პოეტობის ნიჭი მოუმადლებია თქვენთვის, ჩვენო პატარა მეგობრებო, ნუ ჩქარობთ მაგის გამოჩენასა. ნუ გეშინიათ, იგი არ მიგემალებათ არსად. იგი თვის დროზედ გამოიხეთქებს, როგორც ანკარა წყარო კლდის გულიდამა, ოღონდ პირველ ხანშივე ნუ მოაკლებთ მაგ უსუსურს მადლს – მეცნიერების ნოყიერს ძუძუსა. ჯერ თქვენ სწავლობთ და ღმერთმაც მოგიმართოთ ხელი მაგ საკეთილო გზაზედ. ჯერ ისწავლეთ, ჯერ თქვენ შეიძინეთ, რომ მერე სხვასაც შესძინოთ რამე. კიდევ გეტყვით: პოეზია ღვთაებური ღონეა, გულის სიღრმიდამ ადამიანის გრძნობათა მარგალიტების ამომტანელი, მხატვარია ცხოველმყოფელი და ხორცთშემსხმელი უსხეულო აზრისა, ფიქრისა, გრძნობისა, ერთის სიტყვით ადამიანის და მსოფლიოს სულის მოძრაობისა. ეს მსოფლიო სული – ზღვაა უძირო, არამც თუ თვალ, ფიქრმიუწვდომელიცა. ამ ზღვისათვის კაცი გემია, ნიჭი – აფრა და მეცნიერება – საჭე, გემის მიმმართველი. ადამიანი ამ ზღვაზედ სიარულს გამარჯვებით შესძლებს მხოლოდ მაშინ, როცა სწავლითა და ცოდნით განსწმენდია „თვალნი ზე ზეცისა და ქვეყნისა საიდუმლოთა მხედველად, ყურნი ზესკნელისა და ქვესკნელისა უცნაურთა ხმათა მსმენელად“, ხელნი ცისა და ქვეყნის მაჯისცემის შემტყობად და ენა ყოველ ამის აღმომთქმელად და მთარგმნელად.

ადამიანი, ბუნება, ცა, ქვეყანა, მსოფლიო, – ერთი დიდებული წიგნია, უცნაურს ენაზედ დაწერილი. მეცნიერება ამას სთარგმნის უხატებო, უსურათო სიტყვითა. პოეზია კი ხატებითა და სურათითა. მეცნიერების ნათარგმნი ჯერ უნდა, რაც შეიძლება ბლომად, მოგროვდეს გულის საგანძეში, რომ მერე პოეტის მხატვრობითმა სიტყვამ აღბეჭდოს, სული ჩაუდგას, ხორცით შემოსოს ადამიანის გასატაცებლად, აღსაფრთოვანებლად და გასაოცებლად. თუ პოეტი მეცნიერებას არ მოიწვევს, მარტო ცარიელი ნიჭი ვერ უთარგმნის ამ წიგნსა. საცა არ არის მეცნიერება, იქ მკითხველიც ამ წიგნისა არ არის. „უკეთუ მთარგმნელი არ იყოს, მკითხველნი დუმენო“, ნათქვამია ერთის ძველის ბრძნისაგან, ჯერ თქვენ, ვითარცა მოსწავლე ყრმათა, ეგ მთარგმნელობა არ შეგიძლიათ, ვიდრე საკმაოდ არ შეისრულებთ სწავლასა. ამიტომაც მოგახსენებთ: სდუმენ იმ დროამდე. ამას გირჩევთ ყველას, ვისაც ხალისი ლექსის წერისა ადრეულად გაგღვიძებიათ. ვცდებით ამაში, თუ არ ვცდებით, ეს კი გვერწმუნეთ, რომ რჩევა ჩვენი გულწრფელია ორსავე შემთხვევაში. გვერწმუნეთ, რომ ამ რჩევას იძლევა თქვენი გულითადი მეგობარი, თქვენი კეთილის მოსურნე.

ილია ჭავჭავაძე

პოეზია

თორნიკე კანდელაკი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
ქართული ფილოლოგია
III კურსი

შესვენება.

„სჯობს მონობაში გადიდკაცებულს
თავისუფლების ძებნაში მკვდარი!“

აკაკი

1.

რაც გთავაზობენ ხელფასს, არნახულს,
მით უფრო მონა უნდა სამსახურს,
მას იგრძნობ ყველგან და ნახავ რამდენს,
გამონებამდე ყურებწამახულს –

მოდი და ნუ გძლევს ზიზღი და ბრაზი,
კიდევ მორიგი რიგშია კაცი,
ყველა პირობას ის თავს დაუქნევს,
ოღონდ მიეცით ფული, ხელფასი.

მოდი და იგი ნუ დაგაღონებს,
ვინ, რა ცხოვრება კაცს ჩააგონებს
იმის ფიქრსა და იმის თანხმობას,
რაც სამსახურს და ფულს დაამონებს?

რომ მიაჩუმებს სინდისის წუხილს,
ჩაიდენს ათას საქციელს, უღირსს,
ოღონდაც მისი გადარჩეს ტყავი,
რომ სამსახური ყველაფრად უღირს.

შიმშილით გმინვა და გამწარება
ოდესმე განა შეედარება
მართლად სინდისის წინაშე ყოფნას
და მით სიმშვიდეს და ნეტარებას?

გადაბრუნებულ ურემის მერე,
როცა გამოვლილ გზებს შეაჯერებ,
მაშინ მიხვდები, კაცი, არ იყო
ამაზე დიდი სიბედნიერე.

გვესმის მიზეზიც, არ ვართ ბრმა, შტერი,
რამ მისცა ფიქრებს ცეცხლი ძლიერი –
რომ სამსახურის დაკარგვა უდრის,
კაცის ოჯახი დარჩეს მშიერი.

უღირს კი ვინმეს თავის არდახრა?
მართალ სინდისის დრო არის ახლა?
უსმინოს სინდისს, დაიცვას სუფთად –
სადღა იპოვის სამსახურს ახლად?

მისთვისაც თავს სხვა ვინ გამოიდებს?
შემოაჭდობენ სინდისს ყელს თითებს,
ყველა განზეა და არ იქნება,
ოდესმე მათი დროც არ მოვიდეს!

ნაცვლად კი შეცვლის, კარგის ძიების,
თუნდაც ნელი-ნელ გრადაციებით,
ის გეუბნება: „ჩვენც ამ დღეში ვართ,
მოდი, რას ჰყოვნი? ჩვენ ჯაჭვს მიები“.

დიდ სამომავლო გზით ნაიმედებს,
დიდიც, პატარაც მისთვის გიმეტებს,
არავინ არ სწუხს, თუ კიდევ ვიღაც
ამ უსაშინლეს გზას დაიბედებს.

ნუთუ ღმერთი და განგება მისი
მოითხოვს, ჩავკლა ჩემში სინდისი,
თუნდაც ოჯახის რჩენის განზრახვით
საქმე კაცისთვის ვქნა უკადრისი?

ცხოვრობს კი კარგი ოჯახი სადმე
მის წევრს რომ ურჩევს: „ღირსება დათმე!“
და დათმობილი ღირსების ხარჯზე
რომ სურთ შეჭამონ, დალიონ, გათბნენ?

არა და კმარა მტკიცება! ცდება,
სინდისზე წმინდა რა იპოვება?
არ უნდა შიმშილს ყურება შიშით
– მშიერი მხოლოდ ზარმაცი კვდება!

2.

იწვის სიცხეში ოპერატორი,
სითბო ყინვაში სახლივით შორი,
და ამ დამპალი კანონმდებლობით
არაფერია აქ არასწორი.

ხელშეკრულება ნაზად აფორმებს,
ყოველდღე საათს აქ დაჰყოფ თორმეტს,
და დადის კრავის სახით, ამ დამპალ
კანონმდებლობით ვინც ადგენს ნორმებს.

და ყველგან ასეთ კანონმდებლობის
აუტანელი, მწარე მძევლობით,
მიუღებლობით, აქეთ მდუმარე,
იქით დამპალი მაამებლობით

ბრუნავს საწყალი ქვეყანა ჩვენი,
რომ დაუზაფრავს ფიქრს გადარჩენის,
წამდება იგი, ვისიც ქვეყანა
მზეს ფიცულობდეს უნდა მარჯვენის.

ნეტავ, იმავეს არ ვგრძნობდეთ ცალად,
ნეტავი ერთ დღეს ჩუმად შეგვცვალა,
გულს წაუშლელად ამოატვიფრა,
რა დიადია ერთობის ძალა.

ჩანდეს ისაა მტერი პირველი,
ვინც შეკვრას ერთად უშალოს ხელი,
ვიღაც ხელს ითბობს მუდამ ერთობის,
შერყეულ ბურჯით და საძირკველით.

ამ ქვეყნის მტერთა გულგამკვეთავი,
ერთგულთა თვალზე ცრემლმომწმენდავი,
კაცთა ერთ ფიქრით შემაერთავი,
დამაწერინა ლექსი ნეტავი!

3.

სისხლისმწოვლების მზე რომ ჩაქრება,
ჩაგრული აღარ დაიჩაგრება –
ეს ამ იმედით თითოეულის
შემატებია გულს გამაგრება.

მადლობელი ვარ კაცი, რიგითი,
არა სასუფრო რიხით, ან რიდით,
შენ სისხლი შენი ჩემთვის გაიღე,
გულგრილ კაცივით არ იყავ მშვიდი.

სისხლი, რაც ჩემი ცხოვრების გზაზე
გადიქცა ხიდად და სიმამაცე
მარწმუნებს შენი, რომ სისხლიც ჩემი
სხვას ააცილებს უფსკრულებს ასე.

შენ იტან, ერთი, ამ მარტვილობას,
ამდენ სიმწარეს, ამდენ ჭრილობას,
შენ იტან, ერთი, და ამ ატანით
გზას მიუკაფავ კაცობრიობას.

მარად შენს ძეგლთან ვარ ქედდახრილი,
არათუ გმირულ გულის ძახილი,
რა არ-ამაოდ ნეტავ ხედავდე,
იყო ყოველი ცრემლი დაღვრილი!

ბედს თუმცა გზები მოუხაზია,
ვერ მორევია გმირულ ხასიათს,
ცდაც ამაღლების შენი, ნეტავი,
ხედავდე ჩვენთვის რა ძვირფასია!

საშინაო დავალება

მამას უბანში ჩხუბი აქვს ხშირი,
ხშირად ბრუნდება ნაცემი, მთვრალი,
ლეწავს ყველაფერს, ჩხუბობს და ყვირის
და მე და დედას გვედება ბრალი.

მამა ყოველთვის ფულს ართმევს დედას,
არ აქვს – ბრაზდება, აგინებს და ცემს,
და ამბობს, უყვარს ყველაზე მეტად,
როცა ეხვევა მის მთვრალ ძმაკაცებს.

სულ უცხო ხალხი დაჰყვება მამას,
მაღალ თაროზე დამალულ შპრიცით,
იმათთან ერთად იკეთებს წამალს,
მიყვირის, მაგრამ მე უკვე ვიცი.

დედა კი, ვწუხვარ, რომ შეეჩვია
მამას, გალეშილს ყოველდღე არყით...
მას ნერვოზი აქვს, შფოთი, ეჭვია
მის ხმაში მუდამ – „რას იტყვის ხალხი?"

ის სამსახურში იმიტომ მიდის,
მხოლოდ ის ფიქრობს ციფრზე ვალების,
უჭირს დამალვა ყალბი სიმშვიდის,
როგორც პუდრს ლურჯი უპის თვალების.

მის ნერვიული ხელის კანკალით
ათასჯერ უფრო მე ვიძაბები,
როდესაც ფერი ედება მკრთალი,
დროზე არ შველის მისი აბები.

და ყოველ ჯერზე მკაცრი და ცივი
მას მიმეორებს დუმილი მათი:
„ეს რომ დამდგარხარ, მიცქერ კრავივით,
შენ გამო ხდება, მომცილდი, წადი!"

როცა იძინებს ხმაური სახლის,
ვხედავ დანის წინ გადაშლილ მკლავებს,
ყოველღამ ფიქრს სხვა მხარეს გადახრილს
და მაინც ახლოს მოლოლიავეს.

ყველა ასეა შვილებისადმი?
ასე გრძნობს ყველა თავის თავს ბარგად?
ვოცნებობ, ნეტავ, აქედან სადმე
შორს წამიყვანა და გადამკარგა!..

ასე უცვლელად გადის დღე დღეზე,
აი გარემო ვიზრდები სადაც,
და თქვენს თვალებშიც, იმედს რომ ვეძებ,
ხშირად ჯავრიანს ვაწყდები მათაც.

ეს დავალება სხვებს აძლევს ხალისს, –
მათ ხომ სათქმელი კარგი აქვთ, მეტიც,
მე კიდევ მიმძიმს შევლებაც თვალის
ჩემი ოჯახის ნამდვილ პორტრეტის.

ქუჩების ქარში

ის მიდის მარტო, მდუმარედ, წყნარად,
გულდახურული და უკარება,
აღარ სურს, ვინმეს გაანდოს, არა,
მისი ნუგეში და მწუხარება.

ჩაივლის ეს დღეც, მსგავსად წინაპრის,
ჰგავს შემოდგომის ბაღს ემოცია,
ერთურთის მიმართ მასა და აპრილს
ბაგე დუმილით შეუმოსიათ.

კვლავ სამდურავი მოესმის დიდი:
„ – რად დამივიწყე, გულცივი გახდი!"
„მთელი წარსულის ხსოვნას წავშლიდი,
მხოლოდ შემეძლოს, რომ ვთქვა გულახდით"

წამს იგრძნობს რხევას დაკარგულ სიმის,
არ არქმევს წუთის სამშობლოს მირაჟს,
მაგრამ კვლავ გავლა უცნობი მღვიმის
სთხოვს მარტოობას მყუდრო ნაპირას.

აწ ფიქრს მომავლის თავს არ შეახლის,
დამღრღნელ წუხილით, როგორ იქნება –
სად და ვის სულში დაბადს სიახლეს
მისი წვა, ღელვა და ჩაფიქრება.

გაჰყვეს ამ ქუჩებს ისევე წყნარი,
გაჰყვეს ღამეებს, შემოსილს სტიქრით,
იტანოს წყნარად ქუჩების ქარი,
გაჰყვეს, თან სდევდეს გულს ერთი ფიქრი:

არაფერია მარტო სმა ღვინის,
თასს სხვა ნურავინ გაეკარება,
მხოლოდ ლანდებმა იცოდნენ ბინის
მისი ნუგეში და მწუხარება.

ბედთან შერიგება

შენმა სიყვარულმა, ქცეულმა ლახვარად,
მოუშორებელი დატოვა იარა.
თავი იმ ლაჩარმა როგორ შეგაყვარა,
მითხარ, რით მოგხიბლა, რა გზით მოგიარა?

ვიგონებ, გამწყრალი და ფიქრებაშლილი...
არ გსურდი, მაგრამ მე გული მან ამინთო,
ფასიც კი არა აქვს მას შენი აჩრდილის,
წვეთი რამ ღირსების, ვთქვა, ალბათ, ამიტომ.

გერჩია ყველა სხვა, ხომ უხვად მოჰქონდათ
ვარდები, არ გაკლდნენ თაყვანისმცემლები,
და არა ასეთი ნაბიჯი ოღონდაც,
სულისამომრთმევად თვალამაცრემლები.

ისიც ამ საზარელ სურათს შეეჩერა
და ვეღარ შეიძლო ეკერა ჭრილობა,
ის, ვისაც ეგონა, სწამდა და ეჯერა –
ეს იყო სიმუხთლე და გულუბრყვილობა.

ის აღარ შესცქერის ცას განაწყენებით,
ახლა აღარაა ძნელი მისახვედრი,
არ მოხდა ეს ბედის მუხთალი ხელებით,
ეს თვითონ ისურვე და ნებით წახვედი.

ამ განშორებაზე უფრო უმწარესი –
მე დამრჩა ოცნების დამსხვრევის შეგნება,
გამქრალი ღიმილი, დუმილი, ალერსი,
ედემი, რომელსაც აღარ მიეგნება.

ასე გულმოკლული ვდგავარ ამ წუხილთან,
რაც გლოვა გგონია ბედს შეურიგალთა,
ის, ვისაც ასეთი ნაბიჯი უღირდა,
ოდესღაც ღმერთქალად მიჩნდა და მიყვარდა.

ძველი ლექსები

რვეულში ნაპოვნ სიყრმის ლექსებმა
მე მომაგონეს დღეები ძველი,
ყმაწვილი ნორჩი მტკიცედ ეგზნება,
ვის გულს პოეტის წმინდა სახელი

ეძებს მწყურვალი პოეტთა წიგნებს,
სხვა მხრივ, ქრის ქარი უდაბნოეთის,
ის უდაბნოში გზას მარტო იგნებს:
ხალხი დასცინის სახელს პოეტის,

იგი, საბრალოც, როს ჯღაბნის აზრებს,
სჩადის სასწაულს, ასე ჰგონია,
სასწავლო წიგნებს გვერდით გადასდებს,
სხვა უფრო ძვირფასს დაუმონია.

ეს შთაგონების ცეცხლი სწვავს მწვავე,
ნამდვილად დიად პოეტთა დარად;
ისიც მათია მონათესავე,
აჰა, ლექსებიც ცხადყოფს აშკარად –

ფიქრობს, როს ბედმა შესცინა მხოლოდ,
ბნედამ შეიპყრო რაღაც ბედითმა,
როცა ერთ სიტყვას მეორის ბოლო
უცებ შეეწყო და გაერითმა.

დროის ტარება, მოცლა-თამაში,
დევნა სხვა ჟინი რამის კეთების,
აწ ყველგან – სტუმრად, სახლში თუ გზაში –
თან დასდევს ცეცხლი შემოქმედების;

ამ ცეცხლით ტანჯვა ჰგვრის მას სიამეს,
შორით დიდებაც მას ეზმანება,
ფიქრში, წერაში ათენ-აღამებს
და ხიბლავს ლექსთა ბუნდოვანება;

ეჰ, შე საწყალო, ჰანგს მაგ ლირიკის
კიდევ კარგი რომ ვერავინ ისმენს,
რომ არ ჩამაგდე ყბაში ცინიკის,
და დასაგმობი არ გავხდი ვისმეს;

დღემდე განზე ვარ, გულდაწყვეტილი...
რომ ღირდეს, მაინც არ ღირს კამათი,
ზოგს არ იზიდავს სიტყვა კეთილი,
ვით არ იზიდავს ბრმას ანდამატი.

დავცქერ ამ ლექსებს, ვით ალბომს წლების,
გადიქცა გული ძველზე მგლოვარად,
ჩემი ცხოვრების განვლილი გზების
მხოლოდ ლექსები მაქვს სახსოვარად;

დავცქერ მოწყალედ, ღიმილით, თმობით,
წამს დავიწყება მინდა ნაკლებად,
ასე მგონია, მათი გაქრობით
მასთან ცხოვრებაც ჩემი გაქრება;

და გახარებით ნახვით კონტრასტთა,
უფრო და უფრო განვიცდი სირცხვილს,
ძველი ლექსების მაღალი დასტა
მაინც საგანი ხდება გაკიცხვის;

ვწვავ ყველასაგან მათ უჩინარად,
გამიგებს მათი სიცოცხლის მდომიც,
შემეძლოს ნეტავ ამგვარად, წყნარად,
მონანიება ბევრი შეცდომის.

შენს გაბადრულ თვალებს

ჩემს მკლავებში შენს გაბადრულ თვალებს
როს დავცქერი, ვხედავ სიყრმის ალებს –
ვერ ველევი, ვერ ველევი ალერსს!..
ჩემთან ყოფნას არარა გაძალებს...
ვერ ველევი, ვერ ველევი ალერსს!..

შენ შეგეძლო, არ შეგეძლო, განა,
ჩამცემოდი გულში როგორც დანა,
მთელი ჩემი სიჭაბუკის ხანა
რომ გექცია ჩემთვის დასანანად –
შენ შეგეძლო, არ შეგეძლო განა?

შენ შეგეძლო, არ შეგეძლო, მითხარ,
სიცოცხლეზე გულამყრელი დიდხანს,
გეთქვა ჩემთვის, ო, ისეთი სიტყვა,
არაერთხელ მტკვრისთვის მიმეკითხა –
შენ შეგეძლო, არ შეგეძლო, მითხარ?

არ შეგეძლო, სხვაზე გაგეცვალე,
და ლოდინით, დევნით გაგეწვალე,
გეხმე შემდეგ ნაზად: „გენაცვალე!"
და ღალატით, უსულგულოდ მალე -
არ შეგეძლო სხვაზე გაგეცვალე?

შენ შეგეძლო... ჩემთან რატომ დარჩი?
ამ ყინვაში, ბნელში, ქარიშხალში,
რატომ ხარობ ჩემთვის თუ ისარჯი,
გაჰყოლიყავ მოზეიმეთ მარშში
შენ შეგეძლო... ჩემთან რატომ დარჩი?

ასე წმინდა, წრფელი სიყვარული
შენ რომ ძალგიძს – მით ვარ მოხიბლული,
არა იმით, ჩემთვის რომ გაქვს რგული,
ნიშანია რა მშვენიერ სულის,
ასე წმინდა, წრფელი სიყვარული.

გრძნობდა გული სიმრთელეს თუ ზიანს,
დღეს უშხამოს, თუ უღვთოდ შხამიანს,
მე გიმზერდი, როგორც უმზერიან
ზღვების ფსკერზე მარგალიტის ციალს –
გრძნობდა გული სიმრთელეს თუ ზიანს.

ის მიტაცებს კიდევ უფრო ლხენით,
მეტ სილაღით, მეტი აღმაფრენით,
არამარტო ღიმილები, მშვენი,
ცრემლიც, ცრემლიც ჰგავს ერთმანეთს ჩვენი!
ის მიტაცებს კიდევ უფრო ლხენით;

გული ჩემი სანამ თვალებს ახელს,
არ დავუთმობ ჩრდილს შენს ღვთიურ სახეს!
მე მოვკვდები, მაგრამ ხელშესახებს
დავიწყებას არ ვუქცევ შენს სახელს,
გული ჩემი სანამ თვალებს ახელს!

მიყვარხარ და მუდამ მეყვარები!
მას რომ ვამბობ შენს წინ მუდამ ვკრთები,
შენ, ანგელოზს, მე რით შეგედრები,
მაგრამ მთელი გულით და არსებით –
მიყვარხარ და მუდამ მეყვარები!

დაგვირგვინება

სარკეზე ბროლის ეძებს ბზარს თვალი,
სად ბნელ ორეულს სხვას არ ვედრები.
ვით კრიალოსნის მარცვალს მარცვალი
მისდევს დღეს ღამე განათეთრები.

და უფრო მეტად ნაბრწყინვალები
დაშორებებით ახლობელთაგანს,
ცას მიპყროობილი ჩემი თვალები
ემსგავსებიან პატიმრის საკანს.

თუმც არ ნელდება გუგუნი ბუხრის,
ვუცქერი მთვარეს და ვიტანჯები,
ზოგჯერ ვიქცევი მონად საწუხრის
და მიზიდავენ ღია ფანჯრები.

ქარიშხლის დღეებს, ღამეებს, ყოველს
შეურხეველად დაფარავს ფარდა!
ქრება სიმძიმე და სიმარტოვე
ბინის მიგნებით გულში ძველ მგზავრთა.

ბრწყინავს მართალთა შუბლზე გვირგვინი!
და ვინც მას ძალით წაეპოტინა,
გადექცა სკიპტრა ბორკილად რკინის,
ხოლო გვირგვინი გილიოტინად.

გულო

„ქვეყნად არვის ვუნდივართ, არც ვინმეს ვაგონდებით... “
გულო, რა გიპასუხო, როცა ასე ღონდები?..
ისე ჩამოიცლება ჩვენი ქვიშის საათი,
მოდი, სანამ ერთად ვართ, დარდებს ნუ დამონდები!

წერილების დღიდან

შენ დაგავიწყებს ყველა ტკივილს, ყველა საწუხარს,
ეს მოფერება, უანგარო, ჩუმი და წრფელი,
დიდი ხნის მძიმე ლოდინისგან მაგ ცრემლებს მდუღარს
შეგაშრობს ჩემი გულმხურვალედ ნანატრი ხელი.

მოვიტან უხვად მოუტანელ შენამდე ვარდებს
და გულს გაგიხსნი, დღემდე მხოლოდ შენთვის დაფარულს,
ირწმუნებ მაშინ, უსასრულოდ მინდა მიყვარდე,
უფრო წმინდას კი მე მივიღებ შენგან სიყვარულს.

ისე დავტოვებ ყოველივეს, არც დავფიქრდები,
წამოვალ თავის ანაბარა, ამ გულით მარტო,
ოღონდ ვიცოდე, სად გეძებო, საით იქნები,
რომელი მხრისკენ, რომელ ცისკენ გამოვემართო.

ვეძებთ ერთმანეთს, ვით მგზავრს მგზავრი უცხო ქალაქში,
ვარ დაჩოქილი ტაძარში და უფალს ვავედრებ:
ამ ქუჩებიდან, ო, უფალო, ისე ნუ წაგვშლი,
თუ ერთხელ მაინც ჩვენს ღიმილებს არ შეახვედრებ!

ნატალი აბესაძე

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი,
ქართული ფილოლოგია,
IV კურსი

რა ხდება თქვენკენ...

წაბლის ტყეებო!
როგორია ეს გაზაფხული?
თქვენ მდუმარებით დაცხრომიხართ
მიწას ფესვებით...
რა ხდება თქვენკენ,
გობისებრი მხარის აუზში?
მწვანე ტონების სიმძაფრეში
და ოაზისში?
ამ გაზაფხულზე
მიწა, ალბათ, ძლიერ გრილია
და ნეშომპალა –
სასიკეთოდ თქვენდა –
ნოტიო...
წაბლის ტყეებო,
განა არის სევდა ისეთი,
მწვანე წვიმის დროს
თქვენს შრიალში არ დაეტიოს?
აქ მოწყენაა, მაგრამ წასვლას არ იხვეწებით,
და ეს ცხრათავა დევებიც კი აღარ გაოცებთ;
ვერც მდინარეებს შეუძლიათ, ხელისცეცებით
რომ გადაგრიყონ მცენარეთა სასაფლაოზე...
მაგრამ ერთხელაც ქვიშისა და სილის მსახური
ამ პაწაწინა მონაკვეთსაც ფილტვებს აუვსებს...

წაბლის ტყეებო! თუ ფიქრობთ თქვენ იმ
გაზაფხულზე?
რა ხდება თქვენკენ,
გობისებრი მხარის აუზში?

მკვეთრი ყვითელი

მანამდე,
სანამ კუბოში ჩამაწვენ

შენივე სასტიკი
გრილი ხელით,

ჩამაცვი მაინც
კაბა,
მკვეთრი
მკვეთრი
ყვითელი...

სანამ ყინულით
მოოჭვილ
ყელზე
სამკაულს დამკიდებ,
გამორჩეულს,

და მკერდზე
დანის პირს ისე დამისვამ,
მეტყვი –
არც მოკვდე,
არც
მორჩეო,

ჩამაცვი მხიარული
კაბა,
მკვეთრი
მკვეთრი
ყვითელი....

ძილში სიკვდილი

იგი ავ სიზმარს გამოექცა
და უნებურად
გზა აერია ორი ქვეყნის
გზაგასაყარზე...

ოთხი იანვარი..

ახლა მზე არის გარეთ,
თოვლის მისხალიც კი არ.
აქ ადგილს ეძებს კათარსისი.
ოთხი იანვარია.

ცხოვრების მიზანს ხედავ რაში?
დღეები ჰგვანან განავთულ წეროებს.
სიზმრის უხინჯო, თეთრი რაში
რელსიდან თავს აგაწევინებს.

ღამდება იმ ფერთა მიმოხვრაში,
რომელსაც ვუმზერ უკვე ვერ.
სიზმრის მრავალფერ ქვეყანაში
მარადიულ ქნარზე უკრავენ.

1-ლი დღე...

დღეს გაზაფხულის პირველი დღეა
და ფერმკრთალდება ყველა საკითხი;
დღეს გაზაფხულის პირველი დღეა,
ეჭვიანი და გულგასახეთქი...

არის სიჩუმე. ძველი თაროდან
მოდის სურნელი, მხდალი, ღარიბი.
ამ თებერვალში ხომ გიხაროდა
ახალთახალი ჭრელი კაბები?

ხედავ თაიგულს დაღვრილ სამელნის.
შენ ასე ჩუმი და უხმაურო
გემშვიდობება აუტანელი
ზამთრის კაშკაშა აურზაური.

დღეს გაზაფხულის პირველი დღეა
და ფერმკრთალდება ყველა საკითხი;
დღეს გაზაფხულის პირველი დღეა,
უბრალო, მაგრამ გულგასახეთქი...

სანსკრიტი

აღმართზე ამოვრბოდი.
აღმართის თავზე მხვდებოდი შენ –
სანსკრიტი,
რომელსაც მეცნიერი შეეჭიდა,
დაემსგავსა ნელ სიკვდილს.
რა მიხაროდა?
ან რა მიმძიმდა?
თოვლი – მლაშე, ძველი და თეთრი...
უდაბურ მთებში მარტოობის არ შეგეშინდეს.

აღმართზე ამოვრბოდი.
აღმართს შუა შენ მხვდებოდი,
გულში მიკრავდი,
მხოლოდ თოვლის
ჩუმი სისველით
და მეუბნებოდი –
რა გვიხარია, ან რა გვიმძიმს?
სანსკრიტი, რომელსაც მეცნიერი შეეჭიდა
ბედნიერების
მომტანი
არ აღმოჩნდა
მისთვის.

სიზმრის დევნა

ჩემი ხელებიდან
სამოსელი,
როგორც მსუბუქი ნისლი,
წაიღე,
მაგრამ, თუ მიხსენებ,
და თუკი ისევ მისმენ,

სიზმრის ჩარჩოდან გამომხსენი,
სიზმრის დევნისგან მიხსენ...

ნაწნავთა სილურჯით გამოვცვალე
გზა...
სიზმარეული სივრცე
ჩემში ირეკლავს სალოცავებს -
თაღებს, მზეებს და ქვის ჯვრებს...

ოცნება, სიტყვებგამოცლილი,
ხედავ? აკინებს მზის სხივს...
და ხელი მომეც,
და მომწერე,
სიზმრის დევნისგან მიხსენ...

მთის ლუმინა

ჩემს მინავლებულ, მოცახცახე სულს არ დაეძებს,
სჯერა, ათასი ჭრილობაც კი ასატანია...
ო, თმები! ყინვის ლოლოებად იქცა და მაინც
ლუმინა ჩვენი დაბადების მთისკენ მიმათრევს.

ლუმინას თითქოს მარგალიტის კაბა აცვია,
იგი არსებად გადაიქცა ვრცელი ტყეების;
ლუმინას კანი შეეხამა თოვლსა და ყინვას
და მას კურდღლებიც არ უფრთხიან;

მისი ხელები

მექაჩებიან ადგილისკენ,
სადაც დუმფარა
ათასწლოვანი სეკვოიის ფეხთან დაცურავს;
სადაც წყაროა თვალლურჯი
და ისე კრიალა,
როგორც ფიქრები არარსებულ,
სიზმრის ყმაწვილის;
სად ღამე ათას ოცდათერთმეტ ვარსკვლავს მოიყვანს,
ხოლო ხეები ზღაპრულ ლანდებს ემსგავსებიან...

ლუმინას თეთრი მარგალიტის კაბა აცვია
და მისი თმები რბილია და ხელშეუხები;
იგი თბილია და მკაცრია, როგორც მშობელი;
იგი სანდოა, სანატრი და დაუდგრომელი,

და ჩვენ ფარფატით ვეგებებით მარადისობას....

***

ადამიანების ხელები,
ვინც მე მიყვარდა,
კართან ეყარნენ
ლურჯ და დამჭკნარ ორქიდეებად.
მე მათ ვუყვებოდი:
- ღმერთო, თქვენ არ იცით, რამდენი რამისთვის გამიძლია;
სხვის ქვეყანაში მე რამდენი ზაფხული ვნახე
და რამდენ ყინულისთვალება ზღვას შევესახლე;
გული რამდენჯერ მტკივებია ავი სიცივით;
და აი, ნახეთ, არ ჩავმქრალვარ...
- და შენ რა იცი, იქნებ ჭკნები?
ადამიანების ბაგეები, მათი, ვინც მიყვარდა, ჩურჩულებდნენ...

ლალი ჭეშმარიტაშვილი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
ქართული ფილოლოგია
II კურსი

ორი მეტაფორა

შეცვარულ თითებს, შეყინულ მკლავებს,
გაძარცვულ სხეულს, ალმასად ათლილს,
ვადარებ, ჩემო, შენს უცხო მთა-ველს,
თითო ვაზს, ხეებს, მისხლობით ათვლილს.
მაგ მწველ ბაგეებს – გარეჯის არეს
და თვალებს, კამკამს, როშკისტბებიანს,
მაგ გულს – თეთნულდის მყინვარის მხარეს,
მასთან მიმავალ აღმართგზებიანს.
თავს რომ გახსენებს ხშირად იარა –
ის ობოლი და გერი ვიღაცის,
აფხაზეთია, ვინაც გიარა,
არშერჩენილი კიდე მიღმა ცის.
ისევ ნისლია ჩამოწოლილი,
ვეღარც შენ მატკბობ ზვირთებით, თერგო,
და წარსულიდან ჩამოყოლილი,
მე მხოლოდ შენი ქუხილი მერგო.
შენი სხეული ასე ნატიფი,
ვინ მეტყვის, რატომ ვნახე კრწანისზე,
ვინ მეტყვის კიდევ, რომ მე ვიფიქრო
შენზე, მამულზე, ახალ აისზე...

ჩემებური კოშმარი

თეთრად მიფერავს ღამის ტილოებს
მასავით თეთრი ჩემი ფურცელი,
ძნელია ყველა ულექსო ღამე,
ძნელია, როცა რჩები უცვლელი.
წითლად იწყება უკვე მეორე
სტროფი უძლური, სტროფი ძალადი.
დაადგი კალამს უღელი მწარე,
შენში დამწყვდეულ მხეცს რომ მალავდი.
ძნელია ყველა ულექსო ღამე,
ძნელია, როგორც შენი სახება,
რომელიც არის ჩემში ყოველ წუთს,
მაგრამ საჩემოდ არ მესახება...
დაქრიან მარად ქალწულთა შორის
ხელშეუხები სიტყვები წმინდა,
რომლებიც თურმე მომაკითხავენ
იმ დროს, როდესაც მე ძილი მინდა.
შემორიგება ყოფილა ძნელი,
გავხდი დარაჯი, ღამეს ვუთენებ
სიტყვებს, რომლებიც მე აღარ მყოფნის,
სიტყვებს, რომლებსაც არ მოვასვენებ!
მაშინ დავიწყოთ ღამეთა ტეხა,
დავრჩეთ წყვდიადში მხოლოდ ჩვენ ორნი:
სიტყვა – ლომივით სისხლმომდინარე,
მე – როგორც ბოლო გლადიატორი.

სალომე ბზარაშვილი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი,
ქართული ფილოლოგია,
I კურსი

***

ქართული სისხლით ალმოდებულ ხევები ყეფენ,
მირბის თერგი, ვით საქართველო იგლიჯავს არტახს,
ამა სოფელში გმირთა სუნთქვა ვინძლო, რომ შეწყდეს,
ვინძლო, რომ შეწყდეს, მაგრამ ღმერთი მათ სულებს ქარგავს.
მარადისობით, უფლის რწმენით, თავისუფლებით,
ქართველის სულით დამონება ვინ მოიგონა,
დედის დალოცვით და გალობით ჩვენ გადავრჩებით,
ვაჟკაცის თვალებს უკვდავება ტრფობამ შთაბერა.
ზარები რეკენ და ბრძოლის ველს იმედით ამკობს,
თავგანწირული არსებობა ჩვენი ხვედრია,
აგვისტოს გმირებს სამშობლო გულს უხსნის და ანდობს,
რწმენის კელაპტრებს, დედის ამაყ ფიქრთ როს სჩვევიათ.
ჩვენ დავინახეთ, რა მადლია, იბრძოლო ცისთვის,
ბუნების ჰანგი ვერდაჩოქილ ვაჟკაცთ გონს ლესავს,
გზა აღსასრულის არ არსებობს, როს კვდები ღვთისთვის,
საქართველოს კი ნაძარცვ მხრებზე უფალი მოსავს.
დე, საუკუნოდ ბობოქრობდეს ვენებში სისხლი,
ოხ, ეს გულწრფელი სიმამაცე რომ გაიგონა,
მე ამაყი ვარ თქვენი ღვაწლით, ვამბობ და ვიტყვი,
ქართველის სულით დამონება ვინ მოიგონა.

***

მე არ ვარ ღმერთი, არც ეშმაკი და არც ქურუმი,
მე დაცემული ღრუბლების ტყვე ვარ,
ჩრდილო ციალის მოტრფიალე, ზაფხულის ნამი,
გარდასულ მზეთა, მომაკვდავთა სხივების სევდა.
ნისლშემოსილი სარკმელების საყრდენს დავეძებ,
და უფრო მეტად მიმძაფრდება გაცემის განცდა,
სიო, თვით უტყვი, მელანქოლიკს თავს არ მანებებს,
როს თვით ლაჟვარდში აგონიის ბურუსი ჩადგა.
სული სად არის?! ცისკრის მიჯნურთ დაცლილი ეძებს,
რომ უპატრონონ, მდუმარების სალბუნი მოსავთ,
უთხარით ვინმემ, პოეზიით ღმერთის კვალს ვეძებ,
და ვერ ვძლებ, გესმით? სიმყარის ლანდს ჩადრად ვიმოსავ.
ანარეკლები გუბურებში, ჩამხრჩვალი სივრცე,
მევიოლინის გულს ბგერებით ოცნება ლესავს,
და ვინ ვარ, მითხარ? ან რად გინდათ, რომ ოდეს ვიქცე,
საკუთარ თავთან გადარჩენის სარკაზმი მგესლავს.
ბრმა ჰორიზონტზე დაგეშილი ტალღები ყეფენ,
მიქცევ-მოქცევამ ბავშვობიდან სიბერედ გამცრა,
ეს მდუმარება, ვერ ნათქვამი ფიქრები შეწყდნენ,
შემომაცვდება იმედი და თითები ნამქრავს.
დღეს ალმოდებულ მწუხრის ჩადრზე სიშიშვლე მეფობს,
და გაქცეული შთაგონება ყორნის სულს ირგებს,
არ მინდა ტახტი და არც სკიპტრა ძღვენად რომ მერგოს,
ისედაც ვიცი, სიკვდილი რომ ამ ხელს მომიგებს.

ირმა მიქავა

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი.
ინგლისური ფილოლოგია
მაგისტრატურა, I კურსი

***

ქარებს დავყავარ ფიქრებად,
და ჩემში წვიმას აცილებს,
გრიგალი სულში მიბერავს,
ყინული ყელში მაციებს;

ჩამხედავ... ვჩანვარ ადვილი,
სინამდვილეში ძნელი ვარ,
მე თვითონ ვერ გამიგია,
საერთოდ ვინ ოხერი ვარ;

დამარწევს ქარი შენს ხელში,
წვიმაც მოწინწკლავს ფიქრებად,
დღეს გაპატიებ ყველაფერს,
მერე გვიანი იქნება...

ვოცნებობ, ვწერ და მაშინებს,
უღმრთოდ სიცოცხლე ღმერთიანს,
მინდა რომ სამარადჟამოდ
ვხედავდე ყველას ერთიანს;

ტყის კაკალივით ვგორდები,
ჩემივე ფიქრის დაბლობზე,
მერე შენ მოხვალ, ძვირფასო,
და ამომიყვან მაღლობზე;

მიმიკრავ გულში ძლიერად,
სულის სიმები შეკრთება,
თითო ფოთოლი ყველა ხეს,
ხელახლა მწვანე ექნება;

და სიხარულის ცრემლები
დანამავს სახის გუბეებს,
შემახებ ხელს და უნებრად
დაკოცნი თვალის უპეებს;

მერე ჩურჩულით გიამბობ,
თან ცრემლი წამეტანება,
თუ როგორ მხიბლავს მე შენი
ღვთიური თავშეკავება...

თხოვნა შენდამი

შენგან არ გამიშვა, შენზე მოფიქრალი,
სევდას, გულის ნადებს ვინღა დამიამებს,
არვინ არ მჭირდება, არვის გავენდობი...
ლექსებს ვიღაღადებ
შენით ნაიარევს;
ია დამიჭკნება,
ვარდი გახმება და
ცრემლიც დამიშრება.
ჭრელი გაზაფხული აღარ დამიდგება,
აღარ მეყვარება,
აღარ დამჭირდება.

შენგან არ გამიშვა, შენზე მოფიქრალი,
გთხოვ და ისევ ყელზე ცრემლი მებჯინება,
ვიცი, ჩემზე მეტად შენ რომ იტანჯები,
ვიცი, ყოველ წამში ჩემზე გეფიქრება.

არ ხარ რომეო და არც მე ჯულიეტა,
მაგრამ ბედისწერა შექსპირს დაესესხა.
შხამი ცხოვრებაა, ვსვამთ და ნელა ვკვდებით,
ვახრჩობთ ოცნებებს და ილუზიებს ვებრძვით.

გადის დრო და წამებს ითვლის ქვიშის საათი,
ვებრძვი ჯოჯოხეთის არსებებს და ისევ
ლურჯად მოელვარე ფაშატს მივაქროლებ,
მოჩანს სინათლე და ქრება იგი მყისვე.

თითებს დამიკოცნი, ვნებას აყოლილი,
მე კი ჩვეულებრივ ამას გავიკვირვებ,
იას შემურდება ნაზი ვარდ-ყოილის,
ღამით სევდიანი ვეღარ დაიძინებს.

შენგან არ გამიშვა, შენზე მოფიქრალი,
სირცხვილს ნუღარ მაწვნევ შორით არსებობით,
და თუ შეატყვე, რომ თავი მოვიკალი,
თავი მოვიკალი, თუმცა არც ელოდი.

გადის დრო და წამებს ითვლის ქვიშის საათი,
ღამეს მოციაგეს არ სურს ჩემი ყოფნა,
მიყვარს სიახლოვე ცის და ანგელოზის,
მიყვარს უფლისათვის შენი თავის თხოვნა.

ვერიკო თოლორდავა

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი,
III კურსი

ტყის მჭრელი

ტყის ყომრალ მიწაზე მივაბიჯებ,
თან მიმაქვს ცოტა ორზოლი[1] და
ქვაზე ალესილი ნაჯახი.
თავზე ჩამოფხატულ ორზოლიან
ქუდზე მეკითხება კაჭკაჭი:
ეს ქუდი ადრეც თუ გეხურაო,
შარშან რომ დავკარგე ბარტყები, ტყემ ჩაყლაპაო ჩემი ბუდე.
გზაში ვარ ჯერ კიდევ, ვიღაცის სახლში დუღს ლაგვანის[2] მაჭარი,
რაღაცას ვღიღინებ გლეხურად.
მაცვია მუხლამდე რუსული ბოტები,
მალე კი სულ ბოლო წირვამდე მივიყვან.
მივათრევ თუ მითრევს ტალახში სიმძიმე ბელტების,
მამლები დაბლიდან პირველ ხმას ყივიან.
ინათებს სოფელში და ჩემი სახლიდან ჩაირბენს წყურგილში[3] სისხამზე ცოლი, რომ მოიკლას წყურვილი.
თუთუნს ვყრი ჩიბუხში, მწარეა, უღონოც, დალახვროს ეშმაკმა, იფურთხე, ახველე. ჯერ არც ჩანს ფერდობის დამლევი, თუ არის,
ერთ-ორ ხეს მოვჭრი და გავყიდი, ორ კვირას ეყოფა ჩემს ნენეს წამლები.
ტყის ყომრალ მიწაზე მივდივარ ტყის მჭრელი, მამძიმებს რუკზაკით ეს ხმელა ორზოლი, თავშლიან ქალისგან ლუკმებით სამხარად მოზომილ პინტაში[4] გაკრული.
ერთ-ორ ხეს თუ კიდევ მოვჭრი და, ჩემს ნენეს გუდის ყველს ვუყიდი, კრენდილსაც[5] ავუსხამ პატარა კილეზე[6], ჯანდაბას ეს ყოფა მომჭირნედ. ჩემს ქალსაც ვუყიდი ერთ ახალ საკაბეს, დაკემსილ წინსაფრებს დავუხევ, მე კი ამ ნაჯახს და მარჯვენას დავიხმარ და ტარებს გამოვჭრი, – თოხის ტარს და ბარის, ცულის და ბურჭულის[7], – ეგება გავყიდო.
არ წყდება ტყისპირას ჩიტების ჟღურტული, თან ყვავი დამჩხავის, მანაც თუ დაკარგა ჩემსავით ბახალა, ადრე დაეძებს და არ ტოვებს უნახავს.
იქნება მოვიკლო ლოგინი ამაღამ და რასაც მოვასწრებ ვჩეხო და გავკაფო, რომ ნენეს წითელა ტუფლებით ავუნთო ციმციმა თვალები. ცოტასაც გავუძლებ, ან ღმერთის იმედად რა უნდა დავკარგო?
ცოლი:
ვედრებით მოვათრევ სახლამდე ამ რგილ[8] წყალს,
შორს გზისკენ მიჭირავს წყეული თვალები.
ნუთუ შენ ჩაყლაპე უკვალოდ, რომ, მიწავ,
კვირაა, არა ჩანს ეს კაცი იმ გზიდან?

---

[1]ორზოლი - საგზალი
[2]ლაგვანი - ქვევრი
[3]წყურგილი - წყარო
[4]პინტა - ნაჭრის ნაგლეჯი
[5]კრენდილი - ყველის რგოლი, მზადდება სულგუნისგან, შეიძლება იყოს შებოლილიც.
[6]კილე - მკლავი
[7]ბურჭული - წალდი
[8]რგილი - გრილი, ცივი.

ჭინჭრიან სალაფავს ვჯერდებით, რა ვუყო, გავზიდე სახლიდან, რაც მქონდა ძვირფასი.
ის, ალბათ, იქ გდია უღონო, მშიერი, ან მხეცმა დატორა, სისხლი სდის მკლავიდან. ჩემს ნენეს დავტოვებ, მძინარს და სიცხიანს, ვერ ვშველი ვერც ამას და გული მიკვდება. საბრალო ხალხი ვართ, სამნი და ცალ-ცალკე, სამივე ღმერთის და სიკვდილის იმედად.
მეშარე:
მრავალი შარა და შუკა და ბილიკი ვიარე, ათასი კაცის და სიცოცხლის სამყოფი. მაგრამ რაც მიამბეს, რა ვქნა, რომ ძნელია, შეგძრავს და აგირევს სიტყვებს და საფიქრალს.
ზემოთა სოფლიდან მოვდივარ. გზად შემხვდა თავთეთრი ქალი და კივილით მომვარდა – მომიკვდა ქმარი და მიკვდება პატარა შვილიო.
ვიკითხე დედაბრის ამბავი.
ოდესღაც ჰყოლია ქმარი და ყოფილა კვდომა და შიმშილი. წასულა ტყის მჭრელი მთაში და უჭრია დიდი და უნაკლო ხეები, ღამემდე იქნევდა საწყალი დაკოჟრილ ხელებით სისხლსავსე ვენიან მტევნებს და დაეცა მოჭრილი ხის ტოტი.
ერთ კვირას რომ ვეღარ დაბრუნდა, ილოცა ცოლმა და დატოვა ოჯახი. იპოვა თავისი კაცი, თავგაჩეხილი ხის ტოტისგან, თვალამოთხრილი და ფრინველებისგან დაკორტნილი.
იგლოვა დიდხანს, ის კაციც და თავისი თავიც, მოადგა სოფელს კივილით და უბედურებით, სოფელმა თავისი უბედურება დაახვედრა. მოუკვდა შვილიც.
ამბობენ, იმ წამს შვილის ცხედარს რომ დახედა, თმები გაუთეთრდაო ბედშავს.
დადის და შველას ითხოვს სოფლისგან – ქმარი არა მყავს და შვილი მიკვდებაო შიმშილისგან, ერთი შარშან მივაბარეთო მიწას. დრო შეიცვალა, დადის თეთრთმიანი ქალი სოფელში, აპურებენ და აცოცხლებენ, მადლიაო. ღამღამობით საფლავებზე დაემხობა და მიწას იყრის. ცოცხალი მაინც დამმარხეთო, უთხოვია წირვისას მღვდლისთვის.
სიკვდილი:
თავზე ჩამოფხატულ ორზოლიან
ქუდზე მეკითხება კაჭკაჭი –
ეს ქუდი ადრეც თუ გეხურაო,
შარშან რომ დავკარგე ბარტყები.

***

მე სამუდამოდ ვიხურავ კარებს,
კარებს, რომელსაც აღარ შევაღებ.
ჩვენი დღეები თარიღებს კრავენ
და არ ჰყვებიან წასვლის შესახებ.
ბინდდება. ღამე ეკვრება ტოტებს,
ნელა ირწევა ღრუბელთა ფთილა.
მე შენში ახალ ანაბეჭდს ვტოვებ,
მაგრამ მაშინვე ხელახლა შლიან.
მახსოვს შეხვედრა სველ ხეივანში
და ის კადრები როგორ მიდიან.
ახლა სიმშვიდეც ჩანს ხეიბარი
და როგორც ციხე, ტყდება შიგნიდან.
რა დიდი დროა, სულ ერთი წამი,
როცა ვიხსენებ, „მაშინ და ახლა“,
მაშინ - მანძილი შორი მიწამდე,
ახლა - სულ შორი სიტყვამდე „გნახავ“.
მე სამუდამოდ ვიხურავ კარებს,
გტოვებ, მივდივარ, ანდა გეხსნები,
მაგრამ შენ გრჩება, რასაც ვერ კლავენ,
მე, შენ და, კიდევ, ჩვენი ლექსები.

***

არ ნებდებიან პლანეტები პლატონურ გრძნობებს,
არ სცილდებიან პლანეტები ვიწრო ორბიტას,
შენ შეგიძლია, შავი ხვრელის წინაშე ძრწოდე,
მე კი შენამდე გალაქტიკას მუჭით მოვიტან.
არ აცვდებიან დედამიწის კიდენი იმ ღერძს,
რომლის გარშემოც ვტრიალებთ და ვჩერდებით ხოლმე,
მთელი სხეული იმ ღერძივით ბრუნვაში ვიღრძე,
მაგრამ მივდივარ ოდნავ მაინც, სადაც მიხმობენ.
წლები ქოქოსის მერქანივით უტეხნი, მძლავრნი,
მიდიან მტკიცე ნაბიჯებით, მერყევი გზებით,
მიდიან მკაცრად გარინდული უქრობი ძრავით,
მიდიან ყველგან, არსაით და სულ ოდნავ ზევით.
მაინც მიწიდან ზეცისაკენ აშვერილ კიჩოს
იჭმუხნის სახის ნაკვთებივით დაღლილი მიწა;
ჩემი ტერფებით გაცვეთილი ფეხსაცმლის ლანჩი
ივლის ხმაურით, დამაშვრალთა ძვლების ლიწინად.
მე უნდა ვძრწოდე ატმოსფეროს მომაკვდავ გარსში,
ყველა სიზმარში მიმიზიდოს მკრთალმა სიკვდილმა,
მე კაბად უნდა დედამიწის მეცვას ავდარი
და სიყვარულმა უფრო მყარად ტანზე მიმიკრას.
მეტყვის ჩურჩულით პოეზიის სულ ბოლო წვეთი,
შრატი, წამლად და საწამლავად, რჩევად დასტაქრის:
„ბოლოს არავინ ჩაგიფიქრებს ციდან მოწყვეტილს,
ზეცაც კი კვდომის სილამაზეს სწრაფად წაგაცლის.“
ჩემთვის არ არის მოკვდავების არცერთი ცრემლი,
არც პოლარული ღამეების თეთრი სიზმრები,
მე დედამიწას ვიწრო ზომის კედივით ვცრეცდი
და კოშმარებსაც მივეჩვიე, უშვერი ზმნებით –
ვამკობდი დილით დავიწყებულ საშიშ პასაჟებს,
წყალს ვუყვებოდი გამოყოლილ შიშთა შესახებ,
ვთხოვდი შენს მოსვლას, რადგან წყევლის მსგავსად დამსაჯეს,
„ერთხელ მძინარე შთამაგონე, ხელი შემახე“.
მთელ გალაქტიკას დაგიცურებ მუხლებზე, მკლავზე,
ოღონდ ამ ერთხელ დამიხსენი; ჩემს ბნელ საკანში
ის დემონები ჯოჯოხეთის ცეცხლზე ცეკვავენ,
შენამდე ჩემი სიყვარულით, რასაც ვაკავებ.
ვიცი, ოდესმე გავუყვები დუნე მდინარეს,
ცაზე იცურებს კალმახივით ნამგალა მთვარე,
ვიცი, რომ მაშინ ყველა სიტყვას დავაბინავებ,
თუ დღეს ვერაფრით ეს ლექსები ვერ დავამთავრე.

ლაშა ლოსეურაშვილი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, ისტორია,
III კურსი

***

მივყვები ქარებს და უცნობ ბილიკს,
არ ვიცი, ეს გზა სადამდე მივა,
და ვგრძნობ, ეს ფიქრი რამდენად მიმძიმს;
გარეთ ქარია, წვიმაა, მცივა...
დავეძებ ნუგეშს, დავეძებ იმედს,
თვალები ისევ სევდიანია.
ღამეა, ციდან მთვარეც არ მიმზერს,
ღამეა ახლა და გვიანია,
რომ მე გავჩერდე იქ, სადაც ადრე
და ვერ მივაგნო ჩემს ადგილს ვერსად,
გულია ახლა სიცოცხლით სავსე
და ისევ ფეთქავს, ფეთქავს და ფეთქავს.
მაგრამ წამები მისდევენ წამებს,
დრო ნელა კვდება, რა რჩება ბოლოს,
მხოლოდ ფიქრები, მოგონებები,
მოგონებები, – აი რა ცოცხლობს.
რომ მივდიოდი, არ მახსოვს, საით,
მარტო, დაღლილი, და თან მდუმარე;
არ მახსოვს – რატომ, რისთვის და მაინც
ასე უაზროდ გარბოდა ღამე,
მე მივდიოდი და ღამე იყო,
მე მივდიოდი და ვგრძნობდი სევდას,
და გაზაფხულის წვიმა დაიწყო,
და უცებ გულმა შეწყვიტა ფეთქვა.
მე მივდიოდი და მახსოვს მაშინ
ქართ მოტანილი გიტარის ჟღერა,
მახსოვს, ვნატრობდი ვიღაცას გზაში...
თუმცა არავინ გადამეყარა.
მე მივდიოდი, არ მახსოვს – რატომ,
მე მივდიოდი და ღამე იყო,
მე მივდიოდი, დაღლილი, მარტო,
და გაზაფხულის წვიმა დაიწყო.

***

მე უსასრულო ღამეებს ვითვლი,
და ეს ფიქრები გავითავისე,
რომ ჩემი ყველა ოცნება მიმძიმს,
და სიმარტოვე ჩემი თავისვე.
მე ისევ შორის ვარსკვლავებს ვეტრფი,
და მთვარის შუქზე თავს ვიკლავ რადგან,
ვგრძნობ, აღარ დამრჩა გრძნობა არც ერთი
და დავაბიჯებ მიწაზე ლანდად.
მე ვერაფერი მიშველის, ვატყობ,
ჩემი ცრემლებით ნამულ მიწაზე.
ვწუხვარ, მივდივარ და მაინც ვდარდობ,
რომ ეს სიცოცხლე მე ვერ ვიწამე.
და ისევ საზღვრებს გასცდება ფიქრი
და ლექსის წერა ბოლოს დავიწყე.
ვამბობ, კვლავ ყველა ოცნება მიმძიმს
და სიმარტოვე ჩემი თავისვე.

***

დაუწერელი ლექსები მღლიდა,
გამოუთქმელი გრძნობები ჩემი.
პოეზიაა ყველაზე წმინდა,
პოეზიაა ყველაზე წრფელი,
ვით გაზაფხულის პირველი დილა,
სიცოცხლისა და იმედის ფერი.
პოეზიაა ყველაზე წმინდა,
პოეზიაა ყველაზე წრფელი.
სიცოცხლე მხოლოდ ერთ ლექსად ღირს და,
თუმც ასე სავსე სევდით და ცრემლით.
პოეზიაა ყველაზე წმინდა,
პოეზიაა ყველაზე წრფელი.

***

ვეღარ გაუძლეს სევდას თვალებმა,
ვგრძნობ, ჩემი გული რომ იფერფლება.
ღამეა ჩემი გარდაცვალება
და ვგრძნობ ჩემს ბოლოს, რაც მელოდება.
ცრემლიან ფიქრით, შორეულ მიზნის
შორს გადაკარგულ ოცნების ზღვართან.
მე მივდიოდი სიცოცხლის ჟინით
ანთებულიც და ჩამქრალი ხანაც.
მივდიოდი და არ ჩანდა ბოლო,
არც ტკივილის და არც ბედისწერის.
მხვდებოდა სევდა და დარდი მხოლოდ
და ვგრძნობდი, ჩემში ტიროდა ღმერთიც.

მარიამ გიორგაძე

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი,
ქართული ფილოლოგია,
I კურსი

თეთრი ვარდები

მიაქვს სამყაროს თეთრი ვარდები,
თან ქუჩის ბოლოს ნაცნობებს ლანდავს,
დაეკიდება მთვარეს დარდები
და დამწყვდეულ შუქს საფლავზე ფანტავს.

მხოლოდ ამ მთვარემ, მხოლოდ ამ მთვარემ
იცის ამბავი ველური გრძნობის,
თუ როგორ გაყო სიცოცხლე ღამემ,
თუ როგორ მოხდა ამბავი, რომლის,

ფერთა სილაღე ათრობდა მარტს და
ელანდებოდა ნოემბერს ძილში,
დაეშვებოდა ვარსკვლავთა ფარდა,
ესვენებოდა მოლურჯო ტივში.

ეფაკლებოდა ზეცას ლოყები,
ჰორიზონტს უკვე სხვა შუქი ცვლიდა,
თან არ უკითხავთ, როგორ მოვყევი
და როგორ ვთქვი, რომ სიცოცხლე მინდა.

რადგან იცოდნენ ყველა ის გრძნობა,
ყველა ის ნატვრა, ამქვეყნად თქმული,
რასაც არავინ მოსთხოვა ნდობა,
რაზეც სამყაროს შესტკივა გული.

მხოლოდ იმ მთვარეს, მხოლოდ იმ მიწას
ესმოდა ორი სიჩუმის ბგერა,
ვისაც სიკვდილის ძალისგან იცავს,
ვისაც სჭირდება სხვა გულის ძგერა.

ჩაეშვებოდა ბნელი ფარდები,
გზა ქუჩის ბოლოს ნაცნობს ლანდავდა,
ღამეს მიჰქონდა თეთრი ვარდები
და უკვდავების ქვებზე ფანტავდა...

სოფელი

ლურჯ ყვავილებს ართობს სხვისი ცხოვრება,
ნაღველს მოსწონს უსასრულოდ თარეში,
შენ კი ისევ უცბად მოგაგონდება,
როგორ წევხარ სევდის ოკეანეში.

და ზღვას მიაქვს მოპარული ტალღები,
როგორც ზეცას უთვისტომო თოლია;
ნამს იფენენ ცრემლად მწვანე ბაღები,
ეს დრო კიდევ უსასრულო მგონია.

სხვის იმედად დარჩენილი ფიქრები,
უტყვი დარდით მომლოდინე მურია...
სამუდამოდ მარტოსული იქნები,
თუ გარეთაც სახლში ყოფნა გწყურია.

და ამიტომ ერქვა ჩემს სულს ობოლი,
დავუჯერე სიტყვებს – „მერე იქნება“,
შემოდგომის მოყვითალო ფოთოლი
კვლავ იმედის თვალწინ გარდაიცვლება.

უჩვეულო ოსტატობით მალავდა
ცრემლს ჰორიზონტს გაცდენილი მშობელი,
მე ვიქნები ქარის ნორჩი ბალადა
და მურია ამ ამბავის მთხრობელი.

მთვარე უკრავს ღამის ცისფერ კლავიშზე,
სადღაც სხვაგან უკვდავების წყალია,
თავი მიდევს სიხარულის ბალიშზე,
თუმცა, რაღაც, მაინც არ მიხარია.

ახლა ვიცი, რა გრძნობებით ელიან
მაშველს ზღვაში ჩარჩენილი გემები,
სხვა სიტყვებშიც, ალბათ, გაიქცევიან
ვისთვის დღე და ვისთვის, ალბათ, თვეები.

ლურჯ ყვავილებს მიაქვს სხვისი ცხოვრება,
იმედს მოსწონს უსასრულოდ თარეში,
მაგრამ მაინც ნატვრით მომაგონდება,
როგორ ვწევარ ჩემი სოფლის მკლავებში.

მე ვხედავ მზეს (ნოდარ დუმბაძისადმი)

ნაცნობი ფიქრით მივუყვები ღობეებს სოფლის,
ალბათ, მურადას ხმებიც უკვე წარსულს რგებია,
მგონია, ღიმილს შეჩვეული სიცოცხლით მოდის
ილარიონი, ილიკო და ოლღა ბებია.

ვხედავ ხმაურში გადაკარგულ სევდიან საზღვარს,
მეგობრის ხელებს, გაციებულს, ვეღარ იკარებს,
თავშეკავებით შემოიხსნის ცრემლების ქამარს,
„ნუ გეშინია დედას“ ახლა ზეცა იბარებს.

გზების დასასრულს მიიჩქარის უცხო აჩრდილი,
ღამემ აიღო გათენების ბნელი გროშები,
ისევ უცნობს აქვს მოწყალებით ხელი გაწვდილი,
ცეკვით მიდიან ქვაღორღიან გზაზე ბომები.

ვიღაცის სათქმელს უიმედო თვალები ამბობს,
თავისუფლებას ეცილება გული გრძნობაში,
ალბათ, მუდმივი სასჯელივით სითეთრე ჭარბობს
ბაირაღების გადაჩვეულ არსებობაში.

წერტილი სამი, პაუზა და ღიმილის ფონი...
ფერებს ეკვრება საიმედო სიჩუმის ნისლი,
თუ ინტერესმა საბოლოოდ დაკარგა გონი,
მარადისობის კანონების რიგებს დაითვლი.

და თუ იმედებს არ გიცრუებს შეცნობის არსი,
უთქმელად გინდა, რომ ნუგეში გეწვიოს რამე,
ალბათ, ოცნების ილუზიებს უწოდე ფარსი,
უკანასკნელად გაგახარებს მზიანი ღამე.

მოხუცი სიო, მთის კალთაზე ვარდი ხატია,
იმედის კონას უკვდავების წყალში გინახავ,
გულმა მოისხა სურვილების მნათი მანტია,
რომ იმ სხვანაირ მზეს ოდესმე მეც დავინახავ.

ნაცნობი ფიქრი მომატარებს ღობეებს სოფლის,
მურადას ხმები იქნებ წარსულს ადრე რგებია?!.
მგონია, ღიმილშეჩვეული სიცოცხლით მოდის
ილარიონი, ილიკო და ოლღა ბებია...

სიშორე

მივდივარ სადღაც, სიშორე მინდა
და გარდაცვლილი ფოთლების გროვა,
თუმცა ლოდინი არასდროს ღირდა...
მჯერა, რომ ვიღაც უცილოდ მოვა –
დაშრება ყველა ნაცნობი სევდა,
ვადაგასული სიმშვიდის წყარო.
გულთამპყრობელის ტიტულს დასდევდა
სხვისი შექმნილი შენი სამყარო,
კვლავ დროის გამო იცვლება გზები,
სხვა ვარსკვლავების ცეკვით ღამდება,
თავზე გასული ბუნების ხმები
ქაოსზე მეტად გათამამდება:
ჯიუტი გული „შორს მინდას“ ამბობს,
გარდაცვლილ ფოთლებს მიწა ხვდებიან,
სადღაც იმედის მარცვალი ჭარბობს,
იქ, სადაც აღარ დაბრუნდებიან...

ლიკა კაპანაძე

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი,
ქართული ფილოლოგია,
IV კურსი

***

წუხანდელ სიზმარს ვერ ავუწყვე ვერაფრით ფიქრი,
უხორცო ვიყავ, უგრძნობი და ცივი, ქვასავით,
მოვკვდი-თქო, ისღა გავიფიქრე, ღმერთო, და იქნებ,
აღმადგინო და გამაცოცხლო, როგორც ლაზარე...
რა ბედენაა, როცა ცოცხლობ და ისე შორს ხარ,
ცხოვრებისგან და საკუთარი სურვილებისგან,
რომ, როგორც ქარი სუსტ და მარად თავდახრილ შროშანს,
შენც ბედისწერა სულს გიფლითავს, და წყურვილივით
ეს მასობრივი აგონია ყელში ამოგდის,
და ფეხშიშველი ხავსმოდებულ ლიანდაგებზე
მიათრევ მწვავედ მტკივნეულ და ამაო ლოდინს.
ყრუ ფოთოლცვენა, ნოემბერი, მკვდარი ჩიტები,
ან, უფრო სწორად, იმედები ჩიტების ნაცვლად,
გცლის ეს ცხოვრება დაჟანგებულ ძველი მჭიდივით
და, როგორც ქარი ხეებს, ისე გძარცვავს და გძარცვავს
იმედებისგან, ღიმილისგან, სიხარულისგან...
თვალდახუჭული, მისდევ უცხოდ მოარულ ქარებს
და დიდი ხნის წინ მივიწყებულ სიყვარულისთვის
(ჩვევაა ძველი) ღიად ტოვებ მიხურულ კარებს.
უნდო სიზმრები ჩამოშლილი თმებივით წვანან
ჩემს წამწამებზე და ვერაფრით ავუწყვე ფიქრი,
ამიტომ ვფიქრობ, რომ რაღაცით გარდაცვლილს ვგავარ,
ლაზარესავით აღმადგინო, უფალო, იქნებ...

***

ნისლია, ჩვენ თეთრი საბანი გვახურავს,
და ვიჭერთ წვიმების მირაჟებს,
გრძნობები წიგნივით დავხურეთ,
გაცვდა მოთმინების ტირაჟი.
კუთხეში მიყრილ და დამტვერილ
უფერულ იმედებს ვეყრდნობი,
სხეულში შენი ხმის ნამტვრევი
აზრს მირევს, ხიჭვივით მესობა.
რთულია, დავხუჭო თვალები
და უფრო თვალებში გიყურო;
დღეები სევდებსაც გალევენ
და ეს მოთმინების ფიცრული
იქცევა ხავსად და ნარჩენად,
შენ თუ გსურს, კედლისკენ მიბრუნდი,
ან წადი, თუ არ გსურს დარჩენა.
მე ჩემი ცრემლებით ვაპურებ,
ტკივილის ტალღებს და თოლიებს,
და როგორც ცალ-ცალი საყურე,
უშენოდ მარტოობის ტოლი ვარ.

***

და ეს აგვისტო, ძვირფასო ნოა,
წვიმით სავსე და ქარებით სავსე,
ო, ამ აგვისტოს სურნელი მოაქვს
შენი თმის, ოთახს წუხილით ავსებს.
სიტყვები შენი,
ფიქრები შენი,
ჩაის ფერი და მოცხარის ფერი
და მკრთალ სახეზე იმდენად გშვენის
ღიმილი, როგორც სისავსე ქვევრებს...
ფანჯრის რაფაზე დინება წვეთის,
მძინარე ხელით მოძებნა საბნის,
და, გაბუტული ჩვენ ორზე ღმერთი,
წვიმს და ასველებს ფანჯრის წინ ატმებს...
ტოტებში გაჩრილ ჩურჩულებს ქარის,
შერხევას ფარდის, ნაბიჯებს დამფრთხალს,
სიმთვრალეს გვიან მოსული ქმარის,
საყვედურს ცოლის – ყველაფერს ჰგავხარ...
ყველაფერს, გარდა მომავალს ჩემკენ,
მოარულს მხრებზე სიმშვიდის ტვირთით.
ჰგავხარ სიცივემეპარულ ენკენს,
გადაღლილ სმენას როკით თუ ტვისტით.
ო, ეს აგვისტო, ძვირფასო ნოა,
აგვისტო, მზის და წვიმის ნაზავი,
მოდის და შენკენ სურნელი მოაქვს
ჩემი თმის, ცელქი ქარის ნადავლი.
დილა. რაფაზე დინება წვეთის,
მძინარე ხელით მოძებნა საბნის,
და გაბუტული ჩვენ ორზე ღმერთი,
წვიმს და ასველებს ფანჯრის წინ ატმებს...

***

ზაფხული, უდაბნო, დამწვარი ბალახი,
ქარი გდევს ფეხდაფეხ და მწველი შეხებით
მხრებიდან, თმებიდან ძველ სიზმრებს გადაყრი –
უჩემო მკათათვე იგრძენი ერთხელაც...
ალვები,
ალვები
წყვილად და ცალ-ცალად
მოსდევენ ბილიკებს,
როგორაც მგზავრები,
დამწვარი ფიქრები, ფერფლი და ნაცარი,
გრძნობები... სარკოფაგს უჩნდება ბზარები...
არადა თითები
ამ მწველი მკათათვის
სიცხით
და ალმურით გულატკეცილები,
მინდვრები ოქროსფრად,
ელვარე თავთავი,
თვალები სურვილით გადალეწილები.
შენ, როგორც ბრინჯაო და სველი მარმაში,
მკლავებზე ჩემს სიზმრებს ბავშვივით დაიწვენ
და ნელი მიმოხვრით და თამაშ-თამაშით
ეს ჩემი სიკერპეც
ბავშვივით დაიხევს
უკან და თვალებს დაბურავს
ხმატკბილი ზმანება,
მოფრენილ შორეთის ბზინვარე ქვეყნიდან:
– ძვირფასო, მე და შენ ერთურთში გავებით, –
დაცვარულ თვალებით ჩურჩულით მეტყვი და
ივლისის ზმანება, როგორაც თავთავებს
ოქროსფერ მტვერში და ბურანში, გაგვლეწავს
და არც კი ვეცდებით, ელვარე მკათათვის
ალმურს და ცეცხლოვან ყიჟინას გავექცეთ.

ბექა ბაიაშვილი

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი
IIIკურსი

უკვალოდ ქრებიან ფოთლები

უკვალოდ ქრებიან ფოთლები,
დავეძებ, ვეღარსად ვპოულობ,
ყოველ დღე ერთი წლით ვბერდები,
სიცოცხლედ შენს თვალებს ვთხოულობ.
ნიავზე კრთებიან ხეები,
ნოემბრის აშინებთ ლოდინი,
უშენო, სუსხივით დღეები,
სიყვარულს ცრემლებად მადინებს.
ჯერ კიდევ ადრეა ზამთარი,
ბუნებას სიცოცხლე სწყურია,
სიცივე, თოვლი და ავდარი
შენგან შორს ორმაგად რთულია.
პირველად ნანახი თვალები
ამ დღემდე მაგიჟებს ძირფესვად
და როგორც თოლია ქარებში,
თავის თავს ვეღარ ვფლობ, ძვირფასო.
უკვალოდ ქრებიან ფოთლები,
მე გულში გაზაფხულს ვთხოულობ,
ყოველ დღე ერთი წლით ვცოცხლდები,
როდესაც შ ე ნ ს თვალებს ვპოულობ.

გუშინ

გუშინ ქუჩაში ღვთაება ვნახე,
სამოსი ეცვა იასამანის,
ცაზე მზე კრთოდა, ღვთიური სახე
ჰქონდა თბილი და ოდნავ თამამი.
მომინდა მკლავში ჩამევლო ხელი,
ამ სამყაროსგან გამომეტაცა,
ერთად გვეცეკვა შოპენზე, ნელა,
და სიყვარული კიდევ მეცადა.
გუშინ ქუჩაში ღვთაება ვნახე,
წავიბორძიკე ზომაზე მეტად,
თვალები ჰქონდა გრძნობების მახედ,
ისეთი ფერის, რომ ნახავ ვერსად.
აღარც ცისფერი და აღარც თაფლის,
უფრო ლაჟვარდზე ოცნების ფერი,
ტუჩები ალბათ ტკბილი და მარწყვის,
თმები არც შავი, და აღარც ქერა.
გუშინ ქუჩაში ღვთაება ვნახე,
სამოსი ეცვა იასამანის,
მოვიტაცებდი მის ღვთიურ სახეს,
რომ ვიყო ოდნავ უფრო თამამი.

აუხდენელი...

სტუმრობა ვისურვე ნისლებთან,
მთის ქიმზე მინდოდა ყვირილი,
ფიცრების ქოხს ვდგამდი მინდვრებთან,
შენ გულში იკრავდი გვირილებს.
სითბოსთვის ვეკვროდით ერთმანეთს,
სიყვარულს ვლეწავდით კალოზე,
მე შენთვის ვეძებდი კესანეს,
შენ კოკას მატანდი წყაროზე.
შიშები არ გვქონდა მეწყერის,
იანვარს სიმღერით ვათევდით,
მე შენთვის ზვინს ვდგამდი ლექსების,
შენ ჩუმად თავს მხარზე მადებდი.
გვიანღა დგებოდა აპრილი,
ჯიხვები ჰყვაროობდნენ მაღალ მთას,
ქარბუქი – ბარიდან აყრილი,
გვითხრობდა გრძნობების ბალადას.
მდინარე მოჰყეფდა ღრიალით,
ვერაფრით კმაროობდა ნაპირებს,
შენ ჩემთვის მღეროდი წკრიალით,
მე თმებში გაწნავდი ყვავილებს.
სტუმრობა მეწადა ნისლებთან,
მთის ქიმზე მინდოდა ყვირილი,
დედოფალს მოჰგავდი, მინდვრებთან
თავზე რომ იდგამდი გვირილებს.

შენთან ძნელია

ცა ზღვის ფერია, ზღვა ოდნავ ლურჯი,
შენთან ძნელია, უშენოდ სუსტი ქარი უბერავს,
აღარ მელიან აღარც ფოთლები,
ისევ მელნიან ფურცლებს ვუზივარ.
გზები მარტოა (დადის არავინ),
დაეფარება სარკმელს ფარდები, როგორც სუდარა,
ასე მგონია, დავეკარგები დროს,
აღარ ესმის ჩემი მუდარა...
არავის ახსოვს, ცა ზღვის ფერი, ზღვა ოდნავ ლურჯი,
არავის ახსოვს თეთრი თოლია,
შენთან ძნელია, უშენოდ ვარ ნიავზე სუსტი,
მე ამნაირი ცხოვრებაში სხვა ვინ მყოლია.
ცა ზღვის ფერია, ზღვა ოდნავ ლურჯი,
ისევ მელნიან ფურცლებს ვუზივარ მე საუცხოოდ,
ცა მზის ფერია, მზე ჩადის სუსტად,
შენთან ძნელია... უშენოდ - უფრო...

ცოდვა დაუმალავი...

„თუ ღმერთი არ აშენებს სახლს,
ამაოდ ირჯებიან მუშაკნი!“

გკიცხავენ გასაკიცხები, ცოდვილნი ცოდვას გადებენ,
არ ეშინიათ ღვთის რისხვის – ახალ ბაბილონს აგებენ.
განგიკითხავენ, საკუთარ განსაკითხველს კი მალავენ,
ცოდვის ბილიკებს მრავალჯერ წარბშეუხრელად ჰკვალავენ.
გკლავენ, გძალავენ, გართმევენ, რაც აქვთ მცირედი ჰგონიათ,
ხორცად ცოცხლობენ, სულით კი დაუსრულებლად კვდებიან,
უანგარობას არ ცნობენ, სიკეთეს აგიწონიან!
მრუმობენ, ფეხქვეშ გთელავენ, ეშმაკებს ემონებიან.
ჯვარზე აცვამენ იესოს, 30 ვერცხლად ჰყიდიან,
თავისი ფეხით ჯოჯოხეთს თავაწეულნი მიდიან.
ცდუნებას ვერ გაურბიან და სიყვარულად ნათლავენ,
ნამდვილი გრძნობის სანაცვლოდ ცოდვის მეჯლისებს მართავენ.
გკიცხავენ, განგიკითხავენ, ცოდვილნი ცოდვას გაწერენ,
ვერც კი ამჩნევენ სულიერ სიკვდილზე ხელს რომ აწერენ.
ბოლოს მიწაში სწორდება, სუსტი იყო თუ ძლიერი,
წარმავალია სიცოცხლე – ყველას თავისი მიელის.

შენ კვალდაკვალ

გეძებდი, შენს კვალზე მივდევდი ბილიკებს,
უჩუმრად ვკოცნიდი ნაფეხურს ხანდახან,
შენს თმებს და შენს სურნელს ვერაფრით ვივიწყებ,
მოვდივარ და მაინც გშორდები თანდათან.
ნელ-ნელა ქრებიან ფიქრებში წამები,
რთულია, მახსოვდეს, გიყვარდი თუ არა,
წვიმაა, კოკის პირს მოეხსნა დარდები
და ღამემ ჩაიცვა ცრემლების სუდარა.
ხანდახან ქუჩაში შენს ლანდებს ვამჩნევდი,
წვიმდა და ქარბუქიც ბორგავდა უსაზღვროდ,
მოვრბოდი, სხვას ახლოს ვერავის ვამჩნევდი,
შენ ქუჩის ბოლოში ქრებოდი უკვალოდ.
დამთავრდა, ნელ-ნელა კვდებიან წამები,
რთულია უაზროდ მისდევდე ბილიკებს,
ზღვაც თითქოს მინელდა, მიწყნარდა ტალღები,
ვზივარ და, ძვირფასო, იმ სურნელს ვივიწყებ.
იმ სურნელს, უღვინოდ თავბრუს რომ მახვევდა,
მათრობდა, სულშიც კი ყვაოდა მარტებად,
მეგონა, სტროფები შენამდე აღწევდა,
გივიწყებ და მაინც უშენოდ მარტო ვარ.

ლალი კუკავა

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი,
ქართული ფილოლოგია,
IV კურსი

***

ასე მგონია, ანათებენ ვარსკვლავები დღეს მხოლოდ ჩემთვის.
მათ ამო ციმციმს ავირეკლავ ცისფერ თვალებში.
იქნება შეძლონ ვარსკვლავებმა წამლობა სევდის,
გაჩენის დღიდან რომ ვითვისე მთელი არსებით.
გავყურებ ზეცას, არ მაშინებს უკვე ის აზრი,
დამალულ ფიქრებს არ მიმიხვდეს გრძნეული მთვარე.
დღეს გვერდზე ისე ჩამიარე, ვერც კი მიცანი.
შენ ვერასოდეს ვერ მიხვდები, როგორ ვეწამე...
მძიმეა ერთობ, მაგრამ რა ვქნა, ჩემი ბედია,
რომ უსასრულო მარტოობის ტუსაღი მერქვას.
ხომ იცი, სევდა ბავშვობიდან ჩემი ფერია,
შენ, ალბათ, გძინავს, მე კი ისევ გავყურებ ზეცას.

***

სიზმრად ვიხილე, ჰერმიონე ერქვა ჩემს შვილს.
ავაკიაფებ ვარსკვლავებად მის ცისფერ თვალებს.
გადაედება მასაც ჩემგან ტრფიალი ლექსის,
რაც ვერ დავწერე, იგი დაწერს ძალიან მალე.
მალე მოვიხმობ არყოფნიდან მე პირმშოს ჩემსას,
და სასთუმალთან სიყვარულით გავუთევ ღამეს,
ჩემი იქნება ჰერმიონე, ჩემით და ჩემგან,
და ამ პატარა არსებაში სამყაროს ჩავტევ.
ახლა კი ვიცი, რომ იგია, რასაც მიველტვი,
ცისფერი სულის ჩემს პირმშოში განსხეულება.
მერე რა, თუკი იარსებებს მხოლოდ სიზმრებში,
სხეულებრივი არ იქნება მისი ბუნება.

***

ღამემ გაშალა ფრთები,
თითქოს დამშვიდდა სულიც.
მოვიდა სახე შენი
და ამიძგერა გული.
არ ეღირსება, ალბათ,
სიმშვიდე ჩემს სულს, საწყალს.
შენ ხომ ნამდვილი არ ხარ,
მხოლოდ ოცნება გხატავს!
ღამემ გაშალა ფრთები.
ახლა სიმშვიდე არ ღირს!
კალამი – ჩემი ხელი
ერთ წუთში გაგხდის ნამდვილს...
ოცნების ცისფერ ლანდებს
გამოვუცხადე დევნა...
აი, გაცისფრდა ღამეც!
აი, აქა ხარ შენაც!

***

ქორწილი აქვსო – შენზე მითხრეს – ნოემბრის ბოლოს.
ცოლად ირთავსო, მზისსაფერი, მზისსაფერ გოგოს.
ქორწილი აქვსო – შენზე მითხრეს – ნოემბრის ბოლოს.
მე და ატმის ხე, მთელი დღეა, ამ ქორწილს ვგლოვობთ.
ტაძრის კიბეებს სხვა აჰყვება იმ დღეს ჩემს ნაცვლად
და მეც მომიწევს ჩემი გრძნობის დაქარაგმება.
სულ სხვას მოუწევს საქორწინო სამოსის ჩაცმა,
საკურთხევლის წინ, შენთან ერთად, სულ სხვა დადგება.
ქორწილი აქვსო – შენზე მითხრეს – ნოემბრის ბოლოს.
სულ ერთი ციცქნა სიყვარული მინდოდა მხოლოდ...
სხვა არაფერი, მე დამღუპავს ჩემი ბავშვობა.
ისევ წავაგე, ბედისწერამ ისევ მაჯობა!

***

არარსებული არსებული გიწოდე ერთხელ
და სულს მიყინავს, ჩემო კარგო, ეს არაფრობა...
არარსებული არსებული დაგარქვი მე შენ!
შუშის ტკივილად გადამექცა ჩემივე გრძნობა.
ვგრძნობ ტყვედ ვიქეცი, ზეგრძნობადის ტუსაღი გავხდი;
თავით გადვეშვი ნიაღვარში ჩემივ გრძნობების...
მიუხედავად ყველაფრისა, კვლავ ცხოვრობს ბავშვი
ჩემში პატარა, ქერა თმებით, ცისფერ ოცნებით.
არარსებული არსებული გიწოდე, ჩემო,
და დროა უკვე დავიჯეროთ: არასდროს მოხვალ!
ამ სამყაროსთან შერიგების მიზეზი რომ ხარ,
ალბათ, ამიტომ, ჩემო კარგო, ვერაფრით ვერ გთმობ.

მარიამ მოქია

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი,
ქართული ფილოლოგია,
IV კურსი

***

მჩქეფარე ძარღვებში აშლილი გრძნობები,
დასერილ, დაცრეცილ გარეკანს ატარებს.
გავჩერდი,
გავხევდი,
დავცქერი ნახატებს ხელებზე, მკლავებზე, გულზე და…
არც ერთი,
არც ერთი არ მეცნო.
ახალი ნაბიჯი, ახალი ფურცელი –
გადაშლას ვერ ვასწრებ.
მგონი, ვერ ვუშველი,
თითქოს ის ხელს მიქნევს,
ბოროტიც,
თავხედიც,
ამბებიც,
აზრებიც,
გრძნობებიც
– გადავდე!
დაღამდა! – მაშ ცაზე ვარსკვლავი ანათებს,
ანტრაქტი იწყება,
დაეშვა ფარდაც და
გულს მოკლულ ფიქრებად დაყრილი ყლორტები
ყვავილის ჩამჭკნარი ღეროდან ანათებს,
ამთავრებს თხრობას და ბგერები თავისით,
თავისით დაეწყვნენ, თავისით დალაგდნენ.
ამინდიც არ იშლის პატარა ბავშვივით, –
მაჯავრებს,
ვაჯავრებ!
საათიც გამირბის,
დილას გადასცდა და
ის თავის ხელჯოხით ოთახში დადის და
დაღლილი ამითიც უკვე მერამდენედ
რჩევასაც არ მაძლევს,
უბრალოდ, გაჰკივის, გაჰყვირის:
გადადე,
გადადე,
გადადე!
ოხერი ამინდიც
არ იცდის, ის შენ არ დაგიცდის!
თავს ვაქნევ – გავდევნო ბებერი მრჩეველი,
– არ ჩქაროობს,
მე თვალებს კარისკენ ვაპარებ…
გავრბივარ და ვყვირი:
დამიცდის,
დამიცდის,
დამიცდის,
დამიცდის!

***

შემომაღამდა, მე არ მეცვა ბროლის ქოშები,
მე მეცვა კედი, ყვითელი და დღეგამოშვებით,
მე დავეძებდი ფერდობებზე ალისფერ დღეებს, ოდნავ მოწყენილს,
ანდა მოსაწყენს, დღე ჩაგდებით თუ დღე ამორჩევით...
– მოვალ!
წონასწორობა სიტყვებს შორის, მშვიდი აკორდი,
დღეები, მსგავსად ხმის ტემბრისა, მირევდა თავგზას,
თუ დავუმატებთ მწიკვ სიცივეს და ცოტა ლოდინს,
დღე ჰგავდა ზამთარს;
თუ დაინახავ მიწას ზეციდან,
ამბავს ამის მეტს არ მოელის ფიფქიც და ქარიც.
დღეა ზამთრის და დაზამთრებულ სიტყვებს შესცივდათ...
– მოვალ!
აქ ამინდები, მსგავსად ნაბიჯების, არეულია...
ხმა ისმის შორი მომავლის ქარის,
დროა, თქვა: „კარგად ბრძანდებოდეთ“,
დაიწყო ქსოვა, ქსოვა ნერვების ძაფებით და
ქარები აქ ქრის!
ქარები, ღელვააყოლილ ბავშვის;
დროა, თქვა:
მოვალ!
მოვალ იმდენჯერ, რამდენჯერაც არ შეგპირდი და
მოვალ იმდენად, რამდენადაც არ მელოდები.
მოსვლა ხანდახან გვიანია, პროლოგს ვერ უსწრებს,
მოსვლას ანტრაქტებს შორის თქმულის ალმური ასდის,
მოდის ის, ვისაც ხეტიალმა წასვლა ასწავლა,
როცა აკორდებს შეუძლიათ, ებრძოლონ ამინდს.
მოდის და მოაქვს მოგონება ყველა ფერდობის,
ზამთარსშეჩვეულ სიტყვებიდან ზაფხულებს შორის
– მოვალ!
მოვალ ის, ვისაც დრომ აუწყო ფეხი და ახლა
ახალ ბროლის ქოშს დაატარებს ძველი ზურგჩანთით,
მოვა ის, ვისაც დახეული კედი აცვია,
მარტო იმიტომ, რომ ფერდობებს მხოლოდ შენ აკლდი,
თორემ კონკიებს, გოგრებს, თაგვებს და ჯადოსნურ ჯოხს
დრო ერთი უდგას:
ერთხელ,
სადღაც,
ათას წლის მიღმა,
იქიდან მოსვლას შეიძლებენ ისინი, ვისაც
მოსვლა არ უნდათ, მაგრამ დროა მოვიდნენ მაინც.
სანამ დღეა და სანამ ჩავა ყვითელი ბურთი,
მანამ მოვალ და წამოვიღებ მხრებით ზურგჩათას,
მოვრჩები დუმილს, მოვრჩები მე, თვითონ და თავად,
სათქმელსაც ვიტყვი მანამ, სანამ, ვიდრეც და ახლაც
ვინმე კულისებს მოფარებულს, მეგობრის როლში
არ წამოსცდება: შენ მოხვედი,
თუმცა უკვე ძლიერ დაღამდა.

ეკა ჯიქია

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი,
ქართული ფილოლოგია,
III კურსი

***

„გზები თავის გზას გამონახავენ,
შენ უგზოობა გზასთან მიგიყვანს,
სულს წვეთწვეთობით ამოგხაფავენ,
ეს კი გზა არის, რომელიც გრიყავს

ნაპირთან, სადაც იმედი არ აქვთ,
უკვე არაფრის, ლოდინის გარდა,
თავი ღამემდე ოცნებით გააქვთ,
მახსოვს, იქ არვინ არავის ჰგავდა.

სწორედ იმ ნაპირს შემოვაღამე
და დღიდან დღემდე ფიქრები ვზიდე,
თან კი შენს ზურგზე, ცას რომ ვადარე,
ვარსკვლავებივით ხალები ვკრიფე.

ვინ რას გაიგებს, ვინ მიზიარებს,
ყველამ დამტოვა, თუ მივატოვე
და შენი მხრების მე სიდიადეს
ვეძებდი სხვებში, თუმც ვერსად ვპოვე.

ხანდახან ზეცის ფერიც მუქდება,
ლოდინიც წყდება ბროლის მძივივით,
არა, თქმით დარდი არ მსუბუქდება
და გულზე წვება მთელი სიმძიმით.

მე ვივსებოდი სევდის ლიცლიცით,
ქალები გმირებს ელოდნენ გზებზე,
ღმერთებისებრი შენი სიცილით
რეალობიდან წიგნებში გძებნე.

გზები თავის გზას გამონახავენ,
შენ უგზოობა მიგიყვანს გზასთან,
სულს წვეთწვეთობით ამოგხაფავენ,
გეძებე ყველგან, შენ არვინ გგავდა.“

***

„მაშ, სიყვარულად რაღად ვენთები,
ან იმ დროს მაშინ რა აზრი ჰქონდა?
ვით უკვდავების ბოლო წვეთები,
როცა მზის სხივი ჩემთან მოგქონდა.

განა შესაძლოა, დაიბნე ვერ,
როცა შენს მზერაში დავიწვები,
როცა იასამნებს დაიბნევენ,
პერანგგადახსნილი ლავიწები.

იყვავილებენ ზედ სულის პირზე,
თუკი შენ ახლოს დამეგულები,
შენი თმის სუნი დავიზეპირე
და შენი ხელის თეთრი გულები.

ან რატომ გიკვირს, ან რად ვერ ხვდები,
იმ ღამით ქარი რიდით არ ქროდა,
ვით უკვდავების ბოლო წვეთები,
როცა მზის სხივი ჩემთან მოგქონდა.“

***

„დაივიწყე, ნუღარ ითვლი
თითოეულ თმისა ხვეულს,
გახსენება აღარაფრის,
დამერწმუნე, ჩემო, არ ღირს,
ნურასოდეს გაიხსენებ
იმ ოცნებებს თვალახვეულს,
ჩვენი ხეებიც გაქრნენ,
მსგავსად დარიაჩანგის ბაღის.

მოდის მთვარე, თმანაწნავა,
და ვარსკვლავთა შორის წვება,
ხეთა ხმაც ხომ აღვსებაა,
გულის, თანაც დანადაღის,
აღარც შენ ხარ, აღარც მე და
აღარც ლამაზ დღეთა წყება,
ჩვენი ხეებიც გაქრნენ,
მსგავსად დარიაჩანგის ბაღის.“

პროზა

თეონა მახარაშვილი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი,
ქართული ფილოლოგია,
IV კურსი

მწვანე ყელსახვევი

– მოკვდება, როგორც მეხდაცემული ხე. შუაზე გააპობს... ის... ის, ვისგანაც არ ელის სიკვდილს. ახლა კარგადაა, კარგად იყო მაშინაც, როცა შვილს მიკლავდა. უსინდისო, ჩემ თვალწინ, ნაკუწ-ნაკუწ. არაკაცი.

– სჯობს კვლავ წამალი გავუკეთოთ, მგონი, ისევ ბოდავს. ქალბატონო, დამშვიდდით, მე თქვენთან ვარ, აი ასე, წყნარად.

– მოკვდება. ხომ მოკვდება? მითხარით, გთხოვთ, ვიცი, რომ წავა. არა, არ მინდა, იქ მისწვდება ჩემს შვილს და მერე...

ქალბატონი ბრიჯიდი ორ წუთში გაითიშა.

– ეჰ საწყალი, ალბათ, ძალიან რთული ცხოვრება გამოიარა.

– არაა, ნენსი, უბრალოდ, გიჟია რა, ასეთები რამდენი გვყავს, ნახე, ჯოანა, ფუშფუშა კაბაში გამოწყობილა და ცეკვავს. არა, ნამდვილი საგიჟეთია, ამ სიტყვის სრული გაგებით.

– მისი თვალები... ოჰ... არ ვიცი.

– გეყოფა, შენ მალე უნდა შეიცვალო სამსახური, თორემ ერთხელაც მე მომიწევს შენთვის დამამშვიდებლის გაკეთება – იცინის ლუსი და თან თავის ჩხირებს ახრამუნებს.

– ნენსი, რაღაც ხმა ისმის, ალბათ, ახალი პაციენტი გვყავს, აუ, ახლა დაიწყება, არ მინდა, ამ წამალს არ დავლევ და ამბები. დამღალეს რა, მეზიზღება ყველა გიჟი, სასაცილოები არიან, თან ნერვები მეშლება ხოლმე, ასე გამოშტერებულები რომ გიყურებენ, გეგონება, რამე გაეგებოდეთ. ისე კარგია, გონება რომ ხელს არ გიწყობს, ეს დამპალი ცხოვრება აღიქვა, მაგრამ ერთია, ამ დამპალ ცხოვრებას მაინც გრძნობენ. მართალია, არ იციან, რა ყარს მათ სულში, მაგრამ ამათ ეს მაინც ეხამუშებათ. აი მე კი, თავიდან ბოლომდე ყველანაირი გრძნობის ორგანოთი ვიღებ ამ რეალობის სრულ სიმყრალეს. იცი, ნენსი, ზოგჯერ მეც მინდა, გადავიდე ჭკუიდან, იქნებ მერე ლოთი მამაჩემის გაუთავებელი ფულის თხოვნები შეწყდეს.

– ლუსი, ნუ ღელავ, ცხოვრება არც ისე მყრალია, როგორც შენ გგონია. როცა ამდენ სულით ავადმყოფს ვუყურებ, ვხვდები, რომ გამიმართლა. მეშინია, რამე არ მოხდეს ისეთი, რასაც ვერ გავუძლებ და მეც ამათნაირი გავხდები. წარმოიდგინე, რა გაუსაძლისია ცხოვრება, როცა მზის ამოსვლა არ გახარებს ან ყვავილების სურნელს მოხარშული ყავის სურნელისგან ვერ ასხვავებ. ანდა ვერ იგებ, დედა გეხუტება აცრემლებული თვალებით, თუ ვიღაც უცნობი ექთანი. სითბოს ყოველნაირ შეგრძნებას კარგავ და ხვდები, რომ გამოფიტული არარაობა ხარ. მეშინია, ლუსი, ჩემში პიროვნების სიკვდილის, გესმის? მთრგუნავენ ესენი. აი, თუნდაც ქალბატონ ბრიჯიდს შეხედე, რა ლამაზი ქალია, სიცოცხლით სავსე იქნებოდა ახალგაზრდობაში, თვალებში სხივი არ ჩაქრობია, კიდევ კიაფობს მასში რაღაც ახალგაზრდული.

– ჰა, ჰა, ჰა! ნენსი, როგორ გგონია, რამდენი წლისაა ქალბატონი ბრიჯიდი?

– 60-65, ალბათ. ისე, ამდენი ნაოჭი ამ ხნის ქალზეც ბევრია არა?!

– ეჰ, მისი ისტორია არ გინახავს ხო? – ხითხითებს ლუსი, ეს ძვირფასი ქალბატონი 40 წლისაა,

ჩემო კარგო. ხოდა, ახლა შენ განსაჯე, როგორი მყრალია ცხოვრება, როცა ასეთ ახალგაზრდა ქალს ერთი სწორი ნაკვთი აღარ შერჩენია სახეზე.

ქალბატონი ბრიჯიდი ადგა მეორე დილით, აწ უკვე დამშვიდებული, აიღო თავისი წიგნი და განაგრძო კითხვა. ალბათ, უკვე მეასეჯერ კითხულობდა ამ წიგნს, მაგრამ კვლავ დიდი ინტერესით, ხან ცრემლი სდიოდა, ხან ამაყი გამომეტყველება ჰქონდა, ისე, თითქოს თავად იყო გმირი, რომელიც შეუდრეკლად იცავდა საკუთარ ღირსებას. ქალბატონი ბრიჯიდის თითოეული ნაოჭი სხვადასხვა ისტორიას ინახავდა. პირველი მაშინ გაუჩნდა, როცა დედა კინაღამ ხელში ჩააკვდა. მაშინ გაფითრებული ბავშვის გამომეტყველებით, ლამაზ დათუნიას რომ დაკარგავს, ჰო, ზუსტად ასეთი სახე ჰქონდა. ეგონა, რომ ეცლებოდა საყრდენი ცხოვრებისა და ერთადერთი დამაკავშირებელი რგოლი ბავშვობასთან. მამამისი, კარი რომ გაიჯახუნა და გავიდა ოთახიდან, მის მერე აღარ უნახავს, დიდად არც კლავდა მისი ნახვის სურვილი, განსაკუთრებით იმის მერე, რაც მომაკვდავი დედამისის თავი ხელში დააჭერინა და უთხრა: მიხედე ამ ბებერ ძუკნას, ამის გამო ციხეში წასვლა ნამდვილად არ მინდაო. მაშინ 15 წლის იყო. კარგად ახსოვს დედამისის დალურჯებული ზურგი, ქამრით რომ სცემდა მისი „ტკბილი“ მეუღლე, გამოწერილი რეცეპტივით, აი ასე, ექიმები რომ გეუბნებიან: ჭამის მერე ერთი აბი, დაძინებამდე კიდევ ერთი, და უმალ კარგად გახდებით. მეორე ნაოჭი, როცა ბავშვის ავადმყოფობაზე ინერვიულა, მესამე ნაოჭი... მეოთხე... და ასე შემდეგ, მოკლედ, ბრიჯიდს ყველა ნაოჭი შიშისგან გასჩენოდა. ჰოდა ასე... კითხულობდა წიგნს, ეს ნაოჭები სასაცილოდ დასთამაშებდნენ სახეზე. აშკარად კიდევ უნდოდათ გამრავლება, მაგრამ, უბრალოდ, ადგილი აღარ ჰქონდა. ლუსის მუდმივად ეღიმებოდა, როცა წიგნით ხელში ხედავდა ამ ახალგაზრდა მოხუცს, დასცინოდა, ხმამაღლა ხარხარებდა. ეს მოხუცი ქალბატონიც შემოუტრიალდებოდა, ისიც გაიღიმებდა და გამალებით ფურცლავდა წიგნს. დავიწყებოდა, სად იყო და ხელახლა იწყებდა კითხვას: „სიყვარული“? ეს სიტყვა რაღაცის აღსანიშნავად გამოიგონეს ხომ? ნეტავ რა უნდა იყოს? მე ვისწავლე, რომ სიტყვები რაღაცას აღნიშნავენ. მაგრამ ეს სიტყვა, ზუსტად ვიცი, რომ უშინაარსოა. იქნებ ვცდები? ნენსი, ძვირფასო, იქნებ მითხრა... სიტყვა „სიყვარულის“ წერია აქ, აი, ნახე, ამ წინადადებაში, ყველაფერი გავიგე, მარტო ამას ვერ ვხვდები, შეგიძლია ამიხსნა?... აი აქ ასე წერია: „სიყვარულს დამონებულოვო...“ აი, ანტიგონეს საქმრო რომ მამამისს ესაუბრება, ამ სცენას ვკითხულობ, ხო გენიალურია? რა სამწუხაროა, ვერ ვიგებ მის შინაარსს. ქალბატონი ბრიჯიდის ღვინისფერ თვალებში ცრემლები დაბუდებულიყო და ნელ-ნელა ღარად მოდებულ ნაოჭებში მიედინებოდა. ეს ჰგავდა მშვიდ ნაკადულს, პაწაწუნა კალაპოტში რომ მოდის. ვერ გამირკვევია, რა მემართება. არადა, არაფერი მტკივა, დღეს უფრო კარგად ვარ, თავმაც გამიარა. მაგრამ ეს სისველე თვალებში არ ჩერდება, ნეტავ, რისი ბრალია, ნენსი? ხვალ ექიმს ვეტყვი, იქნებ რამე წამალი არსებობდეს, ამ წყლის პატარა ნაკადს რომ უშველოს. იცინის ქალბატონი ბრიჯიდი და თვალები უფრო და უფრო ემღვრევა. წავალ, წამოვწვები, ალბათ, ავღელდი. მადლობა, ძვირფასო, წადი, შენც დაისვენე და მალე მინახულე.

გაოცებული, პირდაღებული უყურებდა ნენსი ქალბატონ ბრიჯიდს, კანკალებდა, თავბრუ ეხვეოდა და ვერ მიმხვდარიყო, რა ემართებოდა. ვერც იმას უხსნიდა, რა იყო ეს უცნობი სიტყვა, გრძნობდა ამ ქალის განუზომელ ტკივილს, ამას კანის თითოეული უჯრედით აღიქვამდა, ამ ქალს ვერ გაეგო, რა იყო ცრემლი, მას სტკიოდა, ოღონდ უკვე ისე, რომ თავადაც ვერ მიმხვდარიყო ეს ტკივილი როგორ უღადრავდა სხეულის თითოეულ ნაწილს.

ახალი პაციენტი მოიყვანეს, ჯიმ სტოუნი, 45 წლის კაცი, რომელსაც საკმაოდ სასიამოვნო შესახედაობა ჰქონდა. მასაც არეოდა გონებაში რაღაც. სულ ჩუმად იჯდა, არასდროს წამოსვლია ცრემლი. დაფიქრებული მუდმივად მუხის ხეს გაჰყურებდა და იშვიათად თუ ჩაეცინებოდა. ყოველ დილით ამოიღებდა მწვანე ყელსახვევს, დაყნოსავდა და კვლავ შეინახავდა. ეს ერთგვარი რიტუალი იყო. ლუსი ამ კაცზეც ბევრს კაიფობდა, როგორც ყველა თავის პაციენტზე:

– აი, კიდევ ერთი დამთხვეული. ნეტა ეს რაღამ გააგიჟა? ნენსი, რას იტყვი, ამათი ისტორიები

კარგად რომ ვიცოდეთ, მაგარი წიგნი დაიწერებოდა... აუუუფ, როგორ გავმდიდრდებოდით? წარმოგიდგენია? ნენსი და ლუსი, ქალაქის ცნობილი მედდები, რომელთაც წიგნი გიჟებზე დაწერეს – ჩაბჟირდა ლუსი.

– კარგი, გოგონი, გეყოფა ამდენი სიცილი, ქალბატონ ბრიჯიდს გაეღვიძება, ძლივს წამლის გარეშე ჩაეძინა. იცი, გუშინ რა მშვიდად მელაპარაკებოდა თავის ცხოვრებაზე? მართალია, შიგადაშიგ კი ურევდა, მაგრამ ძირითადი ნაწილი მაინც გასაგები იყო. შემეცოდა საწყალი ქალი, როგორ შეიძლება ადამიანს ღმერთმა ამდენი უბედურება ერთდროულად თავს დაატეხოს? საწყალი, დიდი სიყვარულით გათხოვილა, ვინმე ჩარლიზე, თუმცა მერე ეს კაცი გაგიჟებულა, ცოლს მუდამდღე სცემდა. მგონი, ციხეში ჩასვეს მას შემდეგ, რაც თავისი პატარა გოგონა იქამდე მიიყვანა ცემით, რომ ბოლოს უსიცოცხლოდ ძირს დაცემულა სულ მთლად სისხლიანი.

– მოკვდება? ხომ მოკვდება, მე მინდა, მოვუღო ბოლო, საძაგელს. ჩემი შვილი, ის ხომ სულ რაღაც 8 წლის იყო, მისი ხელები... ჩემი გოგონა ვერ დავიცავი. უჭერდა, მასაც სტკიოდა, თვალები... დედაااა... სისხლი... წვეთავდა სისხლი, მერე დანა დავინახე... აკუწა, აი, ისე, ჩვენი ყასაბი რომ... ვაიმე, შვილო... პატარა, ჩემი პატარა... მოკვდი.

– დაიწყო ისევ, მოდი, დამამშვიდებელი ნემსი და ეგაა. დოზა გავზარდოთ. იძინებს.

– იცით, ბატონო ჯიმ, მე მგონია, რომ ადამიანს თუ ლიტერატურა უყვარს, ის უსათუოდ კეთილშობილი უნდა იყოს. იცით, დოსტოევსკის მხოლოდ მაშინ ვკითხულობდი, როცა ცუდ ხასიათზე ვიყავი. რაღაც თერაპია იყო ჩემთვის მისი წიგნები, მაშინვე იმედს მაძლევდა ცხოვრების. მიყვარს დოსტოევსკი, როგორი ღრმა, ტკივილიანია მისი შემოქმედება.

– გეთანხმებით, ქალბატონო ბრიჯიდ, იცით, ლიტერატურა გამოგონილ ამბად არასდროს მიმაჩნდა, მე ვფიქრობ, რომ, რაც კი მხატვრული ტექსტი შექმნილა, ყველა რეალურად გათამაშებულა ცხოვრებაში. რაც შეეხება ბატონ ფიოდორს, ო, ის ნამდვილი კლასიკოსია, დღემდე აღფრთოვანებით ვკითხულობ მის ნააზრევს.

– თქვენ საოცარი ადამიანი ხართ, ბატონო ჯიმ, გაუმართლათ თქვენი ოჯახის წევრებს, ასეთი ადამიანი რომ ჰყავთ გვერდით. დარწმუნებული ვარ შვილებს საოცრად უყვარხართ.

– გმადლობთ თბილი სიტყვებისთვის. შვილები არ ვიცი, არც მახსოვს, თუ მყავს. ცოლი მენატრება, იცით, როგორ მენატრება, ქალბატონო ბრიჯიდ? ღამით ვტირი ხოლმე, რომ ვერავინ დამინახოს. ცრემლებით ვასველებ მის მწვანე ყელსახვევს. ძალიან უყვარდა, მაშინ ვაჩუქე, როცა პირველი შვილი შეგვეძინა, ჩვენი გოგონას ინიციალებით. მეტი ორიგინალური რამე ვერ მოვიფიქრე, რა ვქნა. მიყვარს ჩემი ცოლი, დღემდე მისი კანის სურნელს მთელი სისავსით ვგრძნობ. ყოველთვის სიცოცხლით სავსე მახსოვს. ენერგიული, ლამაზი. ნუშისებრი თვალები ჰქონდა, მის ღაწვებს წითელი ფერი დაჰკრავდა. ისე, ამას სულ ვამჩნევდი, თან მხოლოდ მე. ნეტავ ოდესმე შევხვდებოდე, აქ, ან იქ... საიქიოში. ცხელ ყავას დალევდა კაცი, არა მის ბრიჯიდ? ყოველ დილას ყავით ვეგებები ხოლმე.

ასე საუბრობდა ახალდამეგობრებული წყვილი, თვალებში შესციცინებდნენ ერთმანეთს, ორივე ღრმა ნაღველს ატარებდა, მაგრამ მათ თვალებში იყო რაღაც, რაც ორ სიტყვას ამოგაკითხვინებდათ... მაპატიე, მოვკვდი. გავიდა რამდენიმე თვე. ქალბატონ ბრიჯიდს კიდევ ბევრჯერ გაუმეორდა შეტევა, ბოლოს ამბობდა ხოლმე, სიყვარულისთვის გპატიობო. ნეტა რას გულისხმობდა ამ სიტყვებში? იქნებ აბსოლუტურად გაუაზრებლად ამბობდა ყველაფერს? ან მას ყველაზე უკეთ ესმოდა, რა იყო სიყვარული და პატიება. ალბათ ამ ქალის მე-ში ყველაზე ნაკლებად ჩამკვდარიყო პიროვნება, ვიდრე თითოეულ ჩვენგანში – მან ხომ შვილი დაკარგა. იყო ბევრი უბედურების მსხვერპლი, მაგრამ მაინც კარგი მკვლევარი დადგა და ასწავლიდა ახალგაზრდებს, როგორ ეცხოვრათ ლაღად. თვალები მეტყველებდა ყველაფერს, თვალები, რომლებიც ინახავდა გულში მიყუჩებულ დიდ ტკივილს და წრფელ პატიებას. ვის აპატია? მას? როგორ? როგორ შეიძლება, აპატიო ქმარს, რომელთანაც საოცარი სიყვარული გაკავშირებს, ის, რაც მან ჩაიდინა? – არ დაინდო პატარა გოგონა, საკუთარი სისხლი და ხორცი, როცა სთხოვდა, არ დამარტყა, მამა, მტკივაო. და ამ დროს ბრიჯიდი თავისსავე სისხლში ცურავდა. უყურებდა, როგორ ტკენდა ორივესთვის ერთ დროს

საფიცარ საოცრებას. და მას როგორ უნდა აპატიო? ალბათ, ბრიჯიდი ვინმე სხვას გულისხმობდა, თორემ ვერ დავიჯერებ, დედამიწაზე ასეთი ქალი დაიარებოდეს, რომელიც...

– და მაინც, ბატონო ჯიმ, მერცხლის ჭიკჭიკი უფრო სასიამოვნოა თუ ბულბულის გალობა? – იცინის ქალბატონი ბრიჯიდი.

– მე მაინც ვფიქრობ, გალობა უფრო ლამაზად მეჩვენება ხოლმე.

– მე მერცხალი მიყვარს, რაღაც ახალ სიცოცხლეს გმატებს, როცა სასწაულად აჭიკჭიკდება, თითქოს ზამთრის თავგადასავალს გიყვებაო. მიყვარს ყველაფერი ის, რასაც ახალი სიცოცხლის ნიშანი აქვს. ამიტომაც მიყვარს მწვანე ფერი გასაოცრად.

გუშინ სიზმარი ვნახე, გაგეცინებათ, რომ მოგიყვეთ. ვითომ ფრთები მება, ჰოდა, დავფრინავდი ასე უგზოუკვლოდ, მწვანე ვარდების გარემოცვაში, მეშინოდა, თან ოღონდ რისი, ეს არ მახსოვს. არ გაგეცინოთ, ასეთი სიზმარი არ დამსიზმრებია არასდროს.

„პატარა ქალაქის სამწუხარო ამბები“

„დღეს დილით გარდაიცვალა ყველასათვის საყვარელი მწერალი, ქალბატონი ბრიჯიდ დარნეი, ვუსამძიმრებთ ოჯახს (თუკი დარჩა ვინმე), და ვიმედოვნებთ, რომ მის ნაყოფიერ გზას ჩვენი ახალგაზრდობა გააგრძელებს.“

– საოცარია, – ამბობს ნენსი, – როგორც კი გაიგო ბატონმა ჯიმმა ქალბატონ ბრიჯიდის სიკვდილი, გაუჩინარდა, ვერსად პოულობენ, ნეტავ რა ხდება? – ჩაფიქრებული საკუთარ თავს ეკითხებოდა ნენსი.

ამ დროს შემოვიდა ლუსი:

– ვაიმე, ნენსი, ქალბატონი ბრიჯიდის ნივთებში წერილი ვიპოვე! – ლუსის თვალზე ცრემლი რომ შენიშნა ნენსიმ, მიხვდა, რომ რაღაც განსაკუთრებული მოხდა. ეს იყო სრულ ჭკუაზე დაწერილი ქალბატონი დარნეის წერილი, უადრესატოდ:

„მე მოვკვდი. ჰო, ვსუნთქავ, თუმცა უკვე რამდენიმე საათის წინ წავედი, როცა ჩემი გოგონა დავმარხე. ერთი რამ ვიცი, ამბობენ, ღმერთი არასდროს სცდებაო, თუმცა დავრწმუნდი, რომ თურმე ესეც ნაბოდვარი ყოფილა – მან შეცდომა მაშინ დაუშვა, როცა ასეთი განსაცდელი მარგუნა წილად. როცა გავთხოვდი, მე და ჩემს მეუღლეს საოცრად გვიყვარდა ერთმანეთი, მე მას ჩარლზს ვეძახდი, ისე კი ჯიმ სტოუნი ერქვა. ისეთი კარგი ქმარი იყო, ვერც ინატრებდი ასეთს, თუმცა ყველაფერი უცებ შეიცვალა. დღემდე არ მაქვს პასუხი, რატომ, მაგრამ ვპატიობ, მიუხედავად იმისა, რომ მან ორი ადამიანი დაასამარა. თუ ოდესმე წაიკითხავ ამ წერილს, იცოდე, რომ შვილმკვდარმა დედამ უპატიებელი გაპატია შენ, მისთვის ერთ დროს სიცოცხლეზე ძვირფას ადამიანს.“

სულიერ სიმშვიდეს გისურვებ,
ჩარლზ.

„პატარა ქალაქის სამწუხარო ამბები“

„მოქალაქენო, გაცნობებთ, რომ დაკარგულია ჯიმ სტოუნი, ერთ დროს პატივცემული მოქალაქე. თუ სადმე შენიშნავთ, შეატყობინეთ ქალაქის ფსიქიატრიულ საავადმყოფოს. მუდმივად დაატარებს მწვანე ყელსახვევს და თვალებში რაღაც უცნაური სევდა ჩასდგომია.“

მიმოზა ტიელიძე

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი
საერთაშორისო ურთიერთობები
IV კურსი

28 იანვარი

ალბათ, არასდროს არ ყოფილა 28 იანვარი ასეთი ლამაზი. დილა თენდება, საოცრებისფერი. მიმოს არ უყვარს ზამთარი, იცით, თქვენ ეს, მაგრამ თოვლი უყვარს სამაგიეროდ. თოვლი, რომელიც მისთვის ბავშვობის ანცობასთან, სიცელქესთან, სველ დღეებთან, სახლში გასაწურ მდგომარეობაში დაბრუნებასთან, ანუ ძალიან ბევრ გუნდაობასა და სრიალთან არის დაკავშირებული.

თოვლი, ჩემთვის კარია სხვა სამყაროში გადასასვლელად.

თოვლი, ჩემთვის ბრჭყვიალა წიგნია. თოვლის ფიფქები კი ამ წიგნის თხელი, სიფრიფანა ფურცლებია, ან თუნდაც ორნამენტები.

დილა იწყება რაღაც უჩვეულოდ. გავდივარ აივანზე (პირველი, რასაც ვაკეთებ ხოლმე ადგომისას) და ფიფქები დაფრინავენ ელვისუსწრაფესად ჩემ თვალწინ, მირბიან და ხელის დაქნევასაც კი ვერ ვასწრებ.

გადაუღებლად თოვს.

პროზის შემოდგომის სეზონი ბუნებას მივუძღვენი მთლიანად.

ჰოდა, ბუნებამ იგრძნო, თუ როგორ უყვარს მიმოს ის და ბუნებამ ითმინა 28 იანვრის დილამდე, რომ აივანზე გასულ მიმოსთვის ლამაზი, ფიფქიანი დილა დაეხვედრებინა.

ისეთი დღეა, რომ შეგიძლია, მთელი დღე იჯდე უძრავად და ფანჯრიდან მცვენ ფიფქებს შეჰყურებდე შეუჩერებლად. დიახ, შეუჩერებლად მოდიან ფიფქები, თოვლი ედება მეზობლის სახლთა სახურავს.

დავინახე, ერთი მეზობელი როგორ ჰგვიდა თოვლს სახლის ზღურბლის წინ. კინაღამ წამომცდა, გაჩერდი, რას აკეთებ-მეთქი. თავი შევიკავე, ძლივს. როგორ შეიძლება ამ სილამაზის გათელვა. აი, ამას რომ ამბობ, შენ, მიმო, სახლიდან რომ გახვალ, რამდენ თოვლს გათელავ, აბა დაფიქრდი?

მიმო აქ ჩუმდება. არ აქვს არგუმენტი.

მართალია ჩემი მეორე მე.

მაგრამ მიმოს არ უნდა, თოვლი „გაჭყლიტოს“, „გასრისოს“, „ფეხი დაადგას“ და ასე, უბრალოდ, გაიაროს. არა! თოვლი უყვარს მიმოს და, რაც უყვარს, არ სურს მისი განადგურება. ასეა ეს, ასე იქნება მერეც.

განა მარტო თოვლზე? არა, მეგობრებო, ადამიანებსაც ამ პრინციპით ვუდგები.

როგორ მინდა, გავიქცე და ჩავეხუტო ნაძვებს, თეთრ, საპატარძლო კაბაში გამოწყობილთ.

როგორ მინდა, გავიქცე და თოვლში წავიქცე, ან წამაქციოს ვინმემ, გუნდა ვესროლო ან გუნდა მესროლოს ვინმემ.

ჩემი ძველი ნაცნობები მინდა გავიხსენო, რომელთათვისაც არ არსებობს ასაკი.

როგორ ვაშენებდი დიდ თოვლის ბაბუას, მართლა ბაბუისხელა ბაბუას. ერთხელ კი ჩემს ბაბუაზე დიდი ზომის ავაშენეთ მე და ჩემმა ძმამ, სიმაღლეში შევცდით, რა მოხდა.

როგორ იწყებოდა ერთი ჩვეულებრივი თოვლიანი ზამთრის დილა ჩემს სოფელში:

ჩემი ძმა: – დედა, საციგაოდ მივდივართ. მიმია, გაემზადე.

დედა: – ჯერ საჭმელი ჭამეთ, მერე თბილად ჩაიცვით... შორს არ წახვიდეთ ოღონდ, მალე მოდით...

სანამ დედა დაამთავრებდა, ჩემი ონავარი ძმა უკვე ეზოში იყო და დიდ ციგას ეჭიდებოდა.

– პაპა, ეს ციგა შემიკაზმე.

პაპაჩემი გამოიტანდა ხოლმე ეზოში ძველი, ფიცრებისგან შეკრული ოთახიდან მტვერდადებულ ციგას, ჩემს ძმაზე ორჯერ დიდი რომ იყო. გაუმზადებდა, დასვამდა და გაიყვანდა ხოლმე გარეთ. ერთს მიაწვებოდა და იწყებოდა თემოს სრიალი, სიცილითა და

აღტაცებით მისულ აგონიამდე. ერთს რომ თემოს ასიამოვნებდა, შემდეგ ჩემი ჯერი იყო და პაპაჩემის მოვალეობა გადადიოდა ჩემი ძმის ხელში, მივყავდი თემოს... მეზობლის სახლებს ვცდებოდით, სად მივდიოდით, ჩვენც არ ვიცოდით. უბრალოდ, მივდიოდით, დიდი ციგით მივდიოდით და ვეძებდით დიდ „საციგაო უფსკრულებს“ ადრენალინის დიდი დოზის მისაღებად. რა თქმა უნდა, „ამოყირავების“, ე.წ. „ავარიების“ გარეშე არ სრულდებოდა ხოლმე ჩვენი თამაშობანი – ხან თემო აღმოჩნდებოდა ციგის ქვეშ, ყინულზე გართხმული, ხანაც მე. როგორო, – არ გაიკვირვოთ, არ არსებობს სრიალი წაქცევების გარეშე და ყოველთვის, იცით, ამ წაქცევაში იყო ხოლმე ჩვენი სიხარული.

როგორც იქნა, სახლამდე მისასვლელ გზას ვპოულობდით დამღლელი დღის შემდეგ და არც აქ რჩებოდა ჩვენი ანცობა. გავიხდიდით სველ ტანსაცმელს ახლა მეგი (დედაჩემი) სხვა თბილ ტანსაცმელს ჩაგვაცმევდა და მაშინვე გავრბოდით გარეთ ისევ ახალი ფათერაკების მოსაძებნად.

ჩამოვუვლიდით მეზობლის ბავშვებს, მივყვეთ უფროსობის მიხედვით: მარის და თამოს (მათი ძმა გიორგი მაშინ პატარა იყო), ნათიას და თაკოს, პატარა მარის და იწყებოდა ჩვენი დაუსრულებელი გუნდაობა. ვიფლობოდით თოვლში, ვსველდებოდით, ვიღლებოდით, მაგრამ მაინც არ ვიღლებოდით იმისთვის, რასაც ვაკეთებდით. მივსდევდით ახალ „მსხვერპლს“, ხანაც ერთ დროს მსხვერპლი იქცეოდა ხოლმე „მტაცებლად“. ამ „ომში“ გამარჯვებული არ არსებობს, ისევე როგორც არ არსებობს დამარცხებული. არსებობს მხოლოდ უზღვავი სიხარული და სიამოვნება და, მიუხედავად იმისა, რომ ამ შემთხვევათა 70 %-ში მე და თემო ავად ვხდებოდით, ერთხელაც კი არ გვინანია ჩვენი ზღვარგადასული სიცელქე. სამაგიეროდ, დედა ბრაზდებოდა, აღარ გვიშვებდა საგუნდაოდ ახალი თოვლის მოსვლისას. მაგრამ ჩვენ რისი ბავშვები ვიქნებოდით, თუ არ გავიპარებოდით და არ დავემორჩილებოდით წესებს. დიახ, ბავშვი მაშინ ხარ, როდესაც არ ემორჩილები წესებს. ამიტომ მიყვარს ბავშვები, მთელი თავიანთი სიცელქით და იმ შეცდომებით, რომელთა საფუძველზეც შემდეგ სწავლობენ ჭკუას, ჰოდა, ჩვენ ყველას უნდა დაგვეშვა შეცდომები, რომ შემდეგ მივხვედრილიყავით ამ შეცდომების ფასს.

ვიპარებოდით, დიახ, ვიპარებოდით ძალიან ხშირად მე და თემო. ეს მხოლოდ ზამთარში არ ხდებოდა, ზაფხულის თავგადასავლებზე სხვა დროს მოგახსენებთ. შეიძლება ითქვას, რომ დღემდე შემოგვრჩა ეს დაუმორჩილებლობა.

საოცრება იყო თითოეული ის დღე, როცა გაყინულს, გათოშილს, სახლში მილასლასებულს, სახლის თბილი და გემრიელი სუნი გვაფხიზლებდა, როცა დედა გაბრაზებული თვალებით გვიყურებდა, მაგრამ მაშინვე რომ მზრუნველი ხელებით შემოგვაცლიდა სველ ტანსაცმელს, შეგვფუთავდა მაქსიმალურად, ცხელ საჭმელს მოიტანდა და შეგვაჭმევდა თავისი ხელებით, ჩვენ კიდევ, განაბულნი, ღუმლის გვერდით როგორ ვშრებოდით, ჩვენს გონებაში კი იბადებოდა ახალი აზრები, ახალი გეგმები ხვალინდელ დღესთან დაკავშირებით. ხვალ ახალი გარემო უნდა გვეგრძნო, ჩვენ მიერ სამეზობლოს გათელილი მოედანი აღარ დაგვაკმაყოფილებდა. დედა კი, ალბათ, ამ დროს იმაზე ფიქრობდა, რომ შვილებს დასჯიდა და გარეთ აღარ გაუშვებდა სათამაშოდ რამდენიმე დღე, გაციების შიშით. რა იცოდა მეგიმ, რა დაუმორჩილებელი ბავშვები ჰყავდა.

ჰოდა, გამახსენდა ეს ყველაფერი. ბავშვობის სველი, ცივი, თოვლიანი, მაგრამ მაინც ტკბილი დღეები.

მენატრება ეს დღეები.

ახლაც მინდა, გავიდე, ისევ ისე პაპამ დამსვას ციგაზე და გამასრიალოს, ბევრჯერ, ბევრჯერ მინდა წავიქცე თოვლში და ისევ ფეხზე წამოხტომა შემეძლოს, ყინვისაგან გაბრუებულს.

მართალია, გავიზარდე, მაგრამ მგონია, რომ ამისთვის გვიანი არ არის. ერთი, რის შეცვლაც არ შემიძლია, არის ის, რომ ის, ერთ დროს დიდი ციგა, ახლა ჩემზე ბევრად პატარაა და რომ მე მასზე დაჯდომა აღარ შემიძლია, კიდევ ისიც, რომ იქ, ჩემს სამეზობლოში დიდი ციგაც რომ მქონდეს, ვერ ვისრიალებ, არც პაპა დასვამს 20 წლის შვილიშვილ გოგოს ციგაზე და წაიყვანს სასრიალოდ. გაიზარდა მიმო.

მოგონებები კი იგივე რჩება. ტკბილი, ტკბილი მოგონებები.

როგორ მინდა, გარეთ გავიდე და ისეთი დავბრუნდე სახლში, როგორიც მაშინ, წლების წინ ვბრუნდებოდი.

ჯონდი ხუხია

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი,
ისტორია
II კურსი

დაკარგული ქარავანი

მთვარიან ღამეში არეკლილიყო პირამიდის ჩრდილი და მისი სილუეტი შთამბეჭდავ სანახაობას ქმნიდა. უდაბნოში მიმავალი ქარავანი მიიკვლევდა გზას მთვარის შუქზე. უწყლობით და შიმშილით გათანგულები სულს ძლივსღა ღაფავდნენ. ქარავნის წინამძღოლი უბაიდი, აქლემზე მჯდარი, წინ მიუძღოდა მექარავნეებს. მის გონებაში კი ათასგვარი ფიქრი ირეოდა. გართული იყო ნეტარ ოცნებებში და მოულოდნელად დამშვიდებულ ზღვაზე ამოვარდნილი აღელვებული ტალღისმაგვარად დაირღვა მისი მყუდროება.

– ბატონო, ბატონო, ქარიშხალი გვიახლოვდება, – ჩაესმა უბაიდს ადიოსის ხმა და მაშინვე დაუბრუნდა ამქვეყნიერ ყოფას. უმალ გაუელვა გონებაში, თავისი უყურადღებობით როგორ საფრთხეში ჩააგდო მთელი ქარავანი. თუ იგი ქარავანს ფარაონის სასახლეში უსაფრთხოდ არ ჩაიყვანდა, ამას სიკვდილის ფასადაც ვერ აპატიებდა საკუთარ თავს. მას ხომ თავისი ფარაონის წინაშე ფიცი ჰქონდა დადებული, ახლა კი შეიძლებოდა, ღმერთების წინაშე დადებული პირობა ვერ შეესრულებინა. მან ირგვლივ მიმოიხედა. პირველი მთვარის შუქზე გაფერმკრთალებული ადამიანების სახეებს წააწყდა, სიკვდილის შიში გასდევდა თითოეულ მათგანს და ელოდებოდნენ ბრძანებას წინამძღოლისგან, თუმცა მათ სახეებზე უკანასკნელი იმედის ნაპერწკალიც ჩამქრალიყო. ყოყმანის დრო აღარ იყო.

– ფარაონის შვილებო, – მიმართა უბაიდმა თავის ხალხს, თუკი ახლა ქარიშხალს აქ დავუცდით, ვერც ერთი ჩვენგანი ვერ გადარჩება, ღმერთები ჩვენ გვერდით არიან. არაერთხელ აღმოვჩენილვართ რთულ სიტუაციაში, მაგრამ თქვენ იცით, რომ ჩვენი სიცოცხლე არარად ღირს, ჩვენ ფარაონის დავალებას ვასრულებთ და რადაც არ უნდა დაგვიჯდეს, ქარიშხალს უნდა გადავურჩეთ! უკან მიმავალი გზა სიკვდილის გზაა, როგორმე სამ პირამიდას შორის უნდა აღმოვჩნდეთ, იჩქარეთ, თქვენი ფარაონისთვის!

ცეცხლის ალივით მოედო ეს სიტყვები მექარავნეების გულს, მათი თვალებიდან ნაპერწკლები ცვიოდა, მთელი ძალისხმევით მიიწევდნენ წინ, მათ ქარიშხლისთვის უნდა დაესწროთ პირამიდებამდე მისვლა, ეს იყო გადარჩენის ერთადერთი გზა. რამდენიმე წუთიც და ყველაფერი ქვიშის ორომტრიალში გაეხვია, ჩრდილები გაქრა და უდაბნოში სიბნელემ დაისადგურა.

გათენდა. თითქოს ყველაფერი ღამის წყვდიადში შთაინთქა. პირამიდები კვლავ მედიდურად აღმართულიყვნენ უდაბნოში, მექარავნეები კი აღარ ჩანდნენ... ნუთუ, განგებამ არ არგუნა მათ ფარაონისთვის მიცემული პირობის შესრულება. მოულოდნელად ქვიშა შეტორტმანდა, თითქოს ვიღაც ქვესკნელიდან ამოსვლას ცდილობსო – ეს ადიოსი იყო, რომელიც უმალ შეუდგა დაკარგული ქარავნის ძებნას. ადიოსს გული უკვდებოდა, ბედს წყევლიდა, რომ ცოცხალი გადარჩა. პირამიდების შუაგულში ქვიშა ისევ შეირხა, წარმოუდგენლად სწრაფად მივარდა იმ ადგილს ცოცხალი ადამიანის პოვნის იმედით. დიახ, აქ იყო ცოცხალი არსება, მაგრამ არა ადამიანი – ეს უბაიდის აქლემი იყო, იგი პატრონს ეძებდა, მაგრამ ვეღარსად პოულობდა. და აი, კიდევ ერთი გვამი გამოჩნდა - უბაიდის ხილვამ ადიოსს მისი სიტყვები გაახსენა. დაჩოქილმა ხელები აღმართა:

– ღმერთებს ვფიცავ, უბაიდ, თუნდაც სიცოცხლის ფასად დამიჯდეს, შევასრულებ ფარაონის წინაშე დადებულ პირობას, შენი სახელით და შენი სახელისთვის!

ადიოსი უდაბნოს ხუთი თითივით იცნობდა, პირველ რიგში, ოაზისამდე უნდა მიეღწია, შემდგომ კი ახალი მეგზურები უნდა მოეძებნა, მარტო ქარავანს დანიშნულების ადგილამდე ვერ ჩაიყვანდა. ადიოსი ორი დღე-ღამის ხეტიალის შემდეგ ოაზისს მიადგა, იგი ისე ახლოს იყო წყალთან და, ამავდროულად, ისე შორს... ოაზისთან დაბანაკებული ტომი შეამჩნია, უნდოდა

ეყვირა – დამეხმარეთ, მაგრამ ხმა აღარ ჰქონდა, ენა ებმებოდა და თვალთ უბნელდებოდა, მის თვალებში სიბნელე ჩამოწვა და გონება დაკარგა.

– ეს ეგვიპტელი თავიდან უნდა მოვიშოროთ, თუ გაიღვიძა და გავუშვით, ჩვენ შესახებ შეატყობინებს მტრებს და მომზადებული დაგვხვდებიან.

– სულელო, ჩვენ მას სატყუარად გამოვიყენებთ, იგი შეგვიძღვება და კაიროში მისი წყალობით მარტივად აღმოვჩნდებით. ბელადის სიტყვებმა მითანელ მეომარს გონება გაუნათა და ახალი გეგმის მოწონების ნიშნად მის ხმაურს სხვებიც აჰყვნენ.

ეს სიტყვები ჩაესმოდა ადიოსს და თავი სიზმარში ეგონა, ხმაურმა კი გონს მოიყვანა და ცალი თვალით გახედა წრეზე შეჯგუფებულ მეომრებს. მან იცნო ეგვიპტელების მოსისხლე მტრები – მითანელები და კიდევ ერთხელ ინანა, რომ ქარიშხალს გადაურჩა, რადგან ახლა საკუთარი ხალხის მოღალატე უნდა გამხდარიყო.

ერთ-ერთმა მითანელმა მაშინვე შეამჩნია და ხელი მისკენ გაიშვირა.

– შეხედეთ, გამოფხიზლდა ეგვიპტელი ძაღლისშვილი!

– წყალი... - ძლივს ამოილუღლუღა ადიოსმა.

– მიუტანეთ წყალი, სული არ აღმოხდეს.

ამასობაში მზემ ზენიტს მიაღწია და მითანელებმაც დაიწყეს მზადება წასასვლელად. იქამდე ადიოსს უთხრეს, რა უნდა გაეკეთებინა, თუკი გადარჩენა სურდა. ადიოსმა კი თანხმობა განუცხადა მხოლოდ ერთი პირობით: მან ყველაფერი უამბო მითანელებს ქარავნის შესახებ და ტვირთის წაღებაში დახმარება სთხოვა.

– ღმერთებს ძალიან უნდათ, რომ ეგვიპტელები დავამარცხოთ, – თქვა მითანელთა ბელადმა და გადაიხარხარა.

გაუდგნენ გზას კაიროსაკენ, ამასობაში კი დღეც მიიწურა და ავის მომასწავებელმა სიბნელემ მოიცვა ყოველივე. დილით უკვე ეგვიპტის შუაგულში იქნებოდნენ. წინასწარი გეგმის მიხედვით, ეგვიპტურ ფორმაში გადაცმული რამდენიმე მითანელი ადიოსთან ერთად წინ წავიდოდა და მექარავნეებად გააცნობდა თავს, რამდენიმე ასეული მეომარი კი მალულად უნდა შესულიყო, ამისთვის საჭირო იყო, ქარავანი არ გაეჩხრიკათ.

ადიოსი თავს ისე აჩვენებდა მითანელებს, თითქოს მისთვის სულ ერთი იყო ეგვიპტელების ბედი, მთავარი იყო, როგორმე დანიშნულების ადგილამდე ჩაეტანა საგზალი.

მიუახლოვდნენ გალავანს. ადიოსმა მითანელებს უთხრა, რომ დალოდებოდნენ და თვითონ დაელაპარაკებოდა მცველს. წინააღმდეგობა არ გაუწევიათ.

ადიოსი სწრაფი ნაბიჯებით მიიწევდა გალავნისკენ. მან იცოდა, რაც მოელოდა, თუ მითანელებს გასცემდა. მცველს მოკლედ უამბო, რა თავგადასავალიც გადახდა კვიპროსიდან კაირომდე, ისიც, თუ რატომ გარისკა ასე და არ დავიწყებია უბაიდის ხსენებაც. რთული გასარკვევია, როგორ მოახერხა, მაგრამ მითანელების ზუსტი რაოდენობაც გაურკვევია გზად მომავალს და ეს ყველაფერი მცველმა უკვე დაწვრილებით იცოდა. მითანელების ბედი, ფაქტობრივად, გადაწყვეტილი იყო. ეგვიპტის მობილიზებულ ლაშქარს იგი ოდნავ წინააღმდეგობასაც ვერ გაუწევდა.

და ასეც მოხდა... მცველმა გააღო ჭიშკარი, მითანელები ერთმანეთს ამხნევებდნენ და იმედი ჰქონდათ, რომ მოულოდნელობის ეფექტი მათ ეგვიპტელებზე გამარჯვებაში დაეხმარებოდა. შევიდნენ თუ არა ჭიშკარი დაიკეტა, ისინი კი ყველა მხრიდან ალყაში აღმოჩნდნენ.

– გვიღალატა ამ არამზადამ! – იყვირა მითანელთა ბელადმა და შუბზე წამოაგო ადიოსი.

მითანელებმა კი ოდნავი წინააღმდეგობაც ვერ გაუწიეს ეგვიპტელებს. ყველა მათგანი ამოჟლიტეს.

იმ დღეს ფარაონი ძალიან ბედნიერი იყო – მას მიართვეს ძღვენი და, ამით გახარებულს, წამითაც არ გაუფიქრებია, თუ რის ფასად მოაღწია ყველაფერმა აქამდე.

ადიოსის ცხედარი კი შემოსასვლელ ჭიშკართან ეგდო, ყველასგან მიტოვებული, ბედის ანაბარად მიგდებული...

სალომე ბზარაშვილი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი,
ქართული ფილოლოგია
I კურსი

სინათლე ლაზარეს თვალებში

იცი, განთიადი როდის არის მშვენიერი?! როცა მას ადამიანის თვალებში ხედავ...

თუ თქვენ ოდესმე ღრუბელთა ზიარება გიხილავთ, მაშინ გიგრძვნიათ ღვთაებრიობა. უფლის მათარიდან ზეცაზე დაქცეული ღვინის წვეთები თითქოს მწუხრის აგონიიდან გამოქცეული სამყარო ზიარებით იხსნის შებოჭილ სულს. წამიერი გაელვება და დაიბერტყავენ ღრუბლები მშვენიერებას, რჩება მხოლოდ უღიმღამო ნატურმორტი.

მარინისტისთვის ნაცნობი შემთხვევაა, ალბათ. მას მრავლად გაუთევია ღამე ზღვის პირას გარდამტეხი წამის დასატყვევებლად თავის ნამუშევრებში, მაგრამ თვალწარმტაცი სანახაობით შეპყრობილი შთაგონებას უსახსოვრებდა ვერაღწერილ, მაგრამ დამატყვევებელ წამს.

ბუნება საუკეთესო მაგალითია ადამიანის შინაგანი სამყაროს აღსაწერად და ახლა, როდესაც განთიადის ღვთაებრიობაზე ვსაუბრობ, მახსენდება სული, რომელიც სიხარულისგან მინჭებულ რწმენას ისე ეჭიდება, როგორც დედამიწა აისს, თითქოს მარადისობის ცნებაში დასარწმუნებელ მიზეზს ეძებდეს, როგორც ადამიანი მისი არსებობის ღირებულებაში.

და მაინც, ყოველთვის არსებობს „მაგრამ“... ბუნების სიფერმკრთალე, როგორც ყოფიერებაში გაბატონებული გულგრილობა, შეგვიძლია, აღვიქვათ ხილული და აბსტრაქტული სამყაროების საერთო ტკივილად.

ეჰ, ალბერ, იქნებ სჯობდა შავი ჭირი აპათიას...

სექტემბრის გრილი დილა, სარკმელს ფაროსანები აწყდებიან, ღამურები სტვენით ღიღინებენ ძილისპირულს, ფოთლები ღრუბლებს აჰყოლიან და შრიალებენ, დედამიწა იღვიძებს, მაგრამ ძილს მეტად ნატრობს, მეეზოვეები ქუჩებს ფეხაკრეფით ასუფთავებენ და ნაგავს ავტომობილებს ატანენ, თითქოს მომავალს წარსული შეცდომებისგან ასუფთავებენ, შორით ძაღლები ყეფას იწყებენ და მოსალოდნელ საშიშროებას ვაჟკაცური ყიჟინით აფრთხობენ, ჩემში შინაგანი მხურვალება და წუთისოფლის სიფიცხე ერთმანეთს აბათილებს და ვრჩები, უბრალოდ, არაფერი... სიცარიელე... დროის შეგრძნებადაკარგული ჟამთააღმწერელი...

– კიდევ დიდხანს აპირებ ასე ყოფნას? - მეკითხება ოთახში ბარბაცით შემოსული ბაბო, რომელიც თან თვალებს ისრესს, თან რიტმულად ეყრდნობა კარის სახელურს. არ სურს, შეიმჩნიოს ასაკი, ამიტომ ხელჯოხს არ იყენებს და ასე ნელ-ნელა ათრთოლებული ხელის ცეცებით დაფუსფუსებს დროით ფერწამხდარ კედლებს შორის...

– ადექი, შვილო, ხომ ხედავ, მზის კოკრები გაიფურჩქნა, ქალაქი ახმაურდა. – მომიახლოვდა, სახეზე თითები ჩამომისვა, იქნებ დამლოცა, ან ჩემი ნაკვთების დამახსოვრება სურდა, თავშალი მხრებზე ჩამოიგდო და ღია სარკმელს გაუსწორა თვალი...

– შეხედე, რა მშვენიერია ალიონი, სამყარო წახდა, მაგრამ ლაჟვარდის სათნოება ვერაფერმა დაჯაბნა. შვილო, რატომ დუმხარ? დილა მხიარულებით უნდა დაიწყო, რომ ეს დღე შენთვის ბედნიერების მომტანი იყოს. ეჰ, ნეტავ შენი მშობლების მზე ასე მალე არ ჩასვენებულიყო... კარგი, შვილო, შენ გაემზადე, მე სუფრას გავაწყობ.

მიბრუნდა და ღარშივე ჩატოვა სულში მძვინვარე ქარიშხლები...

***

მეტროში ჩავდივარ და ცხოვრების რუტინას მივყვები, ქვეგრიალა ჩემთვის ყველაზე მყუდრო ადგილია, სივრცე სადაც ფიქრისთვის განსაკუთრებული ატმოსფეროა. მატარებელიც ხომ დროის ქმნილებაა, რომელიც თავად მიუძღვის მას. ვაგონის კუთხეში ვდგავარ შეუმჩნევლად,

ყოფიერების კლანჭებში მოქცეული ადამიანი, როგორც სხვები, და უღიმღამო არსებობისგან თავის დაღწევაზე ვოცნებობ, აკვიატებული ფრაზა გონებას მიღრღნის – არარაობა მძლევს და ვვარდები, საძიძგნად ყორნებს აღარ ვწადივარ. ზოგჯერ მგონია, რომ ადამიანები პეპლები ვართ მიწისძვრის ეპიცენტრში და აფრენა არ შეგვიძლია. ვდგავარ სიცოცხლისგან მოშორებით კლონთა გარემოცვაში, შეპყრობილი აზრით, რომ არარაობა ვარ, იმდენად დიდი არარაობა, რომ არაფერს ვაკეთებ საკუთარი თავის ამ მდგომარეობიდან გამოსაყვანად.

აბსტრაქტული სამყაროთი შეპყრობილს, წუთისოფლის ხმები მაფხიზლებს და ვამჩნევ ორმოც წლამდე მამაკაცს, რომელმაც ვაგონში მძიმედ შემოაბიჯა და ესპანური სატრფიალო სიმღერების შესრულება დაიწყო. ცოტა არ იყოს, მეუცხოვა, რადგან არასდროს შემხვედრია, თან ქართული ფოლკლორი მეტად ჟღერდება ხოლმე მეტროში. მოულოდნელად უცხო ქალბატონი თვალშისაცემად წამოხტა ადგილიდან, ცეკვა-ცეკვით მიირბინა მუსიკოსთან და კალათაში ხურდა ჩაუგდო, გაუღიმა ისე, რომ ხალხს ხალისი შეემატა, მასში არტისტიზმი ჰყვაოდა, შემდეგ დარწმუნდა, რომ ხალხი გამოაფხიზლა, თითქოს მოვალეობა პირნათლად შეასრულაო და უმალვე ვაგონიდან გაუჩინარდა... ვისმენდი ესპანურ ბალადებს და მასზე ფიქრი არ მშორდებოდა, თითქოს ნათელი დავინახე ამ სამყაროში. ნათელი, რომელიც ჩემი სულის ჩარაზულ დარაბებში ატანდა...

მეორე დილით მე გავაღვიძე ბაბო, კალთაში თავი ჩავუდე და დავუთქვი, რომ ძველ პირობას შინ დაბრუნებისას ავუსრულებდი. გამიღიმა, დაწნულ თმებზე ხელი გადამისვა და მითხრა: მიხარია, შენ მაინც რომ ასრულებ დაბრუნების პირობებსო. თითებზე ვუყურებდი, დროით დაკოჟრილ თითებზე და ვუმეორებდი, რომ ყველაზე მშვენიერია, რომ უფლის მადლია მისი ხელები, რომლებსაც ყოველთვის შეუძლიათ ჩემი განკურნება, ჩემში დაცემული ანგელოზის ამაღლება...

***

მეტროსკენ მივისწრაფი, თან ვცდილობ, გავიხსენო, რომელ ვაგონში გადავეყარე უცნობ არტისტს. გადავითვლი ვაგონებს და ისევ ვიბნევი, საბოლოოდ კი, ბედს მივენდობი. დინების მიყოლას, დიდი ხანია, მივეჩვიე, სულზე დახეთქილი მორებიც ვერ მაშინებენ და ვერც ილუზიის სიმყარით აშენებული კედლის ნარჩენები. ვთვლი, რომ ადამიანის ყველაზე დიდი შეცდომა დანებებაა, რადგან მას ისე ძლიერ შეუძლია შეჩვევა, რომ ფუნქციადაკარგულ არსებას ემსგავსები...

შევაბიჯებ ვაგონში სასწაულის მოლოდინში და არაფერია, ის აქ არ არის. კვლავ კუთხეში ვდგები და მისი ხილვის იმედს ვკარგავ, ამღვრეული ვარ, მოუთმენლობა მიპყრობს, ვფეთიანობ, ხალხში მის თვალებს ვეძებ. თითქოს გარშემო სიბნელეა. ოკეანეში ჩასაძირად განწირული ნავი ვარ და შუქურის გაფანტულ სინათლეს სიცოცხლის დაუოკებელი სურვილით დავეძებ, თითქოს ბრბოს ნაწილი ვარ, ბრბოსი, რომელიც ცხოვრებას ფერთა პალიტრისგან აცალკევებს და არსებობად აქცევს, მე კი მშვენიერების დანახვა მსურს, არა სტერეოტიპებით გათვალისწინებული, არამედ უსაზღვრო, შთამაგონებელი, შეუფასებელი მშვენიერების, რომელიც თავისუფალი შინაგანი სამყაროს ქმნილებაა და არა ტენდენციების. იმპულსურად გამოვდივარ ვაგონიდან და შინ ვბრუნდები, შურდულივით მივრბივარ სახლისკენ, თითქოს სადაცაა, ცაში ავიჭრები და ფრთებს შევისხამ, მაგრამ სულიერი სიმძიმე ძირს მანარცხებს.

ბაბო გაშეშდა ჩემი დანახვისას...

– რა ხდება, ბაბო გენაცვალოს, ასე მალე რატომ დაბრუნდი?

– არაფერი, უბრალოდ, ლექციები მიცდება, ამიტომ აივანზე გავიდეთ ჩვენებურად და დაპირე-ბულ ლექსებს წაგიკითხავ.

მაშინებდა ის ფაქტი, რომ ჩემი სტრიქონები მელანქოლიის მორევში იძირებოდა, მეშინოდა, ამას ბაბოს რწმენაზე არ ემოქმედა, მისი დაკარგვის მეშინოდა. უცებ შემაწყვეტინა და მითხრა:

– ზეცაზე ვარსკვლავებს შორის არ დაიწყო ღმერთის ძებნა, უბრალოდ, გულში ჩაიხედე,

ღმერთი სიყვარულია.

გულზე ხელი დამადო და განაგრძო...

– სიცოცხლე სასწაულია, შვილო, შენი გულის ფეთქვაც სასწაულია, უფლის წყალობა, ამიტომ არასდროს დაკარგო რწმენა ღმერთის და საკუთარი თავის, ღმერთი არასდროს დაგტოვებს, რადგან ის შენი ნაწილია...

კალთის ჯიბიდან პატარა წიგნაკი ამოიღო, ჯერ აკვირდებოდა ჩაფიქრებული, შემდეგ გადაშალა და ამოიკითხა:

– გთხოვ დამიხსენი, გთხოვ გამიხსენე, სული შთამბერე, ვით ქანდაკებას... შენი მშობლები რომ გარდაიცვალნენ, ტკივილმა რწმენა წამიხდინა, მაგრამ შემდეგ შენ იქეცი ჩემს საყრდენად, სულში კელაპტრები ამიგიზგიზე და დღემდე ვერაფერმა შეძლო მათი ჩაქრობა; შენც უნდა დაინახო, შვილო, სასწაული, რომლითაც უფალი სიცოცხლის ღირებულებაში გვარწმუნებს.

ჩამეღიმა, ბაბოს შუბლზე ვაკოცე, წამოვდექი, ვუთხარი, რომ სასეირნოდ მივდიოდი. ვიგრძენი, პირჯვარი როგორ გარდამსახა კარში გამოსვლისას. მივდიოდი და ვიღიმოდი, განვიცდიდი რაღაც ამოუცნობსა და ამაღლებულს. ვაგონში შევედი, კვლავ კუთხეში დავდექი და მე ის დავინახე. შუაში მოკალათებულიყო და მგზავრებს ხატავდა, თითქოს მისი სული ყვიროდა – „შეჩერდი, წამო“, ალბათ, ამით ეუბნებოდა პორტრეტებზე აღბეჭდილ ადამიანებს, შეხედეთ და გაიხსენეთ ეს წამი, როდესაც სევდა, თუნდ ბედნიერება ილექებოდა თქვენს სახეებზე და მიხვდებით ადამიანობის ფასეულობას, რომ ყოველთვის შეგიძლიათ განიცადოთ შინაგანი ფერიცვალება, რომელსაც აღმაფრენამდე მივყავართ და რომელიც თქვენს არსებობას საოცარ თავგადასავლად აქცევს... ვუყურებდი და ვხვდებოდი, რომ მე სასწაული დავინახე, ხილული ადამიანი, რომლის თვალებმაც არ დაკარგა ქველი ბრწყინვალება და ბავშვური სილაღე.

გარშემო ყველაფერს ხიბლი ემატებოდა და პირველად ვიგრძენი, რომ ვსუნთქავდი...

რუსუდან მაჭარაშვილი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი,
ინგლისური ფილოლოგია
IV კურსი

ვიქტორი

ის ყველაზე სასურველი და სიმპათიური კაცი იყო ჩვენს პატარა ქალაქში, სადაც ყველა ყველას იცნობდა და ყველამ ყველაფერი იცოდა ერთმანეთის შესახებ. მასზე ბევრი ჭორ-მართალი დადიოდა ერთი სახლიდან მეორეში, თუმცა მისი ნამდვილი ცხოვრების შესახებ წარმოდგენა არავის ჰქონდა. ასეთი მხოლოდ მე ვიყავი. მე, რომელიც მის აჩრდილად ვიყავი ქცეული, მე, რომელსაც საკუთარი ცხოვრება აღარ გამაჩნდა, რადგან დანახვის დღიდან უკვე მას ეკუთვნოდა. მე, რომელიც სულ რაღაც თხუთმეტი წლის ვიყავი, ის კი ოცდაშვიდის. მე, რომელსაც არაფრის შეთავაზება არ შემეძლო მისთვის, გარდა ჩემი ბავშვური სიყვარულისა. ჩემი სიტყვები იმდენად პათეტიკურად ჟღერს, თვითონაც მეშინია მათი წარმოთქმის, ამიტომ ვწერ. ვწერ, რათა არ გავგიჟდე, ვწერ, რათა ჩემივე გრძნობებმა არ მომიღონ ბოლო.

მას ვიქტორი ერქვა. სახელიც ისეთივე არისტოკრატიული და მდიდრული ჰქონდა, როგორიც თავად იყო. ჩვენს დროში სადღა ნახავთ ასეთი ძველმოდური სახელის პატრონს, თუმცა მას ოდნავადაც არ ეხამუშებოდა მისი ტარება და როცა კი ვინმე დაუძახებდა, ყოველთვის თავმომწონედ და ამაყად პასუხობდა ხოლმე. ყველაზე მეტად ის მოსწონდა, როდესაც ლამაზი ქალი მიმართავდა მას. ერთხელ თავის ერთ-ერთ მდიდრულ წვეულებაზე თქვა: მიყვარს ჩემი სახელი, მაგრამ უფრო მეტად მაშინ მიყვარს, როცა მშვენიერი არსების ბაგე წარმოთქვამსო. ჩემს ოთახში, სარკის წინ, არაერთხელ დამიძახია მისთვის და ყოველთვის ჩემს ტუჩებს ვუყურებდი, რათა დავრწმუნებულიყავი, რომ ჩემი უღიმღამო ბაგე მის მშვენიერ სახელს არ დაამახინჯებდა. კი გაგაფრთხილეთ, რომ პათეტიკური ვიქნებოდი, მაგრამ მგონი ზედმეტი მომდის.

ვიქტორს შავი თვალები ჰქონდა, აი, ისეთი, როგორიც დორიან გრეის, და არანაკლებ საშიში და საინტერესო ცხოვრებაც. მისი შეყვარება იმდენად ადვილი იყო, რამდენადაც მის ლოგინში აღმოჩენა. ყოველღამე ვხედავდი ხოლმე ქალაქის ულამაზეს ქალბატონებთან, რომელთაგან ზოგი ვიღაცის ცოლი იყო, ზოგი შეყვარებული, ზოგიც დედა. ასეთი მექალთანე იყო ვიქტორი. მორევივით თავბრუდამხვევი, ჩამთრევი და სახიფათო.

მას ყველაზე გულწრფელი და ლამაზი ღიმილი ჰქონდა ჩემს ნაცნობებს შორის. თითქმის ისეთივე, როგორიც... როგორიც... არა, ვიქტორისნაირი ღიმილი მხოლოდ ვიქტორს ჰქონდა და მხოლოდ მას უხდებოდა ასე გაღიმება. ყველაფერში ეტყობოდა სიმდიდრის კვალი, მიხრა-მოხრაც კი მდიდრული ჰქონდა, ტანსაცმელსა და სხვა წვრილმანებზე ხომ ლაპარაკი ზედმეტია. არასდროს ავიწყდებოდა ქუდისა და პრიალა პორტსიგარის გარეშე სადმე წასვლა. როცა კი სადმე ჩაივლიდა, მისი ოდეკოლონის სუნი იმ ადგილას საათობით რჩებოდა.

ვიქტორი ძალიან ბევრს კითხულობდა. არაერთხელ შევპარულვარ მის ბიბლიოთეკაში. დავუყვებოდი ხოლმე წიგნის რიგებს, ვყნოსავდი და ვეხებოდი, რადგან ვიცოდი, რომ რამდენიმე ხნის წინ მათ ვიქტორი ეხებოდა. ბიბლიოთეკაში ერთი ანტიკვარული მაგიდა ჰქონდა, რომელზეც ყოველთვის იდო ნახევრად ჩამწვარი, საუცხოო სურნელის მქონე სიგარა. ერთხელაც, გავბედე და მოვიპარე. მერე სახლში საგულდაგულოდ დავმალე, რათა მშობლებს არ ენახათ. ყოველღამე ავიდოდი ხოლმე სახურავზე, ავიტანდი წიგნსა და სიგარას, მოვუკიდებდი და ვკითხულობდი. სიგარა რომ გამომელეოდა, ახალს ვიპარავდი.

ძნელი იყო, არ დაგმახსოვრებოდა, რადგან მის გარშემო ყველაფერი გამორჩეული იყო. როდესაც ვუყურებდი, როგორ მიდიოდა ის სხვა ადამიანებს შორის ქუჩაში, ვერ ვიჯერებდი,

რომ ისიც ჩვეულებრივი ადამიანი იყო. ვიქტორს ძალიან უყვარდა ფეხით სეირნობა ქალაქში, განსაკუთრებით, საღამოობით. ამბობდა, ქალაქის ნამდვილი სახე მხოლოდ საღამოს შეგიძლია დაინახოო. ყველაფერი, რაც მას უყვარდა, მეც მიყვარდა. თავი ცვაიგის უცნობი ქალი მეგონა, ამიტომაც არასდროს მიმიწერია წერილი არც მისთვის და არც ვინმე სხვისთვის. მისი სახლის წინ ერთი ბებერი მუხა იდგა, რომელიც ჩემს მეორე სახლად იყო ქცეული, რადგან დღე-ღამის უმეტეს ნაწილს იქ შემომჯდარი ვატარებდი. ვუთვალთვალებდი დაუსრულებლად და უფრო მეტს ვოცნებობდი.

მისი წვეულებები გრანდიოზული იყო ხოლმე. არა გეთსბივით ყოვლისმომცველი, თუმცა ბევრი არც აკლდა. ქალაქში ყველას უყვარდა ვიქტორი, რადგან ბევრი ფული ჰქონდა და დახმარებაზე უარს არავის ეუბნებოდა. როგორ ვერ ვიტანდი იმ საზოგადოებას, რომელიც მასთან იკრიბებოდა ხოლმე ყოველ საღამოს. ყალბი ღიმილი, ყალბი მეგობრობა, ყალბი სიყვარული... მათი ყველაფერი ყალბი იყო, გარდა სურვილისა, რომ ვიქტორის ქონება ხელში ჩაეგდოთ. თუმცა ის ძალიან ჭკვიანი იყო და არავის ეუბნებოდა, რამდენი ფული ჰქონდა სინამდვილეში, ან საიდან იშოვა. ეს მხოლოდ მე ვიცოდი, რადგან როგორც აღვნიშნე მისი ჩრდილი ვიყავი. ჩრდილი, რომელიც დღეც და ღამეც მასთან იყო.

შაბათის საღამო იყო და ჩვეულებისამებრ ვიქტორის თვალთვალში გამყავდა დრო. თან წიგნი მქონდა წამოღებული და დროდადრო ჩავხედავდი ხოლმე. ისეთი ადგილი მქონდა ამორჩეული, საიდანაც ყველაფერს ვხედავდი, თუმცა ჩემი დანახვა არავის შეეძლო, იმ ციყვის გარდა, რომელიც ჩემთან ერთად ცხოვრობდა ამ მუხაზე. ვიქტორი აბაზანიდან თითქმის შიშველი გამოვიდა, მხოლოდ პირსახოცი ჰქონდა შემოხვეული წელს ქვემოთ. სასწრაფოდ წიგნი ავიფარე და კინაღამ ხიდანაც ჩამოვვარდი. ასეთი სანახაობის შემდეგ, რა თქმა უნდა, ბგერებს ველარ ვარჩევდი და ყველაფერი ერთმანეთში იბურდებოდა. ამიტომ წიგნი მოვიშორე და ისევ ფანჯარას მივაშტერდი. ვიქტორს უკვე შარვალი ჩაეცვა და ახლა პერანგზე იკრავდა ღილებს. ამოვისუნთქე. ცოტა ხანში, როცა თავიდან ბოლომდე იდეალურად გამოიყურებოდა, ქუდი და პორტსიგარი აიღო და სახლიდან გამოვიდა. ხეზე ადგილის შეცვლა ვცადე, რათა იგი უკეთესად დამენახა, თუმცა ფეხებმა მიმტყუნეს და კივილით გადავეშვი დაბლა. თვალები რომ გავახილე, მოღიმარი ვიქტორის სახე დავინახე.

– მე ამ ხეზე მხოლოდ ერთი ციყვი მახსოვდა, - მითხრა და უფრო ფართოდ გაიღიმა.

პასუხად მხოლოდ თვალები დავახამხამე.

– იტკინე რამე?

– თავმოყვარეობა, – წავიბუტბუტე და წამოვდექი. ვიქტორმა გულიანად გაიცინა. ეს მომენტი სამუდამოდ დამრჩა მეხსიერებაში.

– რას კითხულობდი? – დაიხარა და ჩემი წიგნი აიღო. მაშინვე ხელიდან გამოვტაცე, რადგან ასე მეგონა, თუ წიგნის სათაურს დაინახავდა, ყველაფერს მიხვდებოდა. სწრაფი მოძრაობის გამო კოორდინაციის უნარი დავკარგე და დავეცი. ვიქტორი ღიმილით მომიახლოვდა, ხელზე მსუბუქად მომქაჩა და წამომაყენა. ეს მომენტი კი ისე ჩამებეჭდა თავში, რომ მისი გახსენება ტკივილს მგვრიდა ხოლმე. ბევრჯერ მიოცნებია მის შეხებაზე, თუმცა ეს იმდენად მოულოდნელი იყო მაშინვე თავის გათავისუფლება ვცადე. მან კი ერთი ხელი წელზე მომხვია, მეორე მუხლებქვეშ ამომდო და გულზე მიმიხუტა.

– სისხლი მოგდის, შევიდეთ და ჭრილობას დაგიმუშავებ, – ხმის ამოღება ვერ შევძელი. ასე მეგონა, გული გამისკდებოდა; ასე მეგონა, ვიღაცამ ალმოდებულ სახლში შემაგდო. მაქსიმალურად ვცდილობდი, სახე დამემალა, რათა ჩემი ერთიანად გაწითლებული ლოყები არ შეემჩნია. არ იფიქროთ, თითქოს სხვანაირი მიზნები ამოძრავებდა. ის ბუნებით ძალიან მზრუნველი იყო და სიგიჟემდე უყვარდა ბავშვები, მეც ბავშვი ვიყავი მისთვის, თხუთმეტი წლის ღლაპი, რომელიც თვალთვალში გამოიჭირეს.

– „დიდებული გეთსბი“ მეც მომწონს, – ღიმილით დამხედა და კარი შეაღო. საცოდავად მოვიბუზე და წიგნი უფრო მივიხუტე. მაინც დაუნახავს, ან უბრალოდ გარეკანით იცნო, რადგან მასაც ზუსტად ასეთი აქვს. უფრო სწორად, მე მაქვს ზუსტად მისნაირი.

შევედით თუ არა, მისი ერთადერთი მსახური გამოიქცა ჩვენკენ შეწუხებული სახით.

– მისტერ ვიქტორ, რა მოხდა?

– სერიოზული არაფერია, შენ მხოლოდ პატარა აფთიაქი მომიტანე, თვითონ მივხედავ. – რბილ სავარძელში ჩამსვა, პიჯაკი გაიხადა და მკლავები აიკეცა. მაშინვე სხვა მხარეს გავიხედე, რადგან ჩემი გული ისედაც საჭიროზე მეტად იყო აჩქარებული. რამდენჯერ მიფიქრია, ამ სახლში მოხვედრაზე, თუმცა ვერასდროს წარმოვიდგენდი, თუ ეს თავმოყვარეობის ფასად დამიჯდებოდა.

– შეგიძლია, არ ინერვიულო, ამ საქმეში ცოტა რაღაც გამეგება. კიდევ კარგი, არაფერი გაქვს მოტეხილი, - ჩემს მუხლთან დაიხარა და რაღაც სითხით გაჟღენთილი ბინტით დაიწყო სისხლის მოწმენდა. მუხლი ამეწვა და ჩემდაუნებურად შევხტი.

– ცოტა მოითმინე და რომ დავამთავრებ, ნაყინს გაჭმევ, – გაბუტული სახით დავხედე და უცებ ტირილი ამივარდა. ვიქტორმა გაკვირვებულმა ამომხედა.

– ასეთი მწარეც არაა, პატარა მსახიობო, – „პატარის“ გაგონებაზე ტირილს უფრო ვუმატე.

– არ ვარ პატარა, – ამოვისლუკუნე და დავუბღვირე.

ვიქტორს ისევ გაეცინა.

– კარგი, მაგრამ ნაყინი დიდებსაც ხომ უყვართ, არაა? მაგალითად, მე, აი, უკვე მოვრჩი, – მუხლი შემიხვია, წამომაყენა და ბიბლიოთეკაში შემიყვანა.

– წინააღმდეგი ხომ არ იქნები, აქ რომ მივირთვათ ნაყინი. ახლავე დავბრუნდები, – ძლივს ოცნების სახლში ვიყავი, ოცნების ბიბლიოთეკაში და რა გამაჩერებდა, კუნძივით ერთ ადგილზე მჯდარს. კოჭლობით მივედი თაროებთან და ახლა უფრო თამამად დავუწყე წიგნებს თვალიერება.

– თუ რომელიმე მოგეწონა გათხოვებ, – ნაყინით სავსე ფიალები იმ ულამაზეს მაგიდაზე დააწყო და ხელით თავისკენ მიმიხმო.

მივლასლასდი.

– სხვათა შორის, სიგარების მოპარვა მთლად კარგი საქციელი არაა.

აქ მივხვდი, რომ ყველაფერი იცოდა. უკლებლივ ყველაფერი, მაგრამ მაინც მიღიმოდა. იმ დღეს პირველი წიგნი წამოვიღე მისი ბიბლიოთეკიდან. ორი დღის შემდეგ თამამად მივედი ვიქტორის კართან და ზარი დავრეკე.

– უკვე წაიკითხე, – თავი დავუქნიე.

ასე დაიწყო ჩემი „გავიქტორება“. კვირაში ორ საღამოს მის ბიბლიოთეკაში ვატარებდით და ჩემს აზრებს ისმენდა ბოლოს წაკითხულ წიგნზე. ვიმედოვნებდი, ეს საღამოები დიდხანს გასტანდა, რადგან ბიბლიოთეკა გადავსებული იყო წიგნებით. ხიდან ჩემი ჩამოვარდნიდან სამი თვე იყო გასული, როცა შევხედე და ვკითხე.

– ვიქტორ, ცოლად ხომ მომიყვან? – ყავა გადასცდა. მერე ვიქტორისეულად გამიღიმა და მიპასუხა:

– რა თქმა უნდა.

ერთხელაც გათენდა და ყველაფერი შეიცვალა. ხალხს ვიქტორი აღარ უყვარდა.

ქალაქში ვიღაც ქალი ჩამოვიდა, რომელსაც სულ შავები ეცვა და მატარებლის სადგურთან მდებარე პატარა კაფეში ვიქტორის მისამართი იკითხა. მეორე დღეს დილის გაზეთში ვიქტორის ფოტო პირველ გვერდზე იყო დაბეჭდილი. სტატიას კი სკანდალური სათაური ამშვენებდა: „მისტერ ვიქტორის შავ-ბნელი წარსული და სხვისი სისხლით მოპოვებული მილიონები“.

შავებში ჩაცმული ქალი აღმოჩნდა ვიქტორის პირველი სიყვარულის დედა. მისი მტკიცებით, გოგონა ვიქტორმა მოკლა, რათა ქონება მიეთვისებინა. ყველაფერ ამას ისიც ემატებოდა, რომ მოკლული ფეხმძიმედ იყო და ვიქტორმა ამის შესახებ იცოდა.

ქალაქში ეს ისტორია ყველამ დაიჯერა, ჩემ გარდა. მე სიმართლე ვიცოდი, თუმცა არავინ მომისმენდა, რადგან „სამხილები“ ისე იყო შეთითხნილი, ყველაფერი ვიქტორის საწინააღმდეგოდ მეტყველებდა. დაიწყო საფუძვლიანი გამოძიება. მას ერთი სიტყვაც არ უთქვამს თავის გასამართლებლად. ვიქტორი ყველამ მიატოვა, მხოლოდ მე ვიპარებოდი ხოლმე მასთან ჩუმ-ჩუმად. მეუბნებოდა, მშობლები დაგსჯიან ამის გამოო, მაგრამ ვხედავდი, როგორ უხაროდა ჩემი იქ ყოფნა.

სასამართლომ იგი უდანაშაულოდ ცნო, მაგრამ ხალხმა არა.

და ის წავიდა.

მის ბიბლიოთეკაში რომ მივედი, იქ მხოლოდ ერთი წიგნი დამხვდა ულამაზეს მაგიდაზე. რა თქმა უნდა, ის ჩემთვის იყო განკუთვნილი. ყდაზე ოქროსფერი ასოებით „დიდებული გეთსბი“ ეწერა.

„ჩემო ციყვო, მაპატიე, რომ დაუმშვიდობებლად წავედი. მაპატიე, რომ პირობას ვერ შევასრულებ, თუმცა, ალბათ, აღარც გინდა ჩემი ცოლობა. სულ ვფიქრობდი, რატომ მიყვარდა ეს წიგნი ასე ძალიან და პასუხიც ვიცოდი, მაგრამ აღიარების მეშინოდა. ვიცოდი, რომ მეც გეთსბივით ბრწყინვალე ცხოვრება მექნებოდა, მასავით დავკარგავდი პირველ სიყვარულს და მასავით ვიღაც მომკლავდა შურისძიების გამო. ვიცი, რომ შენ ყველაფერი იცი ჩემ შესახებ და ამიტომაც მოდიოდი ხოლმე იმ სკანდალის შემდეგაც. ვერ წარმოიდგენ, როგორი მადლიერი ვარ, თუმცა შენ ჩემზე უკეთესს იმსახურებ. საკუთარ თავს უფლებას ვერ მივცემ, რომ ცხოვრება დაგინგრიო, ოჯახს მოგაშორო და მსხვერპლად შემომეწირო. მაპატიე, რომ ჩემ გამო იმ არაკომფორტულ ხეზე გიწევდა ჯდომა, მაპატიე, რომ შეგიყვარდი და მაპატიე, რომ მეც შემიყვარდი. ვიქტორი.“

ექვსი წლის შემდეგ.

მისი ძველი დიდებულების კვალი ამ ექვს წელს სრულიად წაუშლია, თუმცა მის თვალებში ისევ ვხედავ ხოლმე უწინდელი ვიქტორის სიდიადეს. მას აღარ აქვს უზარმაზარი სახლი, აღარც გრანდიოზულ წვეულებებს მართავს, მაგრამ ის ისევ ვიქტორია. ორი წელი ვეძებდი მის ახალ სახლს. ის გზააბნეული დადიოდა ქალაქიდან ქალაქში, ქვეყნიდან ქვეყანაში და არსად არ ჩერდებოდა ერთ კვირაზე მეტხანს, რადგან მისი წარსული ჯიუტად ედგა კუდში. ბოლოს კი იპოვა მყუდრო ადგილი, ქვეყნის მეორე ბოლოში და ბიბლიოთეკა გახსნა. მე კი, როგორც იქნა, მოვიკრიბე გამბედაობა და რამდენიმედღიანი თვალთვალის შემდეგ პირველად შევაღე მისი ბიბლიოთეკის კარი.

ის სარწეველა სავარძელში იჯდა, მუხლებზე გადაშლილი წიგნი ედო და პირდაპირ იყურებოდა. როგორც იქნა, გავბედე და დავილაპარაკე:

– მოვედი, რომ პირობა შეასრულო.

ვიქტორმა გამიღიმა.

ნინია ყოჩიშვილი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი,
მაგისტრატურა, I კურსი

სინაისე

ყველაფერი წაიშალა და დამთავრდა, გაქრა ისე, როგორც ქრებიან სანიშნე კოშკის სარკმელზე მდგარი, გემის ვერმომყვანი ლამპები და სიბნელეც ხელზე უფრო ახლოს მოვიდა...

არ ინდობოდა ქარი, შენი სურნელი მოჰქონდა ცხრა მთას იქიდან, ქარი იწყებოდა ზღვიდან და ქარი მთავრდებოდა მთაში...

ყველაფერი წაიშალა და დამთავრდა, მაგრამ ენას ვერ გაექცევი, ენამ შემოინახა შენი სიტყვები, წამომცდება ხოლმე და მერე მრცხვენია – „სინაისე", „ჩელტინა", „ომიჰავა", „ოჰაიოსე" და ყველა ის ჯადოსნობა, რასაც ერთად ვიგონებდით, რაც ასე სულელურად ჩანს და რაც ასეთი ძვირფასია ჩემთვის.

როცა რაიმე ძალიან ნაზსა და ლამაზს ვხედავ, „სინაისე" წამომცდება ხოლმე, როცა ვინმე სისულელეს იტყვის, „ჩეელტინას" ვეძახი...

თურმე ყველაზე საშინელი, რაც შეიძლება სიყვარულის მერე დატოვო, ერთად შექმნილი სიტყვებია, შენს ლექსიკაში გამჯდარი და ლამის შენივე სისხლს შერეული...

როდის წამოგცდება, კაცმა არ იცის და როდის იკბენ ენაზე, ეს სიტყვები თავისუფლად არ გაცხოვრებენ.

გავა დრო, ისევ ვიტყვი „სინაისესა" და „ჩეელტინას" და ვეღარაფერს ვიგრძნობ.

ენა გვტოვებს იქ, საიდანაც დიდი მონდომებით გვრეცხავენ და საიდანაც მოუნდომებლად ვირეცხებით...

***

ბებიაჩემს დედაჩემი თავიდანვე არ მოეწონა და მისი ოჯახიც თან მიაყოლა. ბებიაჩემი მთიდან იყო და მთა და ვაზი ძალიანაც ვერ მეგობრობენ ერთმანეთთან, ძირითადად, არაყი ჰქონდათ და ცოტა ღვინო. ჩამოვიდნენ ქალაქში გოგოს დასანიშნავად და ამათ დიდი თავმოწონებით 10 წლის დაძველების ღვინო დაახვედრეს. ბებიაჩემი გადაირია. რა უსტუმრო ოჯახი უნდა იყოს, რომ ღვინო 10 წელი სახლში გაუჩერდესო. აითვალწუნა ეს „უსტუმრო" ხალხი, მაგრამ რაღას იზამდა, მისთვის არ უკითხავთ, მთავარია, შვილს მოეწონა.

ჩაიარა ქორწილებმა და ამბებმა. კორპუსში გაზრდილ დედაჩემს დედამისმა დაარიგა, სოფელში დილით ადრე უნდა ადგე და ეზო დაგავო, მეზობლებიც იტყვიან, ყოჩაღი რძალი მოსვლიათ და შენს დედამთილსაც გაუხარდებაო. ადგა დედაჩემი 6 საათზე და დაიწყო ეზოს გვა. ამ ამბავს ბებიაჩემი ასე ჰყვებოდა: დილით მეღვიძება და რაღაცა შარიშურის ხმა მესმის, ვფიქრობ, რა ხდება, ეტყობა, ანიკო (მეზობელი) რამეს აკეთებს, ის გიჟი-მეთქი და გადავბრუნდი, მაგრამ რომ აღარ გაჩერდა ეს ხმა, ავდექი, გავედი და... ეზოს არ გვიდა?! გავბრაზდი, გავბრაზდი, სულ გავგიჟდი, მაგრამ რაღას ვიზამდი... ვუთხარი, შედი, დაიძინე, არ უნდა მაგას დაგვა-მეთქი. არ იტყოდა ხალხი, ახალმოყვანილ რძალს დილის 6 საათზე ეზოს აგვევინებენო? ან რა სჭირდა ჩემს ეზოს დასაგველი-მეთქი?

ძალიან ვერ შეეწყო ეს ორი კულტურა ერთმანეთს. დედაჩემს ვინც მოსწონდა, ბებიაჩემი ვერ იტანდა. დედაჩემს წყნარი, მშვიდი, თბილი ხალხი მოსწონდა, რაც ძალიან დიდი იშვიათობაა შუაგულ მთაში, ბებიაჩემი კი ვერ იტანდა – გაბუჟებულები არიანო.

ამ ყველაფერს ისიც დაემატა, რომ პაპას ძალიან უყვარდა დედა, მონატრებული ჰქონდა ლაპარაკი უცხოურ ენაზე, არ უნდოდა, დავიწყებოდა ომში ნასწავლი 7 ენა და დედაჩემს სულ რუსულად ელაპარაკებოდა. ბებიაჩემს ეგონა, მე რომ არ გავიგონო, იმიტომ ლაპარაკობენ რუსულადო. და როცა ესენი რუსულად ლაპარაკს დაიწყებდნენ, გაიხურავდა კარებს და ბაღში მიდიოდა, მეხიც თქვენ დაგეცეთ და თქვენს რუსულსაცო.

გოგო რომ გამაჩინა, არ განაწყენებულა ბებიაჩემი, თვითონაც სულ გოგოებს აჩენდა. მაგრამ ის კი ეწყინა, რომ ამ ერთ გოგოზე „გაჩერდა" დედა, როცა თვითონ 6 შვილი ჰყავდა. - მეხუთეც რომ გოგო გაჩნდა, ხვთისო შემოვიდა ოთახში და მე ვუთხარი, რომ მოკვდე და გაწყალდე, სანამ ბიჭი არ იქნება, იქამდე არ გავჩერდები-მეთქი – ჰყვებოდა ბებიაჩემი. კაცმა რომ თქვას, ძალიან მადლობელი ვარ ბებიაჩემის, ძალიან მომწონს სიცოცხლე და ბიჭისთვის თავი რომ არ გადაედო, მეც არ ვიქნებოდი. აი, მაინცდამაინც ბიჭი რომ უნდოდა, ეგ ბოლოს ინანა – ყველას გოგო სჯობიაო, ბიჭი უნდათ, რომ სახლში ვინმე დაურჩეთ, მაგრამ გოგო რომ მოგხედავს, ისე ვერავინო. მოსავლელად უნდოდა იმ დროს შვილი ყველას, ასე აღიქვამდნენ.

დედას მოსავლელად არ ვდომებივარ, სულ მეუბნებოდა, რომ ბედნიერი უნდა ვყოფილიყავი, მეცეკვა, მემღერა, დამეკრა და მემხიარულა. მე მართლა ყველგან ვუკრავდი, სადაც პიანინოს ვნახავდი, რაღაც პატარა მელოდიებს ვაწყობდი და მახსოვს, ხალხს მართლა მოსწონდა და აღფრთოვანებულები იყვნენ – ეგ მელოდია მართლა არსებობს და ასწავლეთ, თუ მართლა თავისით აკეთებსო. დედამ მუსიკის მასწავლებელი მომიძებნა, თუმცა მერე დედა მოკვდა, იმ სახლიდან გადავედით და ჩემთვის დაკვრა აღარავის უსწავლებია. მაგის მერე ბებიაჩემმა დედაჩემი შეიყვარა, თუმცა მაინც ჰყვებოდა, როგორ გვიდა ეზოს დილის 6 საათზე.

მთაში დატირებას დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ, სამძიმრიდან მისული, ყველა ჰყვება, ვინ როგორ ტიროდა და რას ამბობდა, მამიდაჩემებს კი ძალიან უნდოდათ, რომ, როცა პაპაჩემი მოკვდა, კარგი სატირალი ტექსტები ჰქონოდათ. მე, როგორც ბიჭის შვილი, წინ გამიშვეს სურათით, უკან მიცვალებულს მოასვენებენ კიბეებზე და ბებიაჩემი ხმამაღლა ტირის. მამიდაჩემებმა წინა ღამით ბებიაჩემს ასწავლეს, ხვალ ტირილში თქვიო, რომ ხვთისო, რა დიდებული კაცი იყავი, სიძეებმა გაგაპატიოსნეს, ისე უყვარდი ხუთივესო. ბებიაჩემმა ეს სიტყვა ვერ დაიმახსოვრა და მეორე დღეს გამოსვენებისას მთელი ხმით ტირის, ხვთისოოოო, რა კაცი იყავი, სიძეებმა გაგაუპატიურესო. გვერდებიდან მიაშველეს – გაგაპატიოსნესო. ამანაც, გაგაპატიოსნეს, გაგაპატიოსნესო, ისეთ პატივს გცემდნენ სულო. ხალხმა სიცილი შეწყვიტა.

ეს ნასწავლი ტირილი არასდროს მომწონდა, თუ გეტირება, იტირე, თუ არადა, არა-მეთქი, ვფიქრობდი. მაგის მერე ყოველ საღამოს, როცა ჩემი მამიდაშვილები ქსანზე მიდიოდნენ, ბებიაჩემი შედიოდა იმ ოთახში, სადაც პაპას სურათი იდო და ხმამაღლა ტიროდა. მერე, უბრალოდ, იჯდა. მერე ისევ ტიროდა. ამ ტირილს ვერავინ იგებდა ჩემ გარდა. ვერც ხალხი, ვერც მეზობლები და მე მივხვდი, რომ ბებიაჩემი მართლა ტიროდა. მას მერე გავიზარდე, გავიგე სიყვარული და მარტოობაც გავიგე და ყოველთვის, როცა სიყვარულის გამო თავს ცუდად ვგრძნობ, მახსენდება ოთახში, პაპაჩემის სურათთან მოტირალი ბებიაჩემი და მისი სიტყვები, რომ ყველაზე ძნელი მარტოობა ყოფილა. თურმე როგორ მყვარებიხარ, შე ბეჩავო, შენაო, თურმე ჩავარდნილიც რამდენს მიკეთებდიო და ამ ყინულივით ქალის თბილი სიტყვები არ ვიცი, ესმოდა თუ არა პაპაჩემს იქ, სადაც მერე ბებიაჩემიც წავიდა.

საწოლში იწვა. თავის თავს უმხელდა:

ხვალ მათხოვებენ.

ხვალ უნდა გავყვე იმ საშინელ კაცს.

მამამ თქვა, ბევრი ცხვარი ჰყავსო, მდიდრები არიანო, იქ კარგად იქნებიო, ჩვენ ვიცითო, გოგოს წესი გათხოვებაა, უნდა გათხოვდე და შვილები გააჩინო, გაზარდო და გზაზე დააყენოვო.

რამდენი ოცნება მქონდა. როგორ მეშინოდა ამ ოცნებების. ვიცოდი, ერთხელაც ეს დღე დადგებოდა, მაგრამ მაინც ვებღაუჭებოდი, იქნებ მოვასწრო-მეთქი.

ხვალ უნდა გავთხოვდე. ღმერთო! იქ უნდა ვიყო. შვილები გავაჩინო. იმ კაცისგან გავაჩინო შვილები. იქამდე თითებს გავუსუფთავებ, რომ სუფთა თითებით მოეფეროს შვილებს. თითები უნდა გავუსუფთავო. ღმერთო! როგორ უნდა გავუსუფთავო თითები. წყალი დავუსხა და თვითონ გაიხეხავს, თუ მე უნდა დავბანო და გამოვაცალო ჭუჭყი ფრჩხილებიდან. გული მერევა. ხვალ ქორწილი იქნება. ნეტა ხვალ მაინც ექნება სუფთად? თუნდაც ჰქონდეს. დანარჩენ დღეებში? ნეტავ, როგორია? როგორი ადამიანია? უხეში ჩანს. როგორ შემოვიდა, აქეთ-იქით ირწეოდა, თითქოს მთელი სამყარო ჩემია, მე ფული მაქვს და გამატარეთო. ნეტავ, მის გვერდით როგორ უნდა ვიარო. მეც მასე უნდა ვირწიო? მეც მასეთი სახე უნდა მივიღო? აბა, როგორ უნდა ვიაროთ ერთად? მე ვიღიმო, ვიცინო, ძაღლებს მივეფერო და იმან ასე იაროს? რანაირად ვივლით ეგრე, ვერ ვივლით. ის არ გამაცინებს, არც გამაღიმებს, არც ძაღლებისთვის მომაფერებინებს. აბა, როგორ უნდა ვიყო? რა ვქნა, როგორ ვიცხოვრო? შვილი რომ გამიჩნდება, ისიც მასეთი იქნება? როგორ მიყვარდეს, თუ მასეთი იქნება... მაგრამ შვილი შვილია და, ალბათ, მაინც ძალიან მეყვარება. მაგაზე არ ვდარდობ. მაგრამ ეს კაცი? ამისი ხვნეშა? ამისი ოფლი? სად გავექცე, სად წავიდე? არ მინდა, არაფერი მინდა, ტყეში მირჩევნია, რა ვქნა? გავიქცე და ოჯახი შევარცხვინო? მაგას ვერ ვიზამ. იტყვიან, ნამუსი არ ექნებოდა შენახულიო, თავს მოგვჭრიან, მთელ ოჯახს, მთელ გვარს თავი მოგვეჭრება. რა ვქნა?

უნდა გამოვუსუფთავო ფრჩხილები, კარგად უნდა გამოვუსუფთავო. კარგად დავბანო. ხვნეშას შევეჩვევი. კარგს დავინახავ. კარგი ექნება. იქნებ შემიყვარდეს ის კარგი. იქნებ ასეთიც არ იყოს, სხვანაირი იყოს.

– ჰაიდა, დაიძინე, გამოუძინებელი არ გნახონ ხვალ.

შუქი ჩააქრო. არ დაიძინა. ბევრი ილოცა.

ახსენდებოდა:

„უფრთხილდით თქვენი უფლის, ალლაჰის წინაშე ურჩობას, ხუთი დროის ნამაზი შეასრულეთ, რამაზანი იმარხულეთ, ქონების ზექათი გაეცით, თქვენს მეთაურებს დაემორჩილეთ, რათა თქვენი უფლის სამოთხეში შეხვიდეთ.“

„რასიტყვით,რომელიმეთქვენგანისკართანრომმდინარეიყოსდაყოველდღემასშიბანაობდეს, მას ჭუჭყი შერჩება?“

არ შერჩება, არაფერი შერჩება, კარგი ქმარი იქნება, ბედნიერი ვიქნები. ძაღლებს ვერ მოვეფერები გარეთ, მაგრამ როცა ჩემი ქმარი სახლიდან გავა, ყველა ძაღლს მოვეფერები სახლში, მეცხვარეა, ბევრი ძაღლი ეყოლება, კიდევ შვილები მეყოლება, ირბენენ, იცინებენ, ბევრი შვილი... ჰო, რა მადარდებს.

და ზაფრიდან გამოსასვლელად ლოცვას აგრძელებდა:

– ბისმილლაჰ ირ-რაჰმან ირ-რაჰიმ. ალ-ჰამდუ ლილლაჰი რაბი ლ-'ალამინ. არ-რაჰმან ირ-რაჰიმ, მალიქი იავმი დ-დინ. იაქა ნა'ბუდუ ვა იაქა ნასტა'ინ. იჰდინა სირატა ლ-მუსტაყიმ. სირატა ლ-ლაზინა ან'ამტა 'ალაიჰიმ, ღაირი ლ-მაღდუ ბი 'ალაიჰიმ ვა ლა დ-დალინ...

ჩემი პატარა დედიკო

თავიდან დედაჩემის საფლავის ქვა დიდი მეგონა, ძალიან დიდი. ყოველი ახალი მისვლისას კი პატარა მეჩვენებოდა. ბოლოს რომ ვიყავი, ომიდან ორი წელი იყო გასული, მაშინ სულ პატარა მეჩვენა. გვიან გავაცნობიერე, რომ ნელ-ნელა ვიზრდებოდი და ბოლოს სიმაღლეში გადავუსწარი.

ძალიან შემეცოდა.

ადრე ეს ქვა აძლევდა 33 წლის დედაჩემს სიძლიერეს. მერე ასე რომ მეპატარავა, მეპატარავა დედაჩემიც, ჩემი პატარა, ახლა უკვე ჩემზე 11 წლით უფროსი დედაჩემი. შემეცოდა ასეთი პატარა მკვდრებში სამყოფად, ღამდებოდა და რჩებოდა დედაჩემი სასაფლაოზე სრულ სიბნელეში, მკვდრებთან ერთად. ჩემთვის ხომ იმ სასაფლაოზე ყველა მკვდარია და მარტო დედაჩემია ის, ვის სიკვდილსაც ვერ ვიაზრებ და არ ვაღიარებ. დედა არც მკვდარია და ცოცხალიც არაა. ალბათ, იმიტომ, რომ დედაა და, ალბათ, იმიტომ, რომ როცა დედაზე ვფიქრობ, სულ 7 წლის ვარ და 7 წელს ვერ ვცილდები. ჩემი პატარა, 33 წლის დედიკო, ჩემზე უკვე მხოლოდ 11 წლით უფროსი დედიკო ძალიან შემეცოდა საომარ ზონაში მარტო სამყოფად, თავიდან ისე მეშინოდა, საფლავები არ ამოთხარონ-მეთქი. ვიცოდი, რომ ოკუპანტები საფლავებს თხრიდნენ ხოლმე, სამხედრო ტექნიკას გადაატარებდნენ. შემეცოდა ჩემი პატარა დედიკო ტანკის გადასავლელად, ქვის ჩასაფშვნელად, და, იცით, ტანკის გადავლისას რომ ვერაფერს იგრძნობდა, მაგის გამოც შემეცოდა და თან გამიხარდა და ყველაფერი აირია. რუსების ტყვეობაში სამყოფადაც ძალიან შემეცოდა ჩემი საყვარელი დედიკო, მაგრამ გადმოსვენებაზე არც მიფიქრია. ის იყო იქ, სადაც უნდა ყოფილიყო და სადაც მეც უნდა ვიყო, მაგრამ არ ვიქნები. ალბათ, მე სხვაგან ვიქნები, მაგრამ დაზუსტებით რა ვიცით ამ პატარა ადამიანებმა, რომ ეს ვიცოდე.

ასე მეცოდებოდა ჩემი 33 წლის დედიკო, ხან რისთვის და ხან რისთვის... ვერ ავედი იმ სიმაღლეზე, რომ დედა იმ საფლავის ქვეშ კი არა, სადმე სხვაგან, კარგ ადგილას წარმომედგინა და მეც დამესვენა. ჩემი დასვენების გამო ვერ შევუქმენი ჩემს მარტო დარჩენილ დედიკოს ბედნიერება ჩემივე წარმოდგენებში.

წლობით აღარავინ მიდიოდა დედიკოს საფლავზე. რუსებმა შეშვებაზე უარი თქვეს, მათი ნება იყო, თვითნებური.

ბოლო ორი წელია, მამა შედის. მხოლოდ მას უშვებენ. წელს მამიდაც შეუშვეს. ორივე წავიდა.

შარშან მამამ დამირეკა დედიკოს საფლავიდან, ტელეფონი არ იჭერდა, ხმა არ ისმოდა, არც მამას ესმოდა ჩემი, არც მე მისი, მერე მეც გავთამამდი, მამას არ ესმის და გული არ გაუსკდება ჩემს სიტყვებზე-მეთქი და დედას ბევრი ვეფერე: – დე, ჩემო საყვარელო დედიკო, ყველაზე მეტად მიყვარხარ-მეთქი. შენ ჩემზე არ ინერვიულო, ვძლებ უშენოდ-მეთქი. შენ მანდ არ შეგცივდეს, დე-მეთქი. რომ შეგცივდეს, ვერ შემოგიგორებ ბოთლით ცხელ წყალს მაგ შენს საწოლში და არ შეგცივდეს, ვიდარდებ-მეთქი. ძალიან მენატრები, კარგად ვსწავლობ, არ ვზარმაცობ-მეთქი. მაშინ მართლა არ ვზარმაცობდი. მამაც არ მითიშავდა ტელეფონს და მეც ვაგრძელებდი. არ ვიცი, რამდენი წუთი ვიყავით ასე. ბოლოს მე გავთიშე. არ ვიცი, მამა სად იყო. ახლა ვფიქრობ, შეიძლება საფლავთან დადო ტელეფონი და თვითონ გავიდა და იმიტომ არ მესმოდა ქარის ხმის გარდა არაფერი, არ ვიცი. ასე ველაპარაკე დედიკოს. მერე დავემხე საწოლზე და დავიძინე.

წელსაც დამირეკა მამამ. ორჯერ დამირეკა. არც ერთხელ არ ვუპასუხე.

მთელი დღე მეძინა.

როცა გძინავს, აუტანელ დროს ახტები. დღეს ბევრჯერ გადავახტი.

ნეტავ, დედიკოს ხომ არ ეწყინა.

– ხომ არ გეწყინა, ჩემო პატარა დედიკო, რომ არ დაგელაპარაკე. არ იფიქრო, რომ გაგებუტე, ჩემო დედიკო. არ შემეძლო, დე, აღარ შემეძლო. დაგეღალე, იცი... ვეღარ ვყოჩაღობ, ძალიან დაგეღალე, დე. იმედია, ისევ გაგახარებ. მიყვარხარ, დე. გიკოცნი განლეულ სხეულს, გიკოცნი თვალის ფოსოებს, ძვლებს გიკოცნი, ჩემო დე.

თებროს ქვაბები

ბებიაჩემი იჯდა და ქვაბებს ნაცრით ხეხავდა.

გადმოყოლილი ჰქონდა, ეგონა, ცეცხლზე გამურულ ქვაბებს ყველაზე კარგად ნაცარი გაათეთრებდა. მე ჭუჭყიანი მეგონა ნაცარი და მის გარეცხილ ქვაბებს ხელმეორედ მის ჩუმად ჟელეთი ვრეცხავდი.

მერე მოვიდნენ რუსები, ბებიაჩემი ჯერ მთაში გაიხიზნა, მერე აქეთ წამოვიდა და დევნილობისას აღარც ქვაბი გაუხეხავს, არც ჯამი გაურეცხავს, ისე დაბერდა იქიდან ჩამოსვლისას, აღარაფრის ძალა აღარ ჰქონდა, გამოვიდოდა, ტელევიზორს ხმას აუწევდა და უყურებდა მთელი დღე. პუტინი რომ გამოჩნდებოდა, ჯოხს უქნევდა – როცა ევროპული რემონტი გავაკეთე, მაშინ გამომაქციაო და ხალხზე ბრაზობდა, მე ვუყიდი ერთ ტყვიას, ერთი ტყვია როგორ ენანებათ ამისთვისო. ამ გამწარებული მოხუცისთვის რამის ახსნა ძალიან რთული იყო და ჩუმად ვისმენდით. „აი, ხვთისო, შე ოხერო, როგორ გაასწარი ამ ყველაფერს“ – და კაბის კალთას ნაკეცებს უკეთებდა.

მთიული ქალი იყო, ხვთისო გულში ჩაუვარდა, ხვთისო ცხენით დაელოდა, ესეც მოახტა და გაიქცნენ, დუშეთში გადასულან, დატოვეს გამწყრალი მამა და ძმები, დამდურებული დედა. იცხოვრეს მთის ცხოვრებით, ხვთისოს საქონელი გამოსაზამთრებლად მიჰყავდა, თებრო ქალიც იყო, კაციც და... მთის ქალიც ეგ არის, სინაზეს რთულად თუ შეატყობ.

მერე ჩამოვიდა.

ბებიაჩემი ტელევიზორთან მჯდარი და ჯოხმოღერებული მახსოვს. იქ დარჩენილ ლოგინზე დარდობდა, ჩრჩილი შეჭამდა, გამზეურება უნდა და ვინ არი პატრონიო. სიზმრებში იქ დადიოდა. ცხადში გადმომხედავდა და იწყებდა – „ეხლა ამსო, დამსო და გუდაწვერში ჩამსო“ და მოაყოლებდა იქაურ ამბებს. დასიზმრებია, თებროს თავისი ქვაბები დასიზმრებია, ლობიო, ღოლო და მაწვნის სუპი მონატრებიათ და რახუნობდნენო, გაშავებულები იყვნენ დარჩენილები, შერცხვენილები ჯერ ჩუმად იყვნენ, „არავინ დაგვინახოს ეგრე გამურულებიო“, მერე ვეღარ მოითმინეს და არახუნდნენო.

– მიყვებოდა ბებიაჩემი, თვალებზე ხელებს მოისვამდა, თავშალს გაისწორებდა, ერთს ამოიოხრებდა ხოლმე და კაბის კალთას ჩააჩერდებოდა, კეცავდა და შლიდა.

დარჩა დანგრევას მყოფი სახლი მთებს შუა, ლამის კი არა და ნამდვილად ტყეში და, როგორ მინდა, ბებიაჩემი თუ არა, ვინმე, ვინმე ჩვენებური ხეხავდეს იქ ქვაბებს.

გასაფერადებლებია ლარად

გასაფერადებლებია ლარად,
ჩემი მთელი ქალობაა ლარად,
და დაღლილი ფეხებია ლარად,
გაბრუებული თავია ლარად,
ვაგონ-ვაგონ სიარული – ლარად.
ჩემი ძველი ოცნებებიც – ლარად,
ჩემი დიდი მომავალიც – ლარად,
ჩემი სასმელ-საჭმელია ლარად.
გასაფერადებლებია ლარად.
ჩემი ღამის თენებაა ლარად.
ჩემი დღის დაღამებაა ლარად.
ჩემი სამოვრის ცხოვრებაც – ლარად.
გასაფერადებლებია ლარად.

თარგმანი

პროზა

გიორგი სიფრაშვილი

აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტი
ირანისტიკა,
III კურსი

სადეყ ჰედაიათი (1903 – 1951)

უსახლკარო ძაღლი

ვარამინის მოედანზე რამდენიმე კაცმა – ყასაბმა, ბაყალმა, ხაბაზმა, დალაქმა და ყავახანის მეპატრონემ – ერთგვარი ამხანაგობა ჩამოაყალიბა, რათა შიმშილით არ დახოცილიყვნენ და გაჭირვების ჟამს ერთმანეთს მხარში ამოსდგომოდნენ.

იმ წელს თეირანში საშინელი სიცხეები დაიჭირა და მთელ ქალაქში ნამდვილი პაპანაქება ჩამოდგა. დასიცხული ადამიანები, ცხოველები თუ ფრინველები დღისით ხეთა ჩრდილებს ეფარებოდნენ, ხოლო საღამოობით გრილ ნიავს ეტანებოდნენ. ვის ჰქონდა ან ყიდვისა და ან გაყიდვის თავი, ამიტომაც სავაჭრო დახლები და მაღაზიები თითქმის ცარიელი იყო. მხოლოდ ცხელი ჰაერი და ქვიშის მტვერი არ აკლდა აქაურობას, რადგან მანქანები გამუდმებით დაქროდნენ და მთელს გარეუბანში მტვერს აყენებდნენ.

მოედნის ერთ მხარეს დიდი ბებერი ჭადარი იდგა. დაკოჟრილი ტანი მთლად ფუღუროდ ქცეოდა, სამაგიეროდ, თითქოს ბედს ჯიბრში უდგასო, თავი მაინც ხშირი ტოტებით დაეფარა, თუმცა სიცხისგან ისიც უძრავად გარინდულიყო.

ხის ქვეშ დამტვერილი და დალაქავებული ფართო სკამი იდგა, აქვე კი რაღაც ხმები მოისმოდა: ორ ახალგაზრდას რძე, მოხარშული ბრინჯი და მოხალული გოგრის მარცვლები გამოეტანათ გასაყიდად. პატარა რუში ჭუჭყიანი წყალი მოწანწკარებდა, რუს პირას კი დასიცხული თხები უგემურად წიწკნიდნენ გამხმარ ბალახს.

იქვე, განცალკევებით, ვარამინის ცნობილი კოშკი იდგა, რომელსაც ნახევრადდაბზარული ცილინდრისებრი ტანი და კონუსისებური თავი მოუჩანდა.

ისეთი საშინელი ალხი იდგა, რომ ბეღურასაც კი, აგურებს შორის რომ შეყუჟულიყო, გამოსვლა და გაფრენა არას დიდებით არ სურდა.

მთელ გარეუბანში დასადგურებულ სიჩუმეს ხანდახან მხოლოდ ძაღლის შესაბრალისი ყეფა თუ არღვევდა. არ გეგონოთ, რომ ეს უბრალო, მაწანწალა ძაღლი იყო, არა, სუფთა შოტლანდიური ჯიშის იერი ჰქონდა, რუხი, ფეხებზე შავი ხალებით, თითქოს ეს-ესაა, ჭაობში ურბენია და ტალახი ზედ მიჰკრობიაო. ყურებდაცქვეტილს, ნიავისთვის მიეპყრო სმენა, ოდესღაც მბზინვარე ბეწვი ახლა ჭუჭყს შეელახა, სამაგიეროდ, თვალები ისეთი ჭკვიანი ჰქონდა, რომ შემხედვარეს მათში ლამის ადამიანური გონიერება დაენახა.

დღისით არაფერი, მაგრამ როდესაც შუაღამე მოაწევდა, მაშინ მასში უზომო მღელვარება იღვიძებდა, სიცოცხლის ყოველგვარი წყურვილი უქრებოდა და ახლა უკვე ჭკვიანი თვალებიდან ტკივილით სავსე სული მოჩანდა. აი, სწორედ ამით წააგავდა იგი ადამიანს, იმით, რომ მისი თვალები ადამიანებისას არა მარტო გარეგნულად, არამედ ბუნებითაც ემსგავსებოდა. ღია-ყავისფერი გუგებიდან ერთდროულად ტკივილითა და იმედით იცქირებოდა, ზოგჯერ მხიარულიც იყო და ამ დროს ყველას უყვარდა, ხოლო როგორც კი დარდი შემოაწვებოდა,

თვალის გუგები უშეშდებოდა და ავადმყოფურად დალასლასებდა. ამგვარ წუთებში კაციშვილი ყურადღებას არ აქცევდა და ზედაც არ იკარებდა .

ამგვარ ცვლილებათა მიზეზი, როგორც თავის თავში, ისე ადამიანებში, მისთვის გაუგებარი იყო, თვითონაც ვერ პოულობდა ამის მიზეზს და ვერაფრით აეხსნა, თუმცა არც ძალიან ცდილობდა, რადგანაც მთელი მისი ყურადღება მიპყრობილი იყო იმისკენ, რომ როგორმე რაიმე საკვები ეშოვა, იმგვარი რამ, რაც საჭმელად გამოდგებოდა, რათა მთელი დღეები შიმშილით კვნესაში არ გაეტარებინა.

ადრე იგი გამბედავი, უშიშარი, სუფთა და სიცოცხლით სავსე გახლდათ, ახლა კი თუ რამეს იპოვიდა, იძულებული იყო, მალულად ეჭამა და ყოველი ჩქამის გაგონებაზე, ყოველი სხვა არსების მოახლოებაზე შიშით კანკალებდა, ზოგჯერ კი საკუთარი ხმაც აფრთხობდა.

მის ოდესღაც მბზინვარე ბეწვს ნაგავში გდებისგან ნელ-ნელა ჭუჭყი შეეპარა, ტანი მუდმივად ექავებოდა, გრძნობდა, რომ თვითონაც სანაგვის ნაწილი გახდა და ერთადერთი სიკვდილიღა იქნებოდა მისი საშველი.

ორი წელი გასულიყო, რაც თავისი პატრონს მიეტოვებინა. მას შემდეგ აღარც წესიერად უჭამია და არც უძინია, დასუსტებული და ძალაგამოცლილი დაეხეტებოდა ვარამინის მოედანზე. ერთი ადამიანიც არ მოსულა მასთან, რომ მოფერებოდა, თავად ფათიც – ასე ერქვა ძაღლს – ვერავის ხედავდა ისეთს, რომელიც ისე მოექცეოდა, როგორც მისი პატრონი ეპყრობოდა, თუმცა ირგვლივ მყოფი ადამიანები გარეგნულად ძალიან წააგავდნენ მას. ეჰ, კარგი იყო, რომ გვერდით ისევ ჰყოლოდა მოსიყვარულე და კეთილი ადამიანი, რომელიც ფათის ფიქრებს, ტკივილებსა და დარდს გაიზიარებდა და სიყვარულით იზრუნებდა მასზე...

უცებ ძაღლმა მძაფრი სუნი იგრძნო, თავბრუ დაეხვა და დაიბნა, მთელი მისი არსება შეძრა ამ სუნმა, რომელიც იმ რძეს ასდიოდა, იქვე ხესთან გასაყიდად რომ გამოეტანათ.

ეს თეთრი სითხე! იგი ძალიან ჰგავდა იმას, რითაც დედამისი კვებავდა ბავშვობაში...

და ძაღლს თვალწინ გადაეშალა თავისი ბავშვობა, მის მეხსიერებაში პატარაობის მოგონებებმა დაიწყეს გაცოცხლება და ეს მოგონებანი იმდენად ძლიერი აღმოჩნდა, რომ მან გრძნობა დაკარგა და მიწაზე დაეცა.

ესიზმრა, თითქოს კვლავ ლეკვი იყო და დედა თბილ რძეს აწოვებდა, თან ენით ბეწვს ულოკავდა და უსუფთავებდა, ხოლო ის სურნელი, დედამისის სხეულს რომ ასდიოდა, სიცოცხლის სტიმულს აძლევდა ფათის – თბილი და ტკბილი რძე, დედა და მისი მზრუნველობა მას ამ ქვეყნად უბედნიერესს ხდიდა.

ეს რძე თითქოს ათრობდა, ტანში სითბოს გრძნობდა და მშვიდდებოდა. ფათი, ახლა პატარა და უმწეო არსება, გამუდმებით ცდილობდა, დედას მკერდში მიჰკვროდა და აღარასოდეს მოსცილებოდა.

ერთ ღამესაც, როდესაც ფათის, დედასთან მიხუტებულს, ღრმა ძილით ეძინა, უცებ სიზმარში შიშისგან კანკალი დაიწყო, რადგან დაინახა, უკნიდან ვიღაც ეპარებოდა და წაყვანას უპირებდა.

ამ შიშმა გამოაღვიძა იგი და შვებით ამოისუნთქა: დედამისი იქვე იწვა, გრძნობდა მის სხეულს, რომელსაც თავისი პატარა თათებით ეხებოდა და უგემრიელეს რძეს ეწაფებოდა, გრძნობდა ძმის ფუმფულა ტანს და სითბოს. გაახსენდა უწინდელი სოროც, სადაც ძმებთან ერთად თამაშობდა, ყურებზე კბენდა, მიწაზე გორაობდა, წამოდგებოდა და ისევ დაეცემოდა. აგონდებოდა, ლეკვები ერთმანეთს როგორ დასდევდნენ დასაჭერად და დროს გასატარებლად მინდორზე დარბოდნენ, სანამ ერთ დღეს ვიღაც ბიჭი არ გამოჩნდა, რომელიც შემდეგ მისი პატრონი გახდა. ძაღლი იმ ბიჭს ყეფა-ყეფით ბაღის ბოლომდე მიჰყვა, თან ეთამაშებოდა და ტანსაცმელზე კბილიც კი გაჰკრა.

ბიჭმა ლეკვს ხელი გადაუსვა და ამის შემდეგაც ხშირად ეფერებოდა, შაქრის ნატეხებს აძლევდა, რაც ფათის ძალიან მოსწონდა და აღარც არასოდეს დავიწყებია.

პატარა ბიჭს სხვა ოთხფეხა მეგობრებიც ჰყავდა, თუმცა ლეკვმა მალე გამორჩეული ადგილი დაიკავა მათ შორის. მასთან ყოფნის დროს ფათის ტკივილისგან არასდროს დაუკვნესია და არც შიმშილით ასწვია კუჭი. ხოლო როცა ფათიმ დამოუკიდებელი ცხოვრების დაწყება

მოისურვა და დედა მიატოვა, იმ ახალგაზრდა პატრონთან გადაბარგდა, მის მოხუც მოსამსახურეს დაუმეგობრდა და გვერდიდან არ სცილდებოდა.

სადილობისას თუ ვახშმობისას ფათი მაგიდის გარშემო დადიოდა და საჭმელს შორიდან ყნოსავდა, ზოგჯერ ბიჭის დედა, ქმრის წინააღმდეგობის მიუხედავად, ძაღლისადმი მზრუნველობას იჩენდა და ეფერებოდა, შემდეგ კი მოხუცი მოსამსახურეს მიჰყავდა და ძაღლისთვის გამოყოფილ ხის პატარა ფარდულში ჯამით საჭმელს უდგამდა.

ეს ფათის ცხოვრებაში საუკეთესო წლები იყო.

დრო გადიოდა, თანდათან ფათის სულ უფრო ნაკლებ ყურადღებას აქცევდნენ და საჭმელსაც კარგს აღარაფერს იმეტებდნენ, ისე რომ, მას თავად უწევდა ცოტად თუ ბევრად ყუათიანი საკვების შოვნა, და რადგან იმ სახლში დედალ ძაღლებს უფრო კარგად აჭმევდნენ, ფათიც იძულებული იყო, ზოგჯერ ჭამაში მათ შესცილებოდა.

შემოდგომის ერთ ჩვეულებრივ დღეს ოჯახის უფროსი ვიღაც ორ კაცთან ერთად დაბრუნდა სახლში. პატრონიცა და ისინიც მთვრალები იყვნენ. ფათი ავტომობილში ჩაისვეს და ქალაქის განაპირას გაისეირნეს. პატრონს ფათის მოცილება სურდა, თუმცა თან ეცოდებოდა კიდეც და ნერვიულობდა. მანქანა ვარამინის მოედანზე გააჩერეს, ძაღლიც ჩამოსვეს და ქუჩის მოაჯირს ჩაუყვნენ. მოულოდნელად ფათიმ რაღაც მიმზიდველი სუნი იყნოსა და თავისდაუნებურად იმ სუნს გაჰყვა, მაგრამ მერე დაიბნა, აღარ იცოდა, საით წასულიყო და ვიღაცის ბოსტანში ამოჰყო თავი. უკან დაბრუნება სცადა, მაგრამ გზა ვეღარ გამოიგნო და კარგა ხანს უთავბოლოდ იხეტიალა, ბოლოს კი მიხვდა, რომ დაიკარგა და პატრონმაც მიატოვა. მზის ჩასვლისას თითქოს მისი ხმა შემოესმა, მაგრამ მალევე დარწმუნდა, რომ მოეჩვენა.

ასე იქცა ფათი უპატრონო ძაღლად.

იქვე საცხობი იყო, რომლის წინ შეკრებილმა ხალხმა ჯოხით ცემა დაუწყო, ყასბის შეგირდებმა კი ქვები დაუშინეს და ძაღლი იძულებული გახდა, მანქანების ქვეშ შემძვრალიყო, მაგრამ ახლა მძღოლებმა არ მოასვენეს და სქელი ჩექმის წვერები ჩასცხეს. ბოლოს, როგორც იქნა, ყველამ გული იჯერა და ცხოვრებაც ჩვეულებრივ გაგრძელდა.

ბიჭი, რომელსაც ბრინჯი უკვე გაეყიდა, როდესაც ძაღლის შესაბრალის წკმუტუნს გაიგონებდა, გამეტებით დაცინოდა ფათის: „შე უბადრუკო!"ახლო-მახლო მცხოვრებნი ძაღლს სცემდნენ და მათთვის ცხოველისადმი ამგვარი მოპყრობა ჩვეულებრივ საქციელად ითვლებოდა, ზოგჯერ კი მისაბაძადაც. ღვთისმოსავ მუსლიმებს ალაჰისაგან დაწყევლილი შვიდი სულის მქონე ძაღლის წვალება სულაც არ ეთაკილებოდათ.

ასე გადიოდა დღეები და ბოლოს ფათი იძულებული შეიქნა, ამ გაბოროტებულ ხალხს გაქცეოდა, მიხვდა, რომ ახლა არა მარტო საკვები უნდა მოეძებნა, არამედ გზებზე ხალხსაც მორიდებოდა, რაც ასე ძნელი იყო ვარამინში.

კარგა ხანი დაწანწალებდა, ხშირად ენაგადმოგდებული, ნახევრად ძილ-ბურანში იყო ხოლმე, დაღლილი სხეული უთრთოდა, დაქანცული ყობე-ყორეს ედებოდა და მოსასვენებელ ადგილს ეძებდა. ზოგჯერ ნესტიან ამინდში გზაზე მომდინარე წყლით გრილდებოდა და დატანჯული სხეულიც მცირეოდენ შვებას პოულობდა.

ბოლოს მთლად წავიდა ხელიდან, გამხდარსა და გაქუცულს, მხოლოდ ძველი, აქამდე შემორჩენილი მეხსიერების ფრაგმენტებიღა აძლევდნენ ცხოვრების სტიმულს. ზოგჯერ მდელოს სურნელი, რომელსაც იქვე რომელიღაც მკვდარი ცხოველის სიმყრალე და გადაგდებული გაცვეთილი ფეხსაცმლის სუნის სიმძაფრე ფარავდა, ძაღლის გონებას გამოაფხიზლებდა ხოლმე და ამ დროს ფათის მოუსვენრობა იპყრობდა.

მაგრამ ყველაზე დიდი მოუსვენრობა მაშინ იპყრობდა, როცა მდელოზე მორბენალ ქარის სევდიან ხმას გაიგონებდა. ძაღლი მაშინვე გამოფხიზლდებოდა და თითქოს ხელმეორედ დაიბადაო, ახალ-ახალი სურვილებით აღივსებოდა ხოლმე. ერთხელაც ასე მოხდა და ამჯერადაც ეს გრძნობა იმდენად ძლიერი იყო, რომ ფათი უცებ წამოხტა და წინ გაიჭრა. მირბოდა და გრძნობდა, თითქოს ყოველგვარ ამქვეყნიურ ცოდვათა ბორკილებისგან თავისუფალი იყო, მინდვრის ჰაერსაც თითქოს თავისუფლების სურნელი დაჰკრავდა, ის სურნელი, მას რომ სილაღესა

და ბუნების სიყვარულთან ერთად მემკვიდრეობით ერგო წინაპრებისგან, რომლებიც უწინ შოტლანდიის ვრცელ მინდვრებზე იზრდებოდნენ. დიდხანს მირბოდა და ამდენი სირბილისგან იმდენად დაიღალა, რომ უკვე ნაბიჯის გადადგმის თავიც აღარ შესწევდა.

დაღლამ შეახსენა, რომ კვლავ ამ ქვეყნად იყო და დადარდიანდა, მოითენთა, დასუსტდა. მეხსიერებამ ისევ ამოატივტივა უწინდელი ყოფა, როდესაც პატრონის ხელში დღენიადაგ დამწყვდეული იყო, რაც ვერ აეტანა, გაახსენდა, რომ ერთხელ სახლიდან უცხო ძაღლმაც გამოაგდო, ტკბილად მოაგონდა პატრონის შვილთან თამაში, მათ სახლში ყოფნა, რაც ძაღლს ყველაზე ბედნიერ მოგონებად დარჩა, მიუხედავად იმისა, რომ კარგი საკვებისთვის იძულებული იყო, გამუდმებით სხვა ძაღლებთან ახლოს ყოფილიყო.

უცაბედად მოვარდნილმა წყლის ნაკადმა ფათი თავის ბუნაგიდან გამოაგდო. ძაღლიც, თითქოს ამას ელოდაო, უკან მოუხედავად გაიქცა და ისევ მოუნდა, პატრონი მოეძებნა, მაგრამ თვითონაც ვერ ხვდებოდა, საით წასულიყო, გონებაში კი ერთი რამ უტრიალებდა, რომ როგორმე ი მ ს ა ხ ლ ა მ დ ე მიეღწია და ისევ ეპოვნა დაკარგული ბედნიერება...

როცა ვარამინის ქუჩებში აქეთ-იქით აწყდებოდა და ნაცნობი გეშის აღებას ცდილობდა, რაღაც დანგრეულ, ჩამოშლილ სახლს მიადგა, მიხვდა, რომ გზა აბნეოდა და უკან გამობრუნდა. ერთ ხანს თითქოს პატრონის სუნს მიაგნო კიდეც, მაგრამ იმავე წამს სხვა მრავალი სუნიც იგრძნო და გზა აებნა. ნუთუ მის პატრონს აქეთ აღარ გამოუვლია და ძაღლიც ვარამინის ქუჩებში საბოლოოდ უნდა დაიკარგოს? – ეს აზრი ძლიერ აღელვებდა ფათის და შიშის ზარს სცემდა იმის გაფიქრება, რომ შეიძლებოდა, პატრონი ვეღარასოდეს ეპოვნა. თითქოს ახლაღა დაფიქრდა იმაზე, თუ როგორ უნდა ეცხოვრა მზრუნველის გარეშე, როგორ ეარსება, თუკი სანუკვარი პატრონის ყურადღება მოაკლდებოდა, პატრონისა, რომლის პოვნის ყოველნაირი ცდა ძაღლს ამდენი წელი წყალში ეყრებოდა.

დღის ბოლოს დაღლილი და დაქანცული ქალაქის მოედანთან დაბრუნდა, წყალს დაეწაფა, მოსულიერდა, ამ დროს ღობით შემოფარგლულ ბაღში სხვა ძაღლი შეამჩნია, მშიერ-მწყურვალე და ქანცგაწყვეტილმა ფათიმ ძალა მოიკრიბა და მისკენ გაქანდა, უნდოდა, ღობის იქით გადამხტარიყო, მაგრამ დაუძლურებულს ფეხის გადადგმის ძალა აღარ შესწევდა, წაიქცა და იქვე ღობესთან მიეძინა.

შუაღამისას საკუთარმა კვნესამ გამოაღვიძა – ეს შიმშილი აწუხებდა და აყეფებდა, თანაც საჭმლის სუნიც აღიზიანებდა, რადგან ყასაბს დახლზე ხორცის ნამცეცები დარჩენოდა, იქვე საცხობიდან კი ცხელი პურის სურნელი გამოდიოდა.

მიუხედავად ქუჩაში დიდი ხნის გდებისა, ძაღლი მაინც არ იყო მათხოვრობას მიჩვეული, ამიტომ კარგა ხანს ყოყმანობდა, თონესთან მისულიყო თუ არა, მაგრამ როცა შიმშილმა ძალიან შეაწუხა, გათენებისას, შიშით მთლად აკანკალებული, პურის სურნელს ახალგახსნილი საცხობისკენ მიჰყვა, თან დამნაშავედ გრძნობდა თავს, რომ იძულებული იყო, ემათხოვრა და თავი გადაერჩინა.

ამასობაში თონეს ერთი ბიჭი მიადგა, პური იყიდა და ის იყო, თავის გზას უნდა გასდგომოდა, რომ ფათის მოჰკრა თვალი, დაუძახა დაპურის ნატეხი გადაუგდო.

ფათი ჯერ შეყოყმანდა, შემდეგ პური შეჭამა და მადლიერების ნიშნად ბიჭს ნაზად შეუყეფა. ისიც ფათის მოეფერა, შემდეგ კი ყელზე შემორჩენილი საყელური მოხსნა.

ო, რა შვება იგრძნო ძაღლმა! ამ წამს იგი თითქოს ყოველგვარი პასუხისმგებლობისა და მოვალეობისგან გაათავისუფლეს და ამიერიდან არაფრით აღარ იქნებოდა შებოჭილი. ფათი გათავისუფლდა!

სამწუხაროდ, ეს შვება დიდხანს არ გაგრძელებულა, ბიჭმა ძაღლი საცხობის პატრონთან მიიყვანა, ფერდზე კი ისე მწარედ ჩაარტყა ფეხი, რომ ფათის შეყმუვლება მთელ მოედანზე გაისმა. ამ დღიდან მოყოლებული, წიხლი, ქვა და ჯოხი ფათის არ მოჰკლებია, თითქოსდა ყველა ამ ძაღლის მრისხანე მტერი ყოფილიყოს და მისი ცემითა და წამებით კარგ გუნებაზე დგებოდნენ. ძაღლი გრძნობდა, რომ იგი ყველასთვის უცხო იყო, არავინ გამოექომაგებოდა და არავინ დაიფარავდა. მართლაც, არც არავის უნდოდა, ოდნავი მზრუნველობა მაინც გამოეჩინა მაწანწალა ძაღლისადმი.

ამიერიდან ფათიმ ერთ-ერთ ქუჩაზე, სანაგვეში პოვა ბუნაგი, სადაც ყოველთვის ეგდო ხოლმე გემრიელი ძვალი, ან ქონის ნაჭერი, ცხოველის ტყავი, თევზის თავი და სხვა სასუსნავი, რითაც ძაღლი შიმშილს იკლავდა. ყველაფრის მიუხედავად, ფათი მაინც იმედის თვალით შეჰყურებდა იქაურთ, იქნებ ვინმეს საჭმელი გადმოეგდო, მაგრამ ამის ნაცვლად მხოლოდ ცემას იმეტებდნენ უხვად.

დრო გადიოდა, ფათის სულ უფრო ხშირად ახსენდებოდა ძველი კარგი დღეები და ტკივილი, დარდი, მწუხარება შემოაწვებოდა ხოლმე და ეკალივით უკაწრავდა გონებას, ხოლო მოგონებებისგან გათავისუფლება სულ უფრო და უფრო უჭირდა.

ამდენი წლის შემდეგაც ყველაზე მეტად ის ტანჯავდა, რომ დედა აღარსად იყო, რომ მშობლის სითბოს ვეღარ გრძნობდა და იმ ბავშვს წააგავდა, რომელიც პატარა უკვე აღარ არის, მაგრამ ჯერ კიდევ შერჩენია დედის ალერსის სიყვარული. ძაღლის ახლანდელი ყოფა მზე და მთვარესავით განსხვავდებოდა იმ დროისგან, როცა დედა ეფერებოდა. ფათი სევდიანი თვალებით სთხოვდა გარშემო მყოფთ, რომ ყურადღება გამოეჩინათ მისადმი და თავადაც ერთი სული ჰქონდა, სიყვარულითვე ეპასუხა მათთვის, მცირე სიკეთეზეც კი მზად იყო, ერთგულება და სითბო გამოეჩინა, მაგრამ დღე დღეს მისდევდა და ის ნელ-ნელა ხვდებოდა, რომ მისთვის არავის ეცალა, რომ მასზე არც არავინ იზრუნებდა. ყოველ მზერაში, რომელსაც ძაღლს მიაპყრობდნენ ხოლმე, მხოლოდ ზიზღი და სიძულვილი მოჩანდა, რაც მას ძალიან ტანჯავდა და სასოწარკვეთილებაში აგდებდა. ცხადში გადატანილი სიმწარე ძილშიც არ აძლევდა მოსვენებას და მალიმალ აღვიძებდა, თითქოს რაიმე საშინელება ნახაო. გამოღვიძებულს, ამ სიზმრის ყოველი სურათი ახსოვდა და იმედდაკარგული მზად იყო, მაშინვე მიებარებინა სული ღმერთისთვის.

ერთ დღეს, ახალგამოღვიძებულს, ცხვირში ქაბაბის სუნი ეცა და კარგა ხნის უჭმელს გონება მთლად დაებინდა. შიმშილის ეს მტანჯველი გრძნობა იყო ხოლმე, რომ აიძულებდა ძაღლს, მისულიყო ადამიანებთან და რამენაირად საჭმელი ეშოვა.

მოულოდნელად ვარამინის მოედანზე ავტომობილი შემოქროლდა და იქაურობა მთლად აამტვერა. მანქანიდან უცხო კაცი გადმოვიდა, პირდაპირ ფათისკენ წავიდა, ჩაიმუხლა და ხელი თავზე გადაუსვა. იგი აშკარად ფათის პატრონი არ ჩანდა, რადგან ძაღლს კარად ახსოვდა საყვარელი მომვლელის სუნი, ასე რომ, ადვილად არ მოტყუვდებოდა. ამიტომ გასაკვირი იყო, სრულიად უცნობი კაცი ფათის ასე თბილად რატომ მოექცა.

ძაღლი ჯერ შეშინდა, ტანი აუთრთოლდა, გასაქცევად მოემზადა, მაგრამ შეხედა თუ არა იმ კაცს, მაშინვე დაწყნარდა, მის მოფერებას დაჰყვა და კუდი ააქიცინა. კაცმა ფათის მოფერება შეწყვიტა, იქვე დუქანში შევიდა, საიდანაც საჭმლის სუნი გამოდიოდა და კედელთან მიდგმულ გრძელ სკამზე ჩამოჯდა. მას მაშინვე თბილი პური, მაწონი და მოხარშული ქათმის კვერცხი მოართვეს.

კაცმა პურის ნაჭერზე მაწონი წაუსვა და კარებთან ატუზულ ფათის წინ დაუდო. ძაღლი ჯერ სწრაფად დააცხრა საჭმელს, რასაც კაცის ღიმილი მოჰყვა, შემდეგ კი, როცა დაინახა, რომ არავინ ეცილებოდა, პურის ნაჭრები ნელ-ნელა მიირთვა. თავისი ყავისფერი თვალებით, რომლებშიც გაკვირვებასთან ერთად დიდი მადლიერებაც იკითხებოდა, ფათი კაცს მისჩერებოდა და კუდის ქიცინს განაგრძობდა, ვერ გაეგო, ცხადში იყო თუ სიზმარში და თავში მხოლოდ ერთი კითხვა უტრიალებდა: იქნებ სწორედ ეს კაცი გახდეს ფათის ახალი პატრონი?

კაცი მალევე გამოვიდა დუქნიდან, ქუჩის ბორდიურს შორიახლოს დახორხლილი ნანგრევებისკენ გაჰყვა და ძაღლიც კუდის ქიცინით გამოუდგა უკან. ცოტა ხნის შემდეგ მოედანზე დაბრუნდნენ და უცნობი თავის მანქანაში ჩაჯდა, ხოლო ფათის გამბედაობა არ ეყო, თვითონაც ავტომობილში შემხტარიყო. ფათის შეეძლო, ამ კაცს გაჰყოლოდა და მაშინვე დაევიწყებინა ყველა ტკივილი, რაც კი ოდესმე გადაეტანა, მაგრამ მიწაზე გაუნძრევლად იჯდა და უცხო კაცს ისე შეჰყურებდა, თითქოს ვარამინს ვერ შორდებოდა და, აქაურთა უხეშობის მიუხედავად, მაინც შეჰგუებოდა ვარამინის მოედანსა და იქ მაცხოვრებლებს.

მცირე ხნის შემდეგ კაცმა მანქანა დაქოქა, მოედანზე ქვიშის კორიანტელი დააყენა და გაუჩინარდა, იმავე წამს ფათიმაც მთელი ძალით ისკუპა, გამოედევნა, მაგრამ ფეხებში ძალა უკვე აღარ შერჩენოდა, ძლივს მირბოდა, ცდილობდა, დასწეოდა, მაგრამ უცნობი თანდათან შორდებოდა და მანქანაც პატარავდებოდა, ისე, რომ, საბოლოოდ, ჰორიზონტს მიეფარა და

ფათიც, რაკი ვეღარ დაინახა, ენაგადმოგდებული შეჩერდა, მიიხედ-მოიხედა და მიხვდა, რომ ნაცნობ გარემოს დიდი მანძილით დაშორებოდა. დაქანცულსა და ძალაგამოცლილს, გული მისდიოდა, არაქათი ეცლებოდა, მალე კი ფეხებმაც უმტყუნეს, სადაცაა წაიქცეოდა, ღია ყავისფერ თვალებში სინათლე უქრებოდა, ვერც წინ მიდიოდა და ვერც უკან, იდგა და მხოლოდ დაბალ ხმაზე საცოდავად ყეფდა, მაგრამ მისი ხმა ტრიალ მინდორში უგზო-უკვლოდ იკარგებოდა.

ცოტა ხნის შემდეგ მცირედ მოღონიერდა და თავჩაქინდრული ორიოდ ნაბიჯზე წალასლასდა, ისე, რომ წარმოდგენა არ ჰქონდა, სად მიდიოდა. იქამდე იარა, ვიდრე ვიღაცის მინდვრის ნაკვეთს არ მიადგა და ცხელ ქვიშაზე გაიშხლართა. ინსტინქტურად გრძნობდა, რომ ამ ქვეყნად ვეღარ გაძლებდა და, სიმართლე რომ ითქვას, აღარც უნდოდა, არანაირი სურვილი აღარ ჰქონდა სიცოცხლის გაგრძელებისა. ფიქრები მთლად აერია და აღარაფერს აღარ განიცდიდა. მთელ სხეულში არა შიმშილისგან, არამედ დარდისგან გამოწვეულ მწარე ტკივილს გრძნობდა, თვალთ ნელ-ნელა უბნელდებოდა, ტანზე კი ცივი ოფლი ასხამდა.

და აი, ნელ-ნელა შიმშილიც გაქრა, ტკივილიც, მწუხარებაც, დარდიც, ტანჯვაც... თითქოს სხეულიც მოსცილდა ფათის და თვითონაც განცალკევდა ამ სამყაროსგან...

დაისი მოახლოებულიყო. ცაში სამი ყვავი გამოჩნდა. ლეშის სუნმა, მთელ მინდორს რომ მოსდებოდა, როგორც ჩანს, ფრინველებამდეც მიაღწია. ერთი მათგანი მიწაზე ჩამოფრინდა, ფათის მოუჯდა და ყურადღებით დააკვირდა, ერთხანობა მოეჩვენა, ძაღლი ჯერ კიდევ ცოცხალიაო და შეფრთხიალდა, მაგრამ შემდეგ დაწყნარდა, დანარჩენი ყვავებიც ჩხავილით შემოუერთდნენ და ძაღლის თვალებს ჩიჩქნა დაუწყეს...

პოეზია

შორენა ჯიმშერიშვილი

აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტი
ირანისტიკა,
II კურსი

მარია პავლიკოვსკა-იასნოჟევსკა (1891 – 1945)

შენ გარეშე

შენ გარეშე მოწყენილობაა. მოწყენილობა სიგიჟემდე.
ვარ ისევ ციყვთან და ძაღლთან
და შემრჩა მხოლოდ წარმავალი ძალა –
ვწერ, ვკითხულობ, ვეწევი და მაქვს ცისფერი თვალები.
ნაცრისფერი განთიადი, ლურჯი საგა – ოქროსფერი,
დღე დგება ერთ და ღამე მეორე მხარეს,
შეეჩვივნენ ყვავილებიც –
უსურვილოდ ყვავიან.
და ერთხელაც სამყარო დასრულდა. თქვენ რა, გესმით?
სამყარო არ არის და მე მას ვერ შევქმნი.
დრო თანაბარი, ჩუმი. თუმცა მოიცადეთ...
შეიძლება –
შეიძლება, მე აღმოვჩნდი იქით სამყაროში.

სიყვარული

არაფერია –
უკვე თვეა, არ მინახავხარ.
შეიძლება, ვარ გაცრეცილი,
ცოტა მძინარე,
ცოტაც ზედმეტად მდუმარე,
თუმცა ჩანს, რომ უჰაეროდ შეიძლება ცხოვრება.

ესე, პუბლიცისტიკა

სესილი გოგიბერიძე

ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი
II კურსი

ცხოვრება ორაზროვან დანაკარგთან ერთად

მთელი თავისი შეგნებული ცხოვრების განმავლობაში ყოველ ადამიანს გამკლავება უწევს უამრავ სირთულესთან, გამოწვევასთან, ტკივილთან, რომლებიც ფატალურად თუ არა, მნიშვნელოვნად მაინც აისახება მის პიროვნულ ჩამოყალიბებასა და განვითარებაზე. ცხადია, „ორაზროვან დანაკარგზე" საუბარს მანამ ვერ დავიწყებ, სანამ უშუალოდ არ შევეხები ერთ ძალზე ფუნდამენტურ საკითხს - რა არის ზოგადად ცხოვრება და რაშია მისი არსი. ცხოვრება ადამიანის სოციალური და ფსიქოლოგიური პროცესების გრადაციული ერთობლიობაა. მას თან ახლავს მთელი რიგი თეორიულ-პრაქტიკული ამოცანებისა, რომლებიც მუდმივ შესწავლას, განხორციელებასა და გადაჭრას საჭიროებენ. სწორედ ერთ-ერთი ასეთი უმძიმესი და მტკივნეული ამოცანაა „ორაზროვანი დანაკარგის" ცნება, რომელიც სულ ახლახან დამკვიდრდა მეცნიერებაში. „ორაზროვანი დანაკარგი" - ეს ის ტერმინია, რომელიც თავის თავში მოიაზრებს იმაზე ბევრად მეტ ტრაგიზმსა და უბედურებას, ვიდრე ეს ერთი შეხედვით ჩანს. „დანაკარგი" - თვით ეს სიტყვაც ხომ თავისთავად ცხადყოფს, თუ რაოდენ ტოტალურ, მასშტაბურ პრობლემასთან გვაქვს საქმე, მით უფრო, როცა მას ემატება „ორაზროვნება" - ორი გაგება, ანუ ორმაგი, ყოვლისმომცველი ფსიქოლოგიური დარტყმა ადამიანისთვის.

„ორაზროვანი დანაკარგის", როგორც დაუსრულებელი ტანჯვის, სპეციფიკურობა ბევრი ფაქტორითაა განპირობებული. პირველ რიგში, მინდა ხაზი გავუსვა ამ თემის აქტუალურობას. ამჟამინდელი მძიმე რეალობიდან გამომდინარე, ისეთ საერთაშორისო კონფლიქტებით აღსავსე, დაძაბულ, მტრულ სოციუმში გვიწევს ცხოვრება, რომ ადამიანთა დაკარგვა, მათი ყოფნა-არყოფნის შესახებ მხოლოდ ვარაუდებისა და, ხშირ შემთხვევაში, ფუჭი იმედების არსებობა - ყოველდღიურობის განუყოფელი ნაწილი გახდა. ადამიანები სხვადასხვა მიზეზითა თუ მიზნით გადიან სახლიდან და უკან აღარ ბრუნდებიან. მათ დღეების, თვეების, წლების განმავლობაში აღტკინებითა და გულმოდგინედ ელოდებიან ოჯახის წევრები, მეგობრები, უახლოესი ნათესავები, მაგრამ ამაოდ.

წარმოუდგენელია, ბოლომდე გაიაზრო და შეისისხლხორცო ის უდიდესი ტკივილი, სულიერი ტრავმა, ფსიქოლოგიური წნეხი, რომელსაც განიცდიან საყვარელი ადამიანის უგზო-უკვლოდ გაუჩინარების დროს. ეს ის მომენტია, როდესაც არ არსებობს ირგვლივ მყოფი გულშემატკივრების მხრიდან არანაირი მანუგეშებელი სიტყვა თუ ქცევა, რომელიც ოდნავ მაინც გააქარვებს ან შეამსუბუქებს ორაზროვანი დანაკარგის მთელ სიმძიმეს. აქ, ფაქტობრივად, უშედეგო და უძლურია ფსიქოლოგის მორალური დახმარებაც კი, რადგან ვერანაირი რჩევა-დარიგება და ცხოვრების გაგრძელების აუცილებლობაში დარწმუნება ვერ ამოავსებს იმ სიცარიელეს, რომელიც ამგვარმა შემაძრწუნებელმა, უსასრულო გაურკვევლობამ შესაძლოა, წარმოშვას ადამიანში. დიახ, ეს უსასრულო გაურკვევლობაა სწორედ ამ მდგომარეობის სირთულის მთავარი განმსაზღვრელი ძალა. საყვარელი ადამიანის დაკარგვა, რაც უნდა მაქსიმალური ფსიქოლოგიური მზადყოფნის

ქვეშ იყო, ნებისმიერ ასპექტში მტკივნეული და დამთრგუნველია. აცნობიერებ რა საკუთარ დარჩენილ ცხოვრებას მასთან ურთიერთობის გარეშე, აანალიზებ, თუ რაოდენ ძვირფასი, ფასეული, ღირებული იყო მასთან გატარებული დროდა რამდენი რამის მოსწრება შეიძლებოდა, კიდევ ცოტათი მეტხანს რომ ეცოცხლა. გულისტკივილით მოიხედავ უკან და გრჩება მხოლოდ მოგონებები, რომლებიც ასევე წლებთან ერთად, სადღაც შორს, მეხსიერების წიაღში დაილექება. ფიქრობ – შეიძლება კი, რაიმე ამაზე შემზარავად მწარე იყოს? ფიქრობ, ფიქრობ... და ფიქრის შემდეგ ხვდები, რომ ამაზე შემზარავად მწარეც არსებობს – როცა ადამიანს კარგავ და საწყის ეტაპზე თავადაც არ იცი ამის შესახებ. როცა სიტუაცია შენდაუნებურად წყვეტს, რომ აღარ გქონდეს ფიზიკური თუ ემოციური კავშირი უახლოეს დაკარგულ პიროვნებასთან, რომ აღარ ფლობდე ინფორმაციას მის რეალურ ადგილსამყოფელზე, მდგომარეობაზე და, რაც მთავარია, - ეს ყველაფერი გაურკვეველი დროის განმავლობაში. ამაზე გაუსაძლისი ტკივილი და მოუშუშებელი იარა არ მეგულება. იძულებული ხდები, ყოველი დღე დაიწყო და დაამთავრო იმედით, რომელიც არ არსებობს, დარდით, რომელიც შინაგანად გჭამს და განადგურებს. ხოლო ლოდინი, როგორც ყველაზე დამღლელი და აუტანელი პროცესი, უსასრულოდ გრძელდება და ხშირად მომლოდინე მშობლის, დედმამიშვილის, მეგობრისა თუ ნათესავის სიცოცხლის ხანგრძლივობის ფარგლებსაც კი სცდება...

როგორ უნდა შევძლოთ, რომ თვალცრემლიან, სასოწარკვეთილ დედას იმედის ის ნაპერწკალი, რომელიც უკანასკნელია, რაც დარჩენია, მეტად გავუღვივოთ? როგორ უნდა გავმიჯნოთ, ასეთი საქციელი მართებულია თუ არა? სავარაუდოდ, შვილი აღარასოდეს დაუბრუნდება და იმედი ფუჭი რომ აღმოჩნდეს? ან, მეორე მხრივ, როგორ უნდა თანავუგრძნოთ – ეს ხომ პირდაპირი დარტყმა იქნება მისი ისედაც განადგურებული ფსიქიკისათვის? სწორედ ამ კითხვებთანაა აღმართული უდიდესი ზღვარი, წინაღობა, რომელიც არ გვაძლევს მასში შეღწევის საშუალებას.

ომიანობის პერიოდში „ორაზროვანი დანაკარგის“ შემთხვევათა რაოდენობა, რასაკვირველია, იზრდება. ღრმა ბავშვობიდან, როდესაც ჩემი დიდი ბებია ჯერ კიდევ ცოცხალი იყო, მახსოვს, სიბერეშიც როგორ ზედმიწევნით ერთგულად ელოდა წლების წინ ომში წასულ და უკან არდაბრუნებულ ერთადერთ სიყვარულს. ამ ამბით ტრავმირებული, ფეხმძიმედ დარჩენილი ახალგაზრდა ქალი ომის დასრულების შემდეგ მალევე მიხვდა, რომ ბავშვის აღზრდა მარტოს მოუწევდა, მაგრამ არ დაბნეულა, პირიქით – მოიკრიბა მთელი შინაგანი ძალის რესურსი და შეუდგა ოჯახისეული სირთულეების დამოუკიდებლად გადალახვას. მას შემდეგ დიდი დრო გავიდა... ის თითქოსდა შეეგუა თავისგან შორს, უცხო მიწაზე, მტრის ხელით მოკლული მეუღლის გარეშე ცხოვრებას, თუმცა ეს მხოლოდ და მხოლოდ გარედან ჩანდა ასე. უსასრულო იმედს და მოლოდინს იმდენად ღრმად ჰქონდა გადგმული ფესვები მის ქვეცნობიერში, რომ სიცოცხლის ბოლო თვეებში განსაკუთრებულად გაუხშირდა სიზმრები, სადაც ხედავდა ბაბუას შინ დაბრუნებას და ცხოვრებას ამის რწმენით აგრძელებდა.

ეს ერთგვარი ბედისწერის „დაღია“, რომელსაც, როგორც ჩანს, ვერსად გაექცევი. ვერც ჟამთასვლა, ვერც ირგვლივ განვითარებული სხვადასხვა პოზიტიური მოვლენა ვერ გადაფარავს ან დროებით გადაავიწყებს ადამიანს ამ უდიდეს დანაკარგს, უმძიმეს ტვირთს, რომელთა ტარებაშიც ვერავინ დაეხმარება. „ორაზროვანი დანაკარგი“ გამოუვალი მდგომარეობაა – გიქმნის უმოქმედობისა და უძლურების განცდას, რადგან არაფრის გაკეთება შეგიძლია, გარდა ლოდინისა. ფიქრებმა და წარმოდგენებმა შესაძლოა, ჭკუიდან შეგშალოს, რომ გასაჭირშია და ვერ ეხმარები, რომ სტკივა, შველას გთხოვს, მაგრამ ვერ შველი. შენი უსუსურობა შენვე გიღებს ბოლოს, აღარ იცი, ვის მიმართო დახმარებისთვის და აღმოაჩენ, რომ განსაცდელის წინაშე სრულიად მარტო ხარ. ასეთ რეალობაში ადამიანებს ავიწყდებათ, თუ რისთვის და ვისთვის უღირთ დარჩენილი სიცოცხლე, ამიტომ ერთადერთი გამოსავალი და ჩვენი მხრიდან ყველაზე ეთიკური, ჰუმანური, ოპტიმალური საქციელი მათთვის იმის შეხსენებაა, თუ რაოდენ ძვირფასნი და განსაკუთრებულნი არიან ოჯახის სხვა წევრებისთვის, ჯერ კიდევ რამდენად სჭირდებათ მათი მზრუნველობა და სითბო, ან, უბრალოდ, მათი არსებობა და კარგად ყოფნა. მსგავსი მდგომარეობებისგან განსამუხტავად და ემოციებისგან დასაცლელად იქმნება ასევე

მხარდამჭერი ჯგუფებიც, სადაც შეკრებილ ადამიანებს აერთიანებთ ერთი და იგივე ტრაგედია, ტკივილი, სადაც ადამიანებს ისე ესმით ერთმანეთის, როგორც არასდროს, სადაც თავიანთ ამბავს გულწრფელად ჰყვებიან, სხვისას იზიარებენ და ამით ოდნავ მაინც გრძნობენ შვებას.

...და მაინც, როგორი საპასუხისმგებლოა, მაქსიმალურად ადეკვატურად აღწერო და წარმოაჩინო, ერთი მხრივ, „ორაზროვანი დანაკარგის", როგორც ცნების მთელი სირთულე, და, მეორე მხრივ, იმ ადამიანების მტკივნეული განცდები, რომელთაც ამასთან გამკლავება უწევთ. უკლებლივ ყველა იმსახურებს, იცოდეს, სად, რატომ და როგორ დაკარგა საყვარელი პიროვნება, რათა ჰქონდეს როგორც მისი გაშვებისთვის მზადყოფნა, ისევე გამომშვიდობების შანსი და გამუდმებით არ იმყოფებოდეს იმ ყველაზე საშინელ მდგომარეობაში, რომელსაც გაურკვევლობა ჰქვია...

გიორგი მაჭარაშვილი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი,
ისტორია,
II კურსი

ჯონ სტაინბეკის საქართველო

ქართულ-ამერიკული ურთიერთობების ისტორიაში გამორჩეული ადგილი უჭირავს ცნობილი ამერიკელი მწერლის, ჯონ სტაინბეკის, მოგზაურობას საქართველოში. 1947 წელს, როცა ახალი დამთავრებული გახლდათ მეორე მსოფლიო ომი, მომავალი ნობელიანტი მწერალი საბჭოთა კავშირს ეწვია. მას თან ახლდა უნგრელი ფოტოგრაფი რობერტ კაპა. მოგზაურებმა მოინახულეს მოსკოვი, კიევი, მაშინდელი სტალინგრადი, უკრაინის რამდენიმე სოფელი, აგრეთვე, თბილისი, გორი და ბათუმი. მოგზაურობა, რომელიც, რეალურად არ იყო მხოლოდ უცხო ქვეყნის დათვალიერების სურვილით განპირობებული, ორ თვეს გაგრძელდა, რისი შედეგიც 1948 წელს სტაინბეკის მიერ გამოქვეყნებული ნაწარმოები გახლდათ. „რუსული დღიური" – ასე უწოდა მან წიგნს, რომელშიც თავისი შთაბეჭდილებები ამერიკელ მკითხველს გაუზიარა და აქვე გვამცნო იმ დროისთვის საკმაოდ სარისკო და უჩვეულო გადაწყვეტილების მიზანი.

საქმე ის გახლდათ, რომ, მართალია, იმ პერიოდში ამერიკაში ბევრი იწერებოდა საბჭოთა კავშირის შესახებ, მაგრამ არავინ თითქმის არაფერი იცოდა ამ უზარმაზარ სახელმწიფოში შემავალი ერების, უბრალო მოქალაქეების ცხოვრების შესახებ. არც მათი ყოველდღიური ყოფის ამსახველი ფოტოები იბეჭდებოდა არსად. აქედან გამომდინარე, სტაინბეკსა და კაპას სურდათ, ამერიკელი საზოგადოებისთვის საბჭოთა კავშირი განსხვავებული მხრიდან ეჩვენებინათ, მიეწოდებინათ ინფორმაცია იქ მცხოვრებ ადამიანებზე – როგორ ჭამდნენ, რა ეცვათ, რითი ერთობოდნენ, რაზე ლაპარაკობდნენ და ა.შ. წიგნის შესავალ ნაწილში სტაინბეკი წერდა: „იყო რაღაც-რაღაცები რუსეთის შესახებ, რაზეც არავინ წერდა და რაც ჩვენ ყველაზე მეტად გვაინტერესებდა. როგორც ეცვათ იქ? სადილად რას ჭამდნენ? წვეულებებს თუ მართავდნენ და რითი უმასპინძლდებოდნენ სტუმრებს? როგორი სექსი ჰქონდათ, ან როგორ კვდებოდნენ? რაზე ლაპარაკობდნენ? თუ ცეკვავდნენ, მღეროდნენ და თამაშობდნენ? ბავშვები სკოლაში დადიოდნენ თუ არა? ვიფიქრეთ, კარგი იქნებოდა, ეს ამბები გაგვერკვია, ფოტოები გადაგვეღო და ამაზე დაგვეწერა." ეს სიტყვები, ვფიქრობ, ნათლად წარმოაჩენს ამ მოგზაურობის მიზანს და, რა თქმა უნდა, მათი ინტერესის საგანი საქართველოც იყო, რომელმაც, როგორც შემდგომ დავინახავთ, განსაკუთრებული შთაბეჭდილება მოახდინა სტაინბეკზე. თუმცა, სანამ უშუალოდ დავიწყებდეთ საქართველოს შესახებ „რუსულ დღიურში" გადმოცემულ საინტერესო ცნობებზე საუბარს, მნიშვნელოვანია, ორიოდე სიტყვა ვთქვათ თავად ამერიკელ მწერალსა და უნგრელ ფოტოგრაფზე.

ჯონ ერნსტ სტაინბეკი დაიბადა 1902 წელს კალიფორნიის ქალაქ სალინასში. 1919 წელს ჩააბარა სტენფორდის სასწავლებელში, თუმცა მალევე მიატოვა სასწავლებელი და ნიუ-იორკში გადავიდა სამუშაოდ. გარდა იმისა, რომ აქ იგი ფიზიკურად მუშაობდა სხვადასხვა მშენებლობაზე, წერის სტილის დახვეწასაც დიდ დროს უთმობდა. სტაინბეკი ნიუ-იორკში გამომცემელს ვერ პოულობს და კვლავ კალიფორნიაში ბრუნდება. პირველი მნიშვნელოვანი წარმატება მას რომანმა „ტორტილა ფლეტიმ" მოუტანა, რომელსაც მოგვიანებით სხვა მნიშვნელოვანი ნაწარმოებების გამოქვეყნება მოჰყვა. 1940 წელს იგი დააჯილდოვეს პულიცერის პრემიით რომანისთვის – „მრისხანების მტევნები", 1962 წელს კი მიენიჭა ნობელის პრემია. აღსანიშნავია ის, რომ კლასიკოსი მწერლის შემოქმედების თემატიკა ინტერესთა საკმაოდ ფართო სპექტრს

მოიცავს – ისტორიით, პოლიტიკითა და ფილოსოფიით დაწყებული, ჯაზით, მითოლოგიითა და ოკეანის ბიოლოგიით დამთავრებული, რაც, რასაკვირველია, ორმაგ მშვენებას ანიჭებს მას, როგორც მწერალს. თუმცა სტაინბეკის ინტერესის მთავარი საგანი მაინც მუშათა კლასის ცხოვრება იყო.

რაც შეეხება რობერტ კაპას, დანამდვილებით შეიძლება ითქვას, ისიც ისეთივე გამორჩეული გახლდათ თავის პროფესიაში, როგორც სტაინბეკი ლიტერატურაში. ფოტოგრაფიული ხელოვნების ისტორიაში იშვიათად თუ შევხვდებით ასეთ ნიჭიერ ადამიანს, რომელშიც ერთბაშად თავმოყრილი იყო ჭეშმარიტი ფოტოჟურნალისტისთვის დამახასიათებელი ყველა თვისება. კაპა 1913 წელს დაიბადა ბუდაპეშტში, შეძლებულ ებრაულ ოჯახში. იგი ბავშვობიდანვე პოლიტიკური საკითხებისადმი დიდი ინტერესით გამოირჩეოდა. მოგვიანებით, მეტწილად სწორედ სხვადასხვა ქვეყანაში გადაღებული პოლიტიკური მოვლენების ამსახველი ფოტოებით გაითქვა სახელი.

1947 წელს ჩვენთვის საინტერესო მათი შეხვედრა ნიუ-იორკში შედგა, სადაც სტაინბეკმა თავის ძველ მეგობარს ამცნო, რომ საბჭოთა კავშირში მოგზაურობას აპირებდა. ამ უჩვეულო იდეით აღფრთოვანებულმა ფოტოგრაფმა სტაინბეკს მეგზურობა შესთავაზა. „რუსული დღიურის“ შესავალ ნაწილში მწერალი მოგვითხრობს, თუ როგორი გულმოდგინებით ემზადებოდნენ ისინი მოგზაურობის დასაწყებად, რისი შედეგიც, საბოლოოდ, ის იყო, რომ 1947 წელს მათი მოგზაურობა მოსკოვში ჩაფრენით დაიწყო.

შეგნებულადგვერდსვუვლირამდენიმემნიშვნელოვანსაკითხს,რომელთაშესახებაცსაუბარი საინტერესო იქნებოდა, თუმცა ამ შემთხვევაში არ წარმოადგენენ ჩემი ინტერესის საგანს. აქ მხოლოდ, სტაინბეკისა და კაპას თვალით დანახულ საქართველოზე ვისაუბრებთ. საინტერესოა, თუ როგორ გააცნეს ჩვენი ქვეყანა მოგზაურებმა ამერიკელებს. როგორც დავინახავთ, სტაინბეკის ნაწარმოები საკმაოდ საინტერესო ისტორიულ, გეოგრაფიულ თუ ეთნოგრაფიულ ცნობებს შეიცავს „Georgia“-ს შესახებ. მან ამერიკელებს, ფაქტობრივად, „დაუხატა“ ამ ქვეყნის ზოგადი სურათი. ეჭვგარეშეა, რომ „რუსულ დღიურში“ გადმოცემული ცნობები საქართველოს შესახებ ამერიკელებს შესაბამის შთაბეჭდილებებს ჩამოუყალიბებდა და, ალბათ, სამუდამოდაც გაიდგამდა ფესვებს მათ მეხსიერებაში. უფრო მეტიც, ჩემი შეხედულებით, ეს ფაქტი, საკმაოდ მნიშვნელოვან წვლილს შეიტანდა ქართულ-ამერიკული ურთიერთობების განვითარებასა და წინსვლაში. ზუსტად იგივე შეგვიძლია ვთქვათ რობერტ კაპას ფოტოების მიმართაც.

საქართველოს შესახებ საუბარს სტაინბეკი ასე იწყებს: „სადაც არ უნდა ვყოფილიყავით, მოსკოვში, კიევში, უკრაინასა თუ სტალინგრადში, ყველგან გამუდმებით საქართველოს ჯადოსნური სახელი ჩაგვესმოდა. ისინიც კი, ვინც არასდროს ყოფილან იქ, და ვერც ვერასდროს ჩავლენ ალბათ, საქართველოზე, მონუსხულები, აღტაცებით ლაპარაკობდნენ. ისინი ქართველებზე ისე ჰყვებოდნენ, როგორც სუპერმენებზე,... თან ისე ლაპარაკობდნენ, თითქოს ეს კავკასიის მთებსა და შავ ზღვას შორის მოქცეული ქვეყანა მეორე სამოთხე იყო.“ ამ სიტყვებით მწერალი არა მხოლოდ პიროვნულ სიმპათიას გამოხატავს საქართველოს მიმართ, არამედ საბჭოთა კავშირის სხვა ქვეყნებთან შედარებით მის უპირატესობაზეც აშკარად საუბრობს და ეს აზრი რომ რეალურია, ამაში მოგვიანებითაც კიდევ რამდენჯერმე თავად დაგვარწმუნებს. „ეგ კი არა, ისიც გვგონია“ – იუმორნარევი სერიოზულობით აგრძელებს იგი, – „რომ ბევრ რუსს სჯერა, წესიერად, პატიოსნად თუ იცხოვრებს, სიკვდილის შემდეგ საქართველოში მოხვდება.“ ყველას კარგად მოგვეხსენება, რომ საბჭოთა კავშირის ქვეყნებს შორის საქართველო მართლაც განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობდა. აქ მცხოვრები ადამიანების გამორჩეული ხასიათი, ნიჭიერება, კულტურული მიღწევები და ბუნებრივი გარემო განსაკუთრებულად იტაცებდათ სხვადასხვა ერის წარმომადგენლებს. ამერიკელი მწერლის ზემოთ მოხმობილი სიტყვებიც ამის ნათელი დადასტურებაა.

საქართველოს ბუნებამ ჯერ კიდევ მაშინ მოახდინა დიდი შთაბეჭდილება მოგზაურებზე, როცა ისინი თვითმფრინავში ისხდნენ და ქართული მიწა ჯერ ახლოდან არ ენახათ. როგორც თავად სტაინბეკი მოგვითხრობს, ისინი გაოგნებულები იყვნენ კავკასიონის ხილვით - მთების ხილვამ მათ გულში სითბო ჩაუღვარა. მთელი მოგზაურობის განმავლობაში სტაინბეკი

გარკვეულ პარალელებს ავლებდა საქართველოსა და ამერიკის ადგილებს შორის, მაგალითად: შავი ზღვის სანაპირო კალიფორნიის სანაპიროს შეადარა, თუმცა იქვე აღნიშნა, რომ შავი ზღვა ისეთი მშფოთვარე და ბოროტი არაა, როგორც წყნარი ოკეანე. ჩვენთვის ცნობილია ის ფაქტი, რომ სხვადასხვა ეპოქაში მოღვაწე ისტორიკოსები, მოგზაურები და მწერლები უცხო ხალხების დახასიათებას უფრო ხშირად მათი გარეგნობის, ფიზიკური შესახედაობის აღწერით იწყებდნენ. ამ მხრივ არც სტაინბეკია გამონაკლისი, რომელიც ისტორიკოსის, მოგზაურისა და მწერლის ფუნქციებს შესანიშნავად ითავსებდა. აი, როგორ აცნობს ის ქართველებს საკუთარ მკითხველს: „ქართველებს სხვანაირი გარეგნობა აქვთ. შავგრემნები არიან, ბოშებს წააგვანან, ელვარე კბილები და გრძელი, ლამაზი ცხვირი აქვთ, თმა კი ტალღოვანი. თითქმის ყველა კაცი ულვაშს ატარებს, ისინი გამხდრები და ენერგიულები არიან, შავი თვალები უციმციმებთ." და შემდეგ კვლავ ქართველი ერის მიმართ რუსების სიმპათიებზე საუბარს განაგრძობს: „რუსი ხალხი აღტაცებულია მათით. ყოველთვის მათ ძალასა და ენერგიაზე, მათ მოხერხებულობაზე ლაპარაკობენ – დიდებული კავალრები და კარგი მებრძოლები არიანო. ქართველი კაცები რუს ქალებს შორის დიდი მოწონებით სარგებლობენ. პოეტი ხალხია, კარგი მოცეკვავეები და მომღერლები არიან, და, როგორც ამბობენ, დიდებული საყვარლებიც. ასეც იქნება, ისეთ ბუნებაში ცხოვრობენ და ამ ორი ათასი წლის განმავლობაში იმდენი ომი გადახდათ თავს."

ამერიკელი მწერლისთვის, როგორც ჩანს, ცნობილი იყო საქართველოს სისხლიანი წარსულისა და, ზოგადად, ქართველი ერის ისტორიის შესახებ. ის, თუმცა მოკლედ, მაგრამ საინტერესოდ აცნობს ამერიკელებს ჩვენი ქვეყნის ისტორიის მთავარ შტრიხებს. თბილისზე საუბრისას იგი წერს: „აქა-იქ ძველისძველი ციხესიმაგრეები გვხვდებოდა და ქალაქშიც, მთის თხემზე, სასახლე დგას. ხეობის მეორე მხარესაც ციხესიმაგრე დგას, რადგან ეს ვიწრო ხეობა სამხრეთიდან სპარსელების, ირანელების, ერაყელების, ჩრდილოეთიდან კი თათრებისა და სხვა მძარცველების გზად ქცეულიყო." სტაინბეკი თბილისის გეოგრაფიულ მდებარეობას და მის ხეობას რატომღაც ნიუ-მეხიკოს ადარებს, ამ ქალაქის ისტორიულ სიძველესაც უსვამს ხაზს: „მართლაც ძველისძველი ქალაქია – მაშინ, როდესაც მოსკოვი წელს თავის მერვაასე იუბილეს აღნიშნავს, მომავალ წელს თბილისი ათას ხუთასი წლის იუბილეს იზეიმებს."

აღსანიშნავია, რომ მწერალი საგანგებოდ საუბრობს აქ არსებულ ეკლესიებსა და, ზოგადად, ქრისტიანულ რელიგიაზე, რომელსაც ყოველთვის მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა ქართველი ხალხის ცხოვრებაში: „ქალაქშიც და მთის თხემებზეც ძველი ეკლესიებია, საქართველოში ქრისტიანობა მეოთხე საუკუნეში შემოვიდა, და ის ეკლესიები, სადაც ახლაც მიმდინარეობს წირვა-ლოცვა, ჯერ კიდევ მაშინ აშენდა." სხვა ადგილას კი იგი აღფრთოვანებით შენიშნავს, რომ აქ ქრისტიანული ტაძრები ჯერ კიდევ მაშინ შენდებოდა, როცა ინგლისში, საფრანგეთსა და გერმანიაში კერპთაყვანისმცემლობა იყო გამეფებული. როგორც ჩანს, სტაინბეკსა და კაპაზე განსაკუთრებული შთაბეჭდილება მამა დავითის „უბრალო და ლამაზმა" ეკლესიამ მოახდინა. მათ დაათვალიერეს მთაწმინდის პანთეონიც. სტაინბეკის თქმით, ეს არ ის ადგილი, რომელიც „ქართველებს ძალიან უყვართ".

მამა დავითის ეკლესიიდან ჩამოსვლის შემდეგ მოგზაურებს სიონის საკათედრო ტაძარიც უნახავთ სადაც იმ დროს კათოლიკოს-პატრიარქი კალისტრატე ცინცაძე სამეუფეო წირვას აღავლენდა. აი, როგორ აღწერს ჯონ სტაინბეკი ამ სიტუაციას: „წირვა-ლოცვას მოხუცი კაცი უძღვებოდა, თეთრთმიანი, თავზე ოქროს მიტრა ედგა, და იმდენად ლამაზი იყო, ირეალური გეგონებოდა, იგი კათალიკოსი და საქართველოს ეკლესიის წინამძღოლია... ღვთისმსახურება დიდებული იყო, და მუსიკოსების გუნდი წარმოუდგენლად გალობდა." აქედან გამომდინარე, ვფიქრობ, ნათელია, თუ როგორ მოიხიბლა ამერიკელი მწერალი საქართველოში არსებული მართლმადიდებლური ტრადიციით. და ეს ნამდვილად არ გახლავთ ერთადერთი შემთხვევა. არსებობს საკმაოდ ბევრი ფაქტი, საიდანაც შეიძლება დავასკვნათ, რომ, ზოგადად, ამერიკელებს ძალიან მოსწონთ ქართლი ქრისტიანული კულტურა, განსაკუთრებით საეკლესიო მუსიკა და ლიტურგიკული მსახურება – ეს არის ის, რაც განსაკუთრებულ აღტაცებას იწვევს მათში. სწორედ მამა დავითის ეკლესიის ერთ-ერთი მგალობლის, ამერიკელი ჯონ გრემის, შესახებ,

რომელიც უკვე რამდენიმე წელია, იკვლევს ქართული საეკლესიო მუსიკის საკითხებს. უფრო მეტიც, ქართული გალობის სიყვარულმა იგი მართლმადიდებლად მონათვლის გადაწყვეტილებამდეც მიიყვანა. 2006 წელს ჩიკაგოში, სასულიერო მუსიკისადმი მიძღვნილ კონფერენციაზე, მან წაიკითხა მთელი ციკლი ლექციებისა ქართული საეკლესიო გალობის შესახებ. აგრეთვე, აუდიოჩანაწერების მეშვეობით კონფერენციის მონაწილეებს გააცნო ქართული რვა ხმისგან შემდგარი საგალობლები. პრეზენტაციამ დიდი ყურადღება და მოწონება დაიმსახურა. ჯონ გრემი ამ კუთხით მუშაობას დღესაც განაგრძობს, ამერიკელი ხალხის მხრიდან კი ქართული სასულიერო მუსიკისადმი სიყვარული და ინტერესი სულ უფრო იზრდება. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ სტაინბეკის ზემოთ აღწერილი რეაქცია გასაკვირი ნამდვილად არ არის. თუმცა ერთ-ერთი, ვინც საკუთარ თავზე გამოსცადა ქართული ტრადიციული სასულიერო მუსიკის სიდიადე, სწორედ იგი იყო.

აღსანიშნავია, აგრეთვე ისიც, რომ სტაინბეკი თბილისში საუკუნეების განმავლობაში არსებული რელიგიური ტოლერანტობის შესახებაც საუბრობს. ის წერს: „თბილისში ბევრი ეკლესია დგას, და უნდა იყოს კიდეც ასე, რადგან რელიგიური ტოლერანტობის ქალაქია, აქ ხომ ძველისძველი სინაგოგები და მუსლიმური ტაძრები დგას, და არც ერთი მათგანი არასდროს არ დაუნგრევიათ." თბილისსა და, ზოგადად, საქართველოს რომ ისტორიულად რელიგიური შემწყნარებლობა ახასიათებს, ახალი ამბავია არაა, თუმცა ამერიკელი მწერლის ასეთი შეფასება, ვფიქრობ, ძალიან მნიშვნელოვანია. დიდ ყურადღებას იმსახურებს შემდეგი სიტყვებიც: „ეს ქალაქი (თბილისი) წარმოუდგენლად სუფთაა. პირველი სუფთა აღმოსავლური ქალაქია, რომელიც ოდესმე მინახავს". მწერლის შეფასებით, ასეთ ქალაქში მოქალაქეებიც შესაბამისად ცხოვრობენ, ისინი ამაღლებული განწყობითა და ჩაცმულობით უკეთესად გამოიყურებიან საბჭოთა კავშირის სხვა ხალხებთან შედარებით. აგრძელებს სტაინბეკი ქართველებზე საუბარს და თამამი გულახდილობით აღნიშნავს: „ქართველები, სხვა ხალხებთან შედარებით, უფრო ლაღები ჩანდნენ, უფრო ფიცხები და უფრო მხიარულები... და იქნებ სწორედ ამიტომ ეთაყვანებიან მათ რუსები, იქნებ სწორედ ასეთები უნდათ, რომ იყვნენ."

ლოგიკურია, რომ, როცა უცხო ეროვნების ადამიანი შენს ქვეყანაში ჩამოდის, ყველანაირად ცდილობ, აჩვენო ის, რაც ძალიან გიყვარს და რითაც ამაყობს შენი ერი. გამონაკლისნი არც სტაინბეკისა და კაპას ქართველი მასპინძლები იყვნენ, რომელთაც ეკლესიებისა და მუზეუმების დათვალიერების შემდეგ სტუმრების ყურადღება საფეხბურთო მატჩზე, თბილისისა და კიევის შეხვედრაზე მიმართეს. ამ საკითხთან დაკავშირებით, სტაინბეკი წერდა, რომ საქართველოსა და, ზოგადად, მთელ საბჭოთა კავშირში, ფეხბურთი ყველაზე პოპულარული სპორტის სახეობა იყო, ისევე როგორც ჭადრაკი, თუმცა, მისი დაკვირვებით, პირველ ადგილზე მაინც ფეხბურთი იდგა. აქვე უნდა აღინიშნოს ის, რომ გორში სტალინის მუზეუმის სანახავად ჩასული ამერიკელი მოგზაურები ქართულ ჭიდაობაში ნაციონალური შეჯიბრების ფინალურ შეხვედრასაც დაესწრნენ და ამ კუთხითაც გაეცნენ ქართველების სპორტულ შესაძლებლობებსა და მებრძოლ ხასიათს.

მეტად საინტერესო გახლდათ, აგრეთვე, ქართველ მწერლებთან შეხვედრა, რაზეც საკმაოდ ბევრს საუბრობს სტაინბეკი. მისი თქმით, ქართველებს თავიანთი ლიტერატურით დიდი წვლილი შეაქვთ მსოფლიო კულტურის საგანძურში, და ამ ფაქტის იდეალურ დადასტურებად შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანს" მიიჩნევს.

თბილისისა და გორის შემდეგ სტაინბეკი და კაპა დასავლეთ საქართველოსაც, კერძოდ კი ბათუმს, ეწვივნენ. „დილით ძალიან ადრე გავიღვიძეთ და აღმოვაჩინეთ, რომ სრულიად სხვანაირ მიწაზე, სულ სხვანაირ მხარეში ამოგვეყო თავი." – მოგვითხრობს ის, სადაც მათზე განსაკუთრებული შთაბეჭდილება ჩაის დიდმა და ლამაზმა პლანტაციებმა მოახდინა.

ქართული სამზარეულო და, ზოგადად, ქართული სტუმართმოყვარეობა რომ უეჭველად მონუსხავდა უცხოელ მოგზაურებს, ეს, ვფიქრობ, განსაკუთრებულ აღნიშვნას არ საჭიროებს. ისინი კარგად გაეცნენ აქაური სუფრის ტრადიციასა და „თამადის" ფენომენს, ხალხურ სიმღერებსა და ცეკვებს, რომლებითაც მოხიბლული სტაინბეკი წერდა: ეს საოცარი ქართველები

ყველაფრით გვჯობიან, ყველაფერი გამოსდით, რასაც ხელს მოკიდებენო.

თუმცა ეს ყოველივე სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ამერიკიდან ჩამოსულ სტუმრებს ყველაფერი მოეწონათ საქართველოში. ეს შეუძლებელია, მაგრამ იმდენად მცირეა მათ მიერ დაწუნებულ ფაქტთა სია, რომ, ვფიქრობ, ნამდვილად არაა საჭირო ამაზე საუბარი.

მთელი მოგზაურობის განმავლობაში რობერტ კაპა „შეიარაღებული იყო“ ფოტოაპარატით და და იგივე აღბეჭდა მისი მეშვეობით, რაც შემდგომ სტაინბეკმა აღწერა წიგნში. კაპას მიერაა გადაღებული უნიკალური კადრები თბილისში, გორსა და ბათუმში. დღესდღეობით ქართველი ფოტოგრაფები ცდილობენ, ამოიცნონ რომანტიკოსი ფოტოგრაფის შემოქმედების საიდუმლო, რაც განაპირობებდა მისი ფოტოების სიდიადესა და გენიალურობას. როდესაც ერთხელ ერთ-ერთი ამერიკული ჟურნალის რედაქტორმა კაპას ჰკითხა, თუ რა იყო მისი ფოტოების საიდუმლო, მან ასე უპასუხა: მთავარია, მოგწონდეს ხალხი და ეს აგრძნობინოო. რობერტ კაპას რომ ძალიან მოეწონა ქართველი ხალხი, ამაზე საუბარი უფრო ნაკლებმნიშვნელოვანია, ვიდრე ის, თუ როგორ დიდებულად გააცნეს მან და სტაინბეკმა საქართველო ამერიკელებს. (აღსანიშნავია ის, რომ ამერიკელი მწერალი ზუსტად ოცი წლის შემდეგ საქართველოში კვლავ ჩამოვიდა და აღნიშნა, რომ ეს ქვეყანა ისეთივე მიმზიდველი იყო, როგორც პირველი მოგზაურობის დროს. თუმცა ისიც უნდა ვთქვათ, რომ ამ შემთხვევაში მის მოგზაურობას პოლიტიკური დატვირთვაც ჰქონდა. როგორც თავად სტაინბეკი წერს, იგი ამ ვიზიტს ჯონ კენედის თხოვნით ასრულებდა. ამასთანავე, არსებობს ცნობები, საიდანაც ვიგებთ, რომ იმ პერიოდში მწერალი ჩართული იყო ეროვნულ პოლიტიკაში. ამას ადასტურებს მისი მეგობრობა ლინდონ ჯონსონთან)

ამდენად, ვფიქრობ, ჯონ სტაინბეკისა და რობერტ კაპას საქართველოში მოგზაურობა გამორჩეული მოვლენაა ქართულ-ამერიკული ურთიერთობების ისტორიაში. ამ ორმა უნიჭიერესმა პიროვნებამ შესანიშნავად შეძლო დასახული მიზნის მიღწევა, რაც ამერიკელი მკითხველისთვის საბჭოთა კავშირის და, მასთან, საქართველოს სრულიად სხვა მხრიდან, არაპოლიტიკური კუთხით გაცნობით გამოიხატა. ჩემი შეხედულებით, ეს ფაქტი ძალიან მნიშვნელოვანი იყო იმ პერიოდში როგორც ჩვენი ქვეყნისთვის, ისე ამერიკელი საზოგადოებისათვის და დღესაც ნამდვილად არ კარგავს აქტუალურობას.

მიხეილ ჯავახიშვილის სამწერლობო სტილის თავისებურებანი

მე–20 საუკუნის ცნობილი ქართველი მწერლის – მიხეილ ჯავახიშვილის სამწერლობო ენა და სტილი განსაკუთრებულია ქართული ლიტერატურის ისტორიაში. შეუძლებელია, ვისაუბროთ, ზოგადად, ლიტერატურული ოსტატობის შესახებ და არ ვახსენოთ უსამართლობას შეწირული მწერლის შემოქმედება, გამორჩეული დახვეწილი სამწერლობო ენითა და შინაარსობრივი სიღრმით.

მიხეილ ჯავახიშვილის სამწერლობო ენასა და სტილზე საუბრისას შეუძლებელია, არ დავიმოწმოთ თავად მწერლის შეხედულება, რომელიც მან გამოაქვეყნა პუბლიცისტურ წერილში „როგორ ვმუშაობ“: „ნაპოლეონი ამბობდა, ომის მოსაგებად ჯერ ფულია საჭირო, მერე ფული და ბოლოს ისევ ფულიო. მეც ვიტყვი: სალიტერატურო გამარჯვებისთვის ჯერ კარგი ქართულია საჭირო, მერე კარგი ქართული და ბოლოს ისევ კარგი ქართული.“ სწორედ ამიტომ შემოქმედებითი მოღვაწეობის დაწყებამდე ჯავახიშვილმა კარგი ქართულის დაუფლება გადაწყვიტა. ჩვენთვის ცნობილია, თუ როგორ უჭირდა მომავალ მწერალს გამართული ქართულით მეტყველება ბავშვობაში. ამასთან დაკავშირებით, ერთი საინტერესო ამბავიც არსებობს: წინამძღვრიანთკარის სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლის მოსწავლე მიხეილ ჯავახიშვილი ერთხელ საგურამოში ილიაობაზე აღმოჩნდა მასწავლებელსა და სხვა მოსწავლეებთან ერთად. მასწავლებელმა სწორედ მას ანდო ილიასთვის ბარათაშვილის „მერნის“ წაკითხვა. ილიამ ღიმილით მოუსმინა და წინამძღვრიშვილს ბიჭის უცნაურ აქცენტზე ჰკითხა. „ბორჩალოდან არის, იქ რუსულ დაწყებით სასწავლებელში იყო, ქართულს თავიდან სწავლობსო“ – უპასუხა წინამძღვრიშვილმა. ილიამ ახალგაზრდა შეაქო და წარმატებები უსურვა. მოგვიანებით თავად მწერალი შენიშნავს: „გარემოებამ ორჯერ გამარუსა და ისე დამავიწყა ქართული, რომ საყველპუროდ ძლივსღა მესმოდა, მაგრამ, როცა გადავწყვიტე მწერლობისთვის მომეკიდნა ხელი, ქართულ წიგნს შევეკედლე, ზედიზედ სამი ზაფხული გავატარე ქართლში, მივიწყებულიც აღვიდგინე და ახალიც მრავლად შევიძინე. მას აქეთ ამ სისტემას მაშინაც კი არ ვუღალატე, როცა ხანგრძლივ ჩამოვშორდი მხატვრულ პროზას. ლექსიკონი, სასულიერო წიგნები და, საერთოდ, კლასიკოსები – აი, ჩემი ყოველდღიური ენობრივი ულუფა. განუწყვეტელი ვარჯიშობა – აი, წინდი ყოველგვარ ხელობის გამარჯვებისა. ლექსიკის მუდმივი გამდიდრება და თავდაპირველად სასაუბრო ხალხური ენის შესწავლა ის საძირკველია, ურომლისოდაც ვერავითარი სალიტერატურო ძეგლი ვერ შეიქმნება“...

საინტერესოა ის ფაქტი, რომ ჯავახიშვილი ენას მწერლის „ბალავარს“, მის უმთავრეს იარაღს უწოდებს და მიიჩნევს, რომ ენის უცოდინარი მწერალი სამფეხა ცხენს ჰგავს, იგი როგორი ნიჭიერიც არ უნდა იყოს, ვერც გაიქცევა და ვერც დაიძვრება. უფრო მეტიც, ის წერს: „როცა მოთხრობას ან რომანს ვწერ, სანამ წერას შევუდგებოდე, კარგა ხანს აღარც უცხო ენაზე დაწერილ წიგნს ვეკარები. მიზანიც გასაგებია: ტვინის ენობრივი აპარატი სუფთა ქართულ მეტყველებაზე გადმომაქვს.“ („როგორ ვმუშაობ“).

მიხეილ ჯავახიშვილის სამწერლობო სტილსა და, ზოგადად, ამ საკითხთან მიმართებით მის დამოკიდებულებაზე, მნიშვნელოვან ინფორმაციას ვიგებთ 1924 წელს მის მიერვე გამოქვეყნებული პუბლიცისტური წერილიდან „ქართული ენა“. აქ იგი იმდროინდელი ქართული მწერლობის ნაკლოვანებებზე საუბრობს და ხაზს უსვამს ორ ძირითად პრობლემას: სიტყვათა სიმცირეს და მის დაუდევრად გამოყენებას, რაც, მისი აზრით, უცოდინრობითაა გამოწვეული. ჯავახიშვილის მტკიცე რწმენით, სწორედ აქედან გამომდინარეობს ენის გარყვნა: „ქართველმა მწერალმა არ იცის ქართული ენა. იგი იოლად მიდის იმ „ცოდნით'', რომელიც გამოაყოლა თავისმა პროვინციამ და მისი სტილიც ამ პროვინციით განისაზღვრება. არავინ არ დაგიდევთ, შეიძლება თუ არა იმ „გრამატიკის“ ხმარება, რომელიც თავში აქვს ჩაჭედილი ამა თუ იმ კუთხის წარმომადგენელს, და ამის გამო გაირყვნა ენა, გაირყვნა ისე, რომ სულ

ადვილად შეიძლება, ნაწერის მიხედვით გამოარკვიოთ ავტორის დაბადების ადგილი. და, ჩვენდა სამწუხაროდ, ეს ახასიათებს ჩვენს თანამედროვე მწერალთა დიდ უმრავლესობას. ყველა თავისი ჟარგონით წერს. და ამ ველურ ღრიანცელში იკარგება ის ენა, „რომლითაც თამარ ბრძანებას სცემდა“.

სწორედ აქედან გამომდინარე, მწერლის უდიდეს და უპირველეს ამოცანად მიხეილ ჯავახიშვილი ენის გაწმენდას მიიჩნევს. მისი აზრით, ამ ამოცანის შესასრულებლად აკადემიური მუშაობის დაწყებაა საჭირო, რის მაგალითსაც თავად აჩვენებდა.

მწერლის პუბლიცისტურ წერილებში კარგად ჩანს, თუ რაოდენ განიცდიდა იგი ქართულ მწერლობაში არსებულ ნაკლოვანებებს. ამასთან დაკავშირებით, მეტად საინტერესო ინფორმაციას ვიგებთ გერონტი ქიქოძის წიგნიდან – „მოგონება მიხეილ ჯავახიშვილზე“: „მას გამძაფრებული პატრიოტული შეგნება ჰქონდა: რუსულ-ქართული ჟარგონი, დამახინჯებული ქართული წარწერა მაღაზიის აბრაზე ან დაწესებულების ფასადზე თითქოს პირად შეურაცხყოფას აყენებდა. შეიძლება, მისი მტკივნეული პატრიოტიზმი იმითაც აიხსნებოდა, რომ საქართველოს განაპირა პროვინციიდან წარმოსდგებოდა, მარაბდის რაიონიდან, სადაც ქართველ ხალხს ყველაზე მეტი სისხლი დაუღვრია მტრის ურდოებთან ბრძოლაში.“

მიხეილ ჯავახიშვილი თავის შემოქმედებაში თითქოს ყველა პერსონაჟს აცოცხლებს, ალბათ იმიტომ, რომ მისი გმირების უმრავლესობას სულიერი პროტოტიპი ჰყავს. მწერლის ნაწარმოებები გამოირჩევა ექსპრესიულობით და მკითხველშიც ემპათიას იწვევს. მიუხედავად იმისა, რო ჯავახიშვილს ავბედით დროში უწევდა წერა, მის ნაწარმოებებში შეუძლებელია, მკითხველმა შენიშნოს სიცრუე და სიყალბე. ვინ არის ნამდვილი მწერალი? ვისი სიცილიც ნამდვილი, ბუნებრივი, მართალი სიცილია და ვისი ტირილიც, ცრემლი ნამდვილი ცრემლია და არა რაღაც წყალწყალა სითხე. – ვაჟა-ფშაველასეული დახასიათება ჭეშმარიტი მწერლისა, ვფიქრობთ, ზუსტად შეესაბამება მიხეილ ჯავახიშვილს. წერდა იმას, რისიც სჯეროდა და სწამდა, რასაც არასდროს გადაუხვევდა და ზნეობრივ კომპრომისზეც არასდროს წავიდოდა. ის იმ ქართველთა უდრეკ კლასს ეკუთვნის, რომელმაც ღირსეულად ზიდა თავისი ჯვარი გოლგოთამდე. თვითონ ჯავახიშვილმა თავის უბის წიგნაკში 1927 წელს გულისტკივილით ამხილა იმდროინდელი რწმენაგამქრალი მწერლები და ეს მიიჩნია ყველაზე დიდ ტრაგედიად შემოქმედებისათვის. მოვიტანთ მცირე ამონარიდს მისი „უბის წიგნაკიდან“: „დღევანდელ ქართველ მწერალს რწმენა აკლია, და კრიზისის სათავეც სწორედ აქ არის. რასაც ამბობს, არა სჯერა და რაცა სჯერა, ვერა სწერს. როცა სატირალი აქვს, იცინის და სადაც ეცინება, სტირის. ამიტომ არის მისი პათოსი ყალბი და მჩატე. მოჰგლიჯეთ პირიდან ბოქლომი და ნახეთ: ისე ატირდება, რომ მისი ცოდვით ქვაც კი დადნება, და ისეთ ლოცვას იტყვის, რომ ღვთისმშობელსაც კი გააცოცხლებს („უბის წიგნაკიდან,“ 1927). ამ სიტყვების შემდეგ ცხადი ხდება, რომ ასეთ ადამიანს სატანაც კი ვერ გატეხდა და ვერ შეაცვლევინებდა რწმენას იმისას, რაც ყველაზე ძვირფასი იყო მისთვის და რისთვისაც უღირდა სიცოცხლის დათმობა. ეს კი სათაყვანებელი სამშობლო იყო. მის ოქმში ვკითხულობთ: „ქართველი ხალხისა და ჩვენი სამშობლოს წინაშე არავითარი დანაშაული არ მიმიძღვის, მაგრამ თუ თქვენთვის ზვარაკია საჭირო, მე მზად ვარ საქართველოსთვის თავი შევწირო. თქვენ მე მომსპობთ, მაგრამ იმას ვერასოდეს ვერ მოსპობთ, რაც მე დავტოვე. საქართველოს მიწა-წყალზე მე ისეთი მუხა დავრგე, რომლის ფესვებს თქვენ ვერასდროს აღმოფხვრით. მე გამანადგურებთ, იმას კი ვერ მოსპობთ.“ (საქართველოს სსრ მწერალთა კავშირის 1937 წლის 17 აგვისტოს სხდომის ოქმი).

მიხეილ ჯავახიშვილის ნაწარმოებები საყურადღებოა არა მარტო აზროვნებრივი სიღრმით, ფილოსოფიური ხედვით, პერსონაჟთა ფსიქოლოგიური პორტრეტებით, არამედ ესთეტიკური თვალსაზრისითაც. თხრობის მძლავრი, ექსპრესიული, ძარღვიანი სტილით გამოირჩევა ჯავახიშვილი XX საუკუნის ქართულ ლიტერატურაში. რა ქმნის მისი სტილის ხერხემალს? ცნობილია, რა მდიდარია მისი ლექსიკა. მისი თხრობის მრავალფეროვნებასა და შთამბეჭდაობას განაპირობებს ხალხური ხატოვანი სიტყვა-თქმები, ანდაზები, ზღაპრები, ლეგენდები. მწერალი უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა სიტყვაზე მუშაობას.

იგი არ ერიდებოდა სინონიმთა დახვავებას, რადგან ყოველი სინონიმური სიტყვა ახლებური რაკურსით წარმოაჩენს საგანსა თუ მოვლენას.

როგორც ცნობილია, მწერალი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა ნაწარმოების დასაწყისსა და დასასრულსაც. იგი წერდა: „ყველაზე უფრო ძნელი მოთხრობის დაწყებაა, დასაწყისი მთელ მოთხრობას აძლევს რიტმს, კოლორიტს, სტილს. უნდილად დაწყებული ამბავი უნდილადვე წავა, ძნელია შემდეგში ცეცხლის გაღვივება, სტილისა და რიტმის შეცვლა ძნელიც არის და სახიფათოც, ამიტომ მე დიდხანს ვეძებ ხოლმე დასაწყისს...“

მიხეილ ჯავახიშვილის სტილზე საუბრისას აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ, როგორ არაჩვეულებრივად იყენებს იგი სინონიმებს. მარტივი, საყოველთაოდ გავრცელებული, მაგრამ აუცილებელი სტილისტური დანიშნულებით: მწერალი ერიდება ტავტოლოგიას – ერთ ან მომიჯნავე წინადადებაში ერთი და იმავე სიტყვების გამეორებას, ამიტომაც სიტყვებს სინონიმებს უნაცვლებს. ამგვარი შენაცვლებისას მწერალი ცდილობს, რაც შეიძლება იდენტური შესატყვისი მოუძებნოს სიტყვას, რათა აზრი არ დამახინჯდეს: „ზოგჯერ შინიდან დილით გავიდოდა და მხოლოდ საღამოზე დაბრუნდებოდა. დილით ზემო უბნიდან დაჰყვებოდა და საღამოზე ქვემო უბანში გავიდოდა“; „საოცარი არსება იყო: გულჩვილი, მგრძნობიარე, აღფრთოვანებული“; „ჯერ კვერცხიდან და ქათმებიდან დაიწყეს, მერე ცხვარსა და ღორზე გადავიდნენ, შემდეგ რამდენიმე გლეხს ხარ-კამეჩი გაურეკეს და ბოლოს სახლების მტვრევასაც შეუდგნენ“; „მერე ნელ-ნელა ცახცახი დაიწყო, პირ-სახე აუთამაშდა, ტუჩები აუკანკალდა, წამწამები აუხამხამდა, ტანში მოიშალა, ნელ-ნელა წაიწია, მუხლი მოიდრიკა, ცხედარს გულზე დაეცა და ქვითინით ამოიკვენსა“; „დათა ჯერ წატორტმანდა და ჩაიკეცა. შემდეგ ისევ წამოიწია, წელი აითრია და ფორთხვა დაიწყო“, „შემდეგ უკანვე გამოვარდა და გამოიქცა. რომ დამინახა, ორივე ხელი პირ-სახეზე აიფარა, ჩემკენ გამოექანა და გულზე დამეცა („ეშმაკის ქვა“)“.

მიხეილ ჯავახიშვილი განსაკუთრებით ხშირად მიმართავს სტილისტურ-ემოციური ელფერის მქონე სინონიმებს. ეს ძალასა და ფერადოვნებას მატებს მის ენას. ამგვარი სინონიმები პერსონაჟთა მეტყველებაში ჭარბობს – ავტორის კომენტარის გარეშე, თვითონ მოქმედ პირთა ფრაზებშივეა მოქცეული ემოციათა მთელი გამა: „აი, აქ დავჯდები ან დავეგდები“; „წაიღეთ! გაძლევთ! ჩახეთქეთ და გასკდით“; „მოგვატყუეს, გაგვაცურეს, გაგვაღორეს“ („კვაჭი კვაჭანტირაძე”).

აღსანიშნავია, აგრეთვე, ისიც, რომ მწერალი ხშირად იყენებს იდიომატურ გამოთქმებს, რასაც დამატებითი ემოციური ელფერი შეაქვს ნათქვამში – ექსპრესიულობა კი თავისთავადაც არის იდიომთათვის დამახასიათებელი: „მუხლი მოეჭრა და გული წაუვიდა“, „გადავუხდით, ჯავრს ამოვიყრით“.

ამდენად, ეჭვგარეშეა, რომ მიხეილ ჯავახიშვილის სტილი და ენა გამორჩეულია ქართული ლიტერატურული მწერლობის ისტორიაში. ცნობილი ბრიტანელი, ქართულ და რუსულ ლიტერატურათა მცოდნე, დონალდ რეიფილდი ჯავახიშვილის თხრობის სტილსა და მორალურ შემართებას მოპასანის, ზოლასა და სტენდალის თვისებებს ადარებს. მისი შეხედულებით, მხოლოდ კონსტანტინე გამსახურდიას შეეძლო მსგავსი საერთაშორისო აღიარების მიღწევა იმდროინდელ ქართულ პროზაში.

ISSN 2587-5027

9 772587 502000